

მერიკა ჯიბლაძე
玛琳娜·吉布拉泽

ჩინური ენის
ფონეტიკის სუბექტები
汉语语音学纲要



მონოგრაფიული სახელმძღვანელო გამოიცა
შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით
[გრანტი SP-22-948]

The monographic textbook has been published with the
support by Shota Rustaveli National Science Foundation
of Georgia (SRNSFG) [grant number: SP-22-948]

მერინა ჯიბლაძე
玛琳娜·吉布拉泽

ჩინური ენის
ფონეტიკის სუბექტები
汉语语音学纲要

თბილისი, 2024

წიგნი „ჩინური ენის ფონეტიკის საფუძვლები“ არის ჩინური ენის ფონეტიკური სისტემის პირველი კვლევითი ნაშრომი, რომელსაც დაერთვის სხვადასხვა ლინგვისტური მასალა: ცხრილები, ილუსტრაციები, სქემები და შესაბამისი აუდიომასალა. მონოგრაფია ავტორის მრავალწლიანი სამეცნიერო კვლევისა და სწავლების შედეგია.

წინამდებარე მონოგრაფია განკუთვნილია სინოლოგიის სპეციალისტების, ჩინური ენის მიმართულებისა თუ ლინგვისტური ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, შესაბამისი დარგის მეცნიერ-მკვლევრებისათვის და ჩინური ენის შესწავლის ნებისმიერი მსურველისთვის. წიგნი დაეხმარება ყველას, ვინც დაინტერესებულია ჩინური ენის ფონეტიკით.

რედაქტორი
ლალი ეზუგბაია

გამოცემის კოორდინატორი
ანა მილაშვილი

დამკაბადონებელი
ნატალია ლლონტი

ISBN 978-9941-8-6410-0

© თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების გამომცემლობა / Free and Agricultural Universities Press

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია წიგნის ნებისმიერი ნაწილის გამოყენება სათანადო წერილობითი ნებართვის გარეშე.

All rights reserved. No part of this book may be reproduced in any form without written permission of the copyright owner.

სარჩევი

შესავალი.....	7
თავი I. ჩინური სალიტერატურო ენა და ჩინური ენის დიალექტები	11
1.1 ჩინური სალიტერატურო ენა	11
1.2 ჩინური ენის დიალექტები	16
თავი II. ჩინური ენის ფონეტიკური სისტემა	26
2.1 მოკლე ცნობები ფონეტიკის შესახებ	26
2.2 ჩინური ენის ფონეტიკური ტრანსკრიფციის პროექტი – ფუთუნგხუას ფონეტიკური სისტემა	35
თავი III. ქართულ და ჩინურ ენათა ფონეტიკური სისტემის შედარება	91
3.1 ქართული და ჩინური ენების ფონეტიკური სისტემის შედარება-შეპირისპირება	91
3.2 ჩინური ბგერების ქართულ ენაზე ტრანსლიტერაციის საკითხი	112
თავი IV. ჩინური ენის თავისებურებები, ჩინური ენის ჟღერადობის ათვისების სირთულეები და პრობლემური საკითხების მოგვარების გზები.....	126
დანართები 1	147
დანართები 2	177
დანართები 3	179
დანართები 4	180
დანართები 5	181
გამოყენებული ლიტერატურა	183
Summary.....	186
აუდიო მასალის QR კოდი.....	187

შესავალი

ბოლო პერიოდში, საქართველო-ჩინეთის მრავალდარგობრივი ურთიერთობების გააქტიურებასა და გაღრმავებასთან ერთად, აქტუალური ხდება ჩინური ენისა და, ზოგადად, ჩინეთის შესწავლა. საქართველოში ჩინური ენის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ ძალიან მწირია. წინამდებარე ნაშრომით ვეცდებით, შევავსოთ ეს სიცარიელე, ამავდროულად სიახლე შევიტანოთ სამეცნიერო კვლევებშიც. კერძოდ, გვსურს წარმოვადგინოთ ღირებული მასალა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო წრისთვისაც. ქართული სინოლოგია ახალგაზრდა დარგია და მისი განვითარებისათვის საჭიროა აქტიური მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით.

წინამდებარე მონოგრაფია „ჩინური ენის ფონეტიკის საფუძვლები“ არის ქართულ ენაზე შესრულებული პირველი ნაშრომი ჩინური ენის ფონეტიკის შესახებ, რომელიც მოიცავს თეორიულ, ნაწილობრივ კი, პრაქტიკულ საფუძვლებს. ტერმინით „ჩინური ენა“ ვგულისხმობთ თანამედროვე ჩინურ ენას, უფრო კონკრეტულად კი თანამედროვე სალიტერატურო სტანდარტულ ჩინურ ენას – ფუთუნგხუას (ქართ. „საყოველთაო ენა“), რომელზეც მეტყველებენ ჩინეთში, ასევე ჩინელი ემიგრანტები. ჩინეთის სახელმწიფო ენა, რომელზეც პლანეტის მაცხოვრებელი თითქმის ყოველი მეხუთე საუბრობს, არის გაეროს ერთ-ერთი სამუშაო ენა, ფართოდ გამოიყენება მსოფლიოში და უკვე საქართველოშიც სულ უფრო იზრდება ინტერესი მის მიმართ.

კვლევის მიზანია: ჩინური ენის ბგერითი სისტემის მრავალწლიანი კვლევისა და სწავლების გამოცდილების ბაზაზე, ჩინური ენის ფონეტიკური სისტემის კომპლექსური ლინგვისტური ანალიზი. ნაშრომში განხილულია ჩინური ენის დიალექტები და ჩინური სალიტერატურო ენის მნიშვნელობა. წარმოდგენილია ჩინური სალიტერატურო ენის ჟღერადობის თავისებურებების თანმიმდევრული და მრავალმხრივი კვლევა, ჩინური ენის ფონეტიკური წყობის ანალიზი და ქართული ენის ფონეტიკასთან შედარება-შეპირისპირება, რის საფუძველზეც განხილულია ჩინური ფონეტიკური სისტემის (ტონების ჩათვლით) ყურადსაღები დეტალები თავისებურებებთან და სირთულეებთან ერთად. ამგვარმა კვლევამ მოგვცა საშუალება, დაგვედგინა სწავლა-სწავლების სირთულეების დაძლევისა და პრობლემური საკითხების მოგვარების გზები (თავისი მაგალითებით) და ტექნიკა ქართული ენის ფონეტიკის თავისებურების გათვალისწინებით.

წიგნის ამოცანაა: ჩინური ენის ფონეტიკური მოვლენებისა და მათ შესახებ არსებული ცოდნის სისტემატიზაცია; მკითხველისთვის ფონეტიკური წყობის სპეციფიკური თავისებურებების გაცნობა; ჩინური ფონეტიკის შესახებ საბაზისო

წარმოდგენის შექმნა (რაც აუცილებელია შემსწავლელთათვის ბგერებისა და ტონების სწორი დაყენებისა და კორექციისთვის). მნიშვნელოვანია, ქართული და ჩინური ენების ფონეტიკური სისტემების შედარების გზით დავეხმაროთ დაინტერესებულ პირებს საჭირო საბაზისო თეორიული ცოდნის დაუფლებასა და სწორი წარმოდგენის უნარის გამომუშავებაში.

ნიგნში წარმოდგენილია მეთოდური რეკომენდაციები, სადაც ჩამოყალიბებულია სირთულეები და შეთავაზებულია ამ სირთულეების მოგვარების გზები.

ნაშრომში ასევე გადმოცემულია ჩინური ენის ტრანსლიტერაციის სისტემა, რომელიც შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან ერთად, შესაბამისად, გააანალიზებულია ტრანსლიტერაციის მნიშვნელობა, თანამედროვე გამონევენები.

ნიგნი დაეხმარება სტუდენტებს, შეიძინონ საყოველთაოდ მისაღებ, ნორმატიულ თანამედროვე ჩინურ სალიტერატურო ენაზე – ფუთუნგხუაზე საუბრის საბაზისო პრაქტიკული უნარები; გაეცნონ ფონეტიკურ სტრუქტურას, ბგერით შემადგენლობას, მარცვლებს, ტონებს და ა.შ. თუმცა, ჩინური ენის საფუძვლების ათვისება ითხოვს შესაბამისი უნარების თანმიმდევრულ და უწყვეტ განმტკიცებასა და განვითარებას.

ჩინური ენის შესწავლის დროს უმნიშვნელოვანესია მისი ფონეტიკური ნაწილი, რომლის ცოდნის და ათვისების დონეზეცაა დამოკიდებული, გაგიგებთ თუ არა მსმენელი. გარდა ამისა, საჭიროა სტუდენტის მშობლიური ენობრივი კომპეტენციის გათვალისწინება, რადგანაც ყველა ენას აქვს თავისი ფონეტიკური სისტემა და სპეციფიკა. თუ პიროვნება უშეცდომოდ წარმოთქვამს სიტყვებს თავის ენაზე, ხშირად სხვა ენაზე განსხვავებულ ბგერებს ვერ წარმოთქვამს ზუსტად. ჩინურის ქართულენოვანი შემსწავლელი ცდილობს წარმოთქვას ისეთი ბგერა, რომელიც შედარებით ახლოს დგას ქართულ ენასთან და რთულად პოულობს განსხვავებას ამ ორი ენის ბგერებს შორის. ამიტომაც არის საჭირო, უპირველეს ყოვლისა, გააცნო მას ჩინური ენის ფონეტიკური სისტემა და ავარჯიშო წარმოთქმაზე თავისი მშობლიური ენის სპეციფიკის გაცნობიერებისა და გათვალისწინების საშუალებით, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს ჩინური ბგერების ათვისებისა და სწორი წარმოდგენის გამომუშავების პროცესს.

ჩვენი მთავარი ამოცანაა, ნაშრომი შეიცავდეს ყველაზე აუცილებელ განმარტებებს, რაც გვაჩვენებს ჩინური ენის ფონეტიკური წყობის ზოგად თავისებურებებს.

საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში აქტუალურია მონოგრაფიაში წარმოდგენილი ენობრივი მასალები და ლინგვისტური კვლევის შედეგები. ამას ადასტურებს ჩინური ენის სწავლების ევროპის საერთაშორისო ასოციაციის, მსოფლიოში ჩინური ენის სწავლების საერთაშორისო ასოციაციის, ჩინეთის

უმაღლესი სასწავლებლების კონფერენციებისა და სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა მიერ გამოხატული ინტერესი.

ჩვენ არა მხოლოდ შევაჯამეთ და განვაზოგადეთ სხვადასხვა ენაზე შესრულებული კვლევის შედეგები, არამედ, გარკვეულწილად, ახლებურად წარმოვადგინეთ ჩინური ენის ფონეტიკის თეორია და პრაქტიკა.

ნაშრომს ერთვის ჩინური ინიციალების, ფინალების, მარცვლების, ტონების ძალიან ღირებული და მდიდარი აუდიომასალა თავისი შედარებებით, რომელიც მომზადებულია ჩინეთის მედიისა და კომუნიკაციის უნივერსიტეტში (პეკინი) ჩინური ენის შესაბამისი ჩინელი სპეციალისტების მიერ ჩვენი უშუალო ხელმძღვანელობით. აუდიომასალის წერილობითი ტექსტი განთავსებულია მონოგრაფიაში.

წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება ავტორის მრავალწლიანი სწავლების გამოცდილებას. ჯერ კიდევ ჩინეთში სადოქტორო პროგრამაზე სწავლის პერიოდში გამოვაქვეყნეთ სტატია ჩინურ-ქართული ფონეტიკური შედარებისა და ჩინური ენის წარმოთქმის სწავლების საკითხებზე, ასევე ვიკვლიეთ დიალექტები.

ვიმედოვნებთ, რომ მონოგრაფია „ჩინური ენის ფონეტიკის საფუძვლები“ გახდება ერთგვარი შემაჯამებელი აკადემიური კურსი, რომელიც განსაზღვრავს ჩინური ენის შემდგომი კვლევის მიმართულებას. ქართული სინოლოგია უნდა გამდიდრდეს კვლევებით, რომელთა საფუძველზეც არაერთი ლინგვისტური და, კონკრეტულად, ფონეტიკური საკითხის ახლებურად გააზრება მოხდება. მომავალში სასურველია, სიღრმისეული კვლევა განხორციელდეს უშუალოდ ჩინური ფონოლოგიის მიმართულებით, ასევე ერიზაციის, ინტონაციისა და სხვა საკითხებზე, რასაც წინამდებარე მონოგრაფიაში ნაწილობრივ შევცხეთ.

დასასრულ, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ქართველ ენათმეცნიერებს: პროფესორ ლალი ეზუგბაიას, რომელმაც გასწია წიგნის რედაქტირების ურთულესი შრომა და შემომთავაზა არაერთი ფასეული რჩევა და წინადადება; ასევე – პროფესორ თინათინ ბოლქვაძეს, ვისთან ერთადაც შევიმუშავეთ „ჩინური ენის მარცვალთა სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები“ და დროდადრო ვუბრუნდებით ჩინური ენის ფონეტიკის საკითხებზე მსჯელობას. ჩემთვის ძალიან ღირებულია მაღალკვალიფიციური ქართველოლოგების რჩევები და აზრის გაზიარება.

აქვე დიდ მადლობას ვუხდით წინამდებარე წიგნზე განეული შრომისთვის და თავდაუზოგავი მუშაობისთვის ჩემს ყველა ქართველ და ჩინელ კოლეგას, რომელთა გარეშეც ეს წიგნი სრულყოფილი ვერ იქნებოდა.

მარინე ჯიბლაძე
თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი

თავი I

ჩინური სალიტერატურო ენა და ჩინური ენის დიალექტები

წინამდებარე მონოგრაფიის სათაურში „ჩინური ენის ფონეტიკის საფუძვლები“ იგულისხმება თანამედროვე ჩინური ენა. შესიტყვება „თანამედროვე ჩინური ენა“ თანამედროვე სალიტერატურო ჩინური ენისა და ყველა ჩინური დიალექტის ერთობლიობის აღმნიშვნელია. დიალექტები თანამედროვე ჩინური ენის ბუნებრივი ნაირსახეობებია, ხოლო სალიტერატურო ენა არის საყოველთაო ნორმირებული ნაირსახეობა. ზოგადად, სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენა-შემუშავება რეფორმატორულ ცვლილებად განიხილება.

1.1 ჩინური სალიტერატურო ენა

ჩინური ენა შედის სინო-ტიბეტური ენების ოჯახში, რომელშიც ჩინურ ენასთან ერთად გაერთიანებულია მონათესავე ენები, როგორიცაა: დუნგანური, ტიბეტური, ბირმული და სხვა. ჩინურ ენაზე საუბრობენ ჩინეთში მცხოვრები ადამიანები (დაახლოებით 1,5 მილიარდი ადამიანი). ჩინური ენა არის ეთნიკური ჩინელების – ხანელების ენა. სწორედ ეთნიკური ჩინელების – ხანელების სახელწოდებიდან „ხან“ (ხანწუ „汉族“ – ჩინური ეთნოსი) მომდინარეობს სიტყვა „ხანიუ“ (汉语) – ჩინური ენა, ანუ ხანელების ენა.

ხანის დინასტიას (ძვ.წ. 221 – ახ.წ. 220) უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ჩინეთის ისტორიაში. ერთიანმა ჩინეთმა საბოლოო სახე სწორედ ხანის დინასტიის დროს მიიღო. დღემდე ჩინელი ერის ენდონიმი, ანუ სახელი, რომელსაც ეთნიკური ჯგუფი საკუთარ თავს უწოდებს, არის „ხანი“. „ხან“ (汉) დინასტიისა და ენდონიმის იეროგლიფიც ერთი და იგივეა (ჯიბლაძე 2022).

ამ ენაზე მოსაუბრე ხანელები შეადგენენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსახლეობის 95 პროცენტს, მასზე ასევე ლაპარაკობს 20-მილიონიანი ჩინური მოსახლეობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, როგორებიცაა: ვიეტნამი,

ლაოსი, ბირმა, ტაილანდი, ფილიპინები, ინდონეზია, მალაიზია, სინგაპური და სხვა. მთლიანობაში კი საზღვარგარეთ მინიმუმ 450 მილიონი ეთნიკური ჩინელი ცხოვრობს, ჩინურ ენაზე საუბრობს ჩვენი პლანეტის ყოველი მეხუთე ადამიანი. ჩინური ენა არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ენა, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ენა და გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა.

ჩინურის ენობრივი სივრცე შედგება არაჩინური ენობრივი არეალისა და ჩინური ენობრივი არეალისაგან. ეს უკანასკნელი კი არის ყველაზე დიდი თავისი მასშტაბებითა და ჩინურ ენაზე მოსაუბრეთა რაოდენობით. როგორც აღვნიშნეთ, დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ ეთნიკურად ჩინელები. ჩინური ენის არეალის მთავარ ენობრივ მახასიათებელს წარმოადგენს მრავალრიცხოვანი დიალექტები, რომელთა შორის მეტწილად ფონეტიკური, მაგრამ ასევე გრამატიკული და ლექსიკური განსხვავება ზოგჯერ იმდენად დიდია, რომ მათ წარმომადგენლებს შორის კომუნიკაცია ხშირად შეუძლებელია, მხოლოდ დიალექტის ათვისების ან მათთან ხანგრძლივი კომუნიკაციის გამოცდილების შეძენის შემდეგ ხდება შესაძლებელი. დიალექტებზე უფრო ვრცლად ვისაუბრებთ მოგვიანებით.

ჩინური სალიტერატურო ენა არის ჩინური ეროვნული ენის დახვეწილი, ნორმირებული სახე. ჩინური სალიტერატურო ენა ამავდროულად სამწერლობო ენაა:

- ა) ეროვნულ ენას ქმნის ერთობლიობა იმ ენობრივი მოვლენებისა და მასში მონაწილე ელემენტებისა, რომლებიც საერთოა როგორც ყველა (ან უმეტესი წილი) ტერიტორიული, სოციალური და პროფესიული დიალექტისთვის, ისე ყველა ზედიალექტური წარმონაქმნისათვის;
- ბ) სალიტერატურო ენა ეფუძნება ამ საერთო მონაცემს და მის ნორმირებულ, დახვეწილ სახეს წარმოადგენს. ჩინური სალიტერატურო ენა ითვალისწინებს ეროვნული ენის განვითარების ტენდენციებს და ატარებს ყველა იმ ნიშანს, რაც დამახასიათებელია ზოგადად სალიტერატურო ენაზე მეტყველებისათვის;
- გ) ჩინური სალიტერატურო ენა არის ნორმირებული;
- დ) ოფიციალური ურთიერთობის საშუალებაა (იგი გამოიყენება: სახელმწიფოს მმართველობაში, სასამართლოში, განათლების სფეროში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში, რელიგიაში, არმიასა და სპორტში, ყოფაცხოვრებაში).¹

ეროვნული ენა „ფუთუნგხუა“. სალიტერატურო თანამედროვე ჩინური ენა „ფუთუნგხუა“ (სიტყვასიტყვით „საყოველთაო ენა“) არის ნორმირებული ჩინური ენა, რომელიც აქტიურად ვითარდება. სწორედ ფუთუნგხუა არის ჩინეთის სა-

¹ ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული სალიტერატურო ენა და მისი ისტორია: <http://www.ice.ge/kartuliena/istoria.html> (ვებგვერდის ძველი ვერსია).

ხალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ენა, რომელიც ფორმირებულია ჩრდილოეთის დიალექტური ჯგუფის, **კუანხუას** (官话 „სამოხელეო ენა“) საფუძველზე.

ოფიციალურად ითვლება, რომ **ფუთუნგხუას** ჩრდილოეთის დიალექტებისა² და პეკინის დიალექტური ქვესახეობის სანარმოთქმო ნორმა³ უდევს საფუძველად. თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ სხვა დიალექტებიდან შესული ლექსიკაც შეინიშნება, მაგალითად, **უს** დიალექტური ჯგუფიდან შევიდა დღესდღეობით ძალიან გავრცელებული ლექსიკა: 垃圾 lājī (ნაგავი), 尴尬 gān'gà (უხერხულობა); **იუეს** დიალექტური ჯგუფიდან: 打的 dǎdī (ტაქსით მგზავრობა), 埋单 máidān (ანგარიშის გადახდა) და სხვ. გრამატიკული ნორმები კი ორიენტირებულია ცოცხალ, თანამედროვე ჩინურ ენაზე და ახალ ლიტერატურულ ნაწარმოებებზე. მაგალითად, პეკინის დიალექტური ქვესახეობიდან ვერ შევა ზოგიერთი გრამატიკული ფორმა, როგორიცაა: კონსტრუქცია 跟+处+V, ამბობენ 跟家带着 (სწორი ფორმაა: 在家待着), ასევე: 腿儿这去 (სწორი ფორმაა: 走着去). ფუთუნგხუა აქტიურად არის გავრცელებული ჩინეთის ცხოვრების ყველა სფეროში, პირველ რიგში კი, საგანმანათლებლო სისტემაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში – ტელემაუწყებლობაში, რადიომაუწყებლობაში, ინტერნეტში, მობილურ ტელეფონებში.

ერთიანი ზეპირი მეტყველების ეროვნული ენის ფორმირება რთული საკითხი იყო თანამედროვე ჩინეთისთვის, გამომდინარე თავისი მასშტაბებისა და პოლიცენტრული ენობრივი სიტუაციისაგან, რომელიც ყალიბდებოდა 3 ათასწლეულის განმავლობაში.

ჩინეთი, როგორც ცენტრალიზებული სახელმწიფო, არსებობს ძვ. წ. III საუკუნიდან, ამიტომაც კომუნიკაციის ერთიანი საშუალების ფორმირების მოთხოვნილება უკვე მაშინ გაჩნდა. ჩინეთი მას შემდეგ ბევრად გაფართოვდა, მაგრამ ენობრივი ინტეგრაცია ვერ ეწეოდა ქვეყნის ტერიტორიის ზრდას. ამიტომ ენობრივი კუთხით მეტნაკლებად ინტეგრირებული რჩებოდა ჩრდილოეთ ჩინეთი, რადგან მოხელეებს უწევდათ ხშირად ჩასვლა ქვეყნის დედაქალაქში, სადაც ხდებოდა შეკრება. ხშირად ამიტომაც მთელი ქვეყნის სალიტერატურო ენის საფუძველად არჩეული იქნა ჩინეთის დედაქალაქ პეკინის დიალექტური ქვესახეობა. ჩინელ მოხელეებს (官 „კუან“) დასავლეთ ევროპაში ისტორიულად უწოდებდნენ – **მანდარინს**, ამიტომ სამოხელეო ენას და მის გამომხატველ პეკინურ დიალექტს დასავლეთში ზოგჯერ ეწოდებოდა მანდარინი ჩინური (Mandarin Chinese). რაც შეეხება უშუალოდ სიტყვას „მანდარინ“, პორტუგალიურ ენაში ნიშნავს

2 აქ იგულისხმება, რომ, ძირითადად, ჩრდილოეთის დიალექტების ლექსიკა შევიდა ფუთუნგხუაში, თუმცა პეკინის დიალექტური ქვესახეობა უამრავ კილო-კავს მოიცავს და ლექსიკა არა სრულად, არამედ ნაწილობრივ შევიდა, ძირითადად, ფართოდ გავრცელებული ლექსიკა.

3 თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა პეკინური ნარმოთქმა სრულად შევიდა ფუთუნგხუაში, მაგალითად, პეკინურში ჭარბობს მსუბუქი ტონი და ერიზაციის მოვლენა, ფუთუნგხუაში მხოლოდ მათი ნაწილი შეითვისა.

– მინისტრს, მოხელეს, სანსკრიტზე – „მანტრინ“ აღნიშნავს „მრჩეველს“. ასე უწოდებდნენ პორტუგალიელები იმპერიული ჩინეთის მოხელეებს. სახელწოდება წარმოიშვა პორტუგალიური ენიდან და შეესაბამება ჩინურ სიტყვას „კუან“ (官 „მოხელე“), მოგვიანებით კი ტერმინით „მანდარინ“ დასავლურ სამყაროში დაიწყო მოხელეების მეტყველების სტილის აღნიშვნა, რომელიც ჩრდილოეთის დიალექტებზე დაფუძნდა (სიტყვასიტყვით კუანხუა – „მანდარინის მეტყველება“). მეოცე საუკუნეში უკვე იყენებდნენ ჩინური ენის სახელმწიფო ნორმის აღსანიშნავად, დღეს კი ცნობილია სწორედ, როგორც „ფუთუნგხუა“.

ეროვნული ენისთვის მოძრაობის ისტორიაში, რომელიც დაიწყო სინხაის რევოლუციამდე (1911 წ.) ცოტა ხნით ადრე, უამრავი მოსაზრება იქნა გამოთქმული იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ეროვნული ენა და, შესაბამისად, მისი გავრცელების გზები.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების შემდეგ ჩინური ენათმეცნიერების ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო, სწრაფად ვითარდებოდა კვლევის ყველა მიმართულება. დისკუსია ეროვნული ენის ირგვლივ არ წყდებოდა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების დღიდან ფართო გამოყენებიდან ამოიღეს ეროვნული ენის „კუოიუს“ სახელწოდება, რომელიც 1907 წლიდან ცინგის ჩინეთის, ანუ ჯერ კიდევ იმპერიული ჩინეთის, განათლების სამინისტრომ პირველად ჩინეთის ისტორიაში შემოიღო საშუალო სკოლებში სწავლების პროექტის სახით. პროექტზე მსჯელობისას გამოითქვა მოსაზრება, რომ კუანხუას „მოხელეების ენის“ მაგივრად, დარქმეოდა „კუოიუ“ – „ეროვნული ენა“ იმისათვის, რომ ხაზგასმული ყოფილიყო ამ ენის საყოველთაო ხასიათი. მაშინვე გადაწყდა, ეროვნული ენის შექმნა დაწყებულიყო ეროვნული წარმოთქმის სტანდარტიზაციით. მიმდინარეობდა ერთიანი საწარმოთქმო სისტემისა და მისი აღმნიშვნელი ანბანის შექმნა. „კუანხუა“ გახდა ეროვნული ენის სტატუსის კანდიდატი, რადგან მას ჰქონდა ორი უმთავრესი თვისება: იყო დიალექტებში ყველაზე გავრცელებული და ემყარებოდა ყველაზე განვითარებულ ლიტერატურულ ტრადიციას.

ტერმინი „კუოიუ“ აღარ გამოიყენებოდა პოპულარულ ლიტერატურაში, ოფიციალურად კი ამოღებულ იქნა ხმარებიდან 1955 წლის ოქტომბერში, დამწერლობის რეფორმის შესახებ სრულიად ჩინეთის კონფერენციაზე და ეროვნულ ენას ეწოდა „ფუთუნგხუა“, რომელიც ჯერ კიდევ 30-40-იანი წლების დისკუსიებში გამოიყენებოდა, თუმცა მისი ენობრივი და ფუნქციური მახასიათებლები ძალიან ჰგავდა „კუოიუს“.

ჭოუ ენლაი „ფუთუნგხუას“ უწოდებდა ჩინეთის მომავალ საერთო ენას და მოუწოდებდა ყველას ეტაპობრივად გაეგრძელებინათ იგი ჩინეთის ტერიტორიაზე. ფუთუნგხუას გავრცელების მთავარი მიზანი იყო მაშინდელი 600 მილიონიანი მოსახლეობის დიალექტების თანდათანობითი უნიფიკაცია.

გავრცელების ერთ-ერთ საშუალებად იგი მიიჩნეოდა სკოლის მასწავლებლების გადამზადებას, ლექციებს რადიოთი და ტელევიზიით. იმ ეტაპისთვის მისი სრულყოფილი ცოდნა არ მოეთხოვებოდა ყველას, მხოლოდ გარკვეული ნაწილის დაუფლება იყო საკმარისი. მთავარი მიზანი იყო ფუთუნგხუას საშუალებით ერთმანეთთან კომუნიკაციის გამარტივება. სრულყოფილად უნდა სცოდნოდა იმ პირებს სხვადასხვა სფეროდან, რომელთაც მუდმივი კომუნიკაცია უნებდა ხალხთან: სახელმწიფო მოხელეებს, მსახიობებს, რადიოსა და ტელევიზიის წამყვანებს, უმაღლესი სასწავლებლების ლექტორებს. სასურველი იყო დაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებლებსაც სრულყოფილად სცოდნოდათ ფუთუნგხუა. ჭოუ ენლაის ჩანაფიქრი იყო, ეროვნულ ენას შეენარჩუნებინა სოციალური დიალექტის მახასიათებლები.

ვინც ეუფლებოდა სრულყოფილად ფუთუნგხუას, მათ ევალებოდა მისი პოპულარიზაცია, გავრცელება და სწავლება. ძირითადი კონტინგენტი, ვისაც უნდა სცოდნოდა ფუთუნგხუა, იყო ახლაგაზრდობა, ხოლო ოდნავ მოგვიანებით სკოლაში ფუთუნგხუას სწავლება გახდა გავრცელების ყველაზე ეფექტიანი გზა.

ფუთუნგხუას საყოველთაო ენად, ოფიციალური ორგანოების, რადიოსა და ტელევიზიის, კინოსა და თეატრის ენად გადაქცევის პროგრამა მიღებული იქნა სრულიად ჩინეთის ენისა და დამწერლობის დარგში სამუშაო კონფერენციაზე 1986 წლის იანვარში.

ეკონომიკურ სტაბილურობასთან ერთად, ერთიანი ეროვნული ენა არის ჩინეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ერთიანობის სიმბოლო და იგი ინტენსიურად ვრცელდება არა მხოლოდ ჩინეთში, არამედ მის საზღვრებს მიღმაც.

აღსანიშნავია ის, რომ ჩინეთის ერთიანობის მიღწევა ყოველთვის უკავშირდება ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცების გადალახვას, ასევე მისი საერთო კულტურული და ენობრივი სივრცის შენარჩუნებისთვის ხელშეწყობას. ეროვნული ენა – ფუთუნგხუა უწყობს ხელს ჩინეთის ენობრივ ერთფეროვნებას, რადგან ის შექმნილია ჩინეთის ყველაზე დიდი დიალექტური ჯგუფის ბაზაზე.

რას ნიშნავს (现代汉语) თანამედროვე ჩინური ენა? ფართო გაგებით, ეს არის თანამედროვე ხანის ეროვნების ხალხის მიერ გამოყენებული ენა. ის მოიცავს საყოველთაოდ გავრცელებულ სალიტერატურო ჩინურ ენას – ფუთუნგხუას და ყველა ჩინურ დიალექტურ ჯგუფს. თუმცა „თანამედროვე ჩინურ ენაში“ ძირითადად მაინც თანამედროვე ჩინური ენა ფუთუნგხუა იგულისხმება.

უნივერსიტეტის სპეციალობა „თანამედროვე ჩინური ენა“ კი გულისხმობს ფუთუნგხუას და სწავლობს ფონეტიკას, ლექსიკოლოგიას, გრამატიკასა და იეროგლიფიკას.

1.2 ჩინური ენის დიალექტები

ჩინეთში ჩამოსული უცხოელი სტუდენტი ადვილად შეამჩნევს, რომ ჩინეთის სხვადასხვა კუთხეში განსხვავებულად საუბრობენ, განსაკუთრებით ვერ იგებენ ამა თუ იმ კუთხეში მცხოვრებ ჩინელებს შორის თავიანთ დიალექტზე საუბარს. ჩინელისთვისაც კი რთულად გასაგებია სხვა დიალექტზე მოსაუბრე ჩინელის ზეპირი მეტყველება. თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, დაკვირვების შედეგად, ზოგიერთი დიალექტი გასაგები ხდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგებ მის მახასიათებლებსა და თავისებურებებს. ამიტომ ჩინეთში ჩასვლამდე ჩინური ენის შემსწავლელთათვის სასურველია, ჩინური ენის დიალექტების შესახებ საბაზისო ცოდნის შეძენა.

ზოგჯერ, ერთი დიალექტის რეგიონშიც კი უამრავი დიალექტური ქვესახეობის გამო, შეიძლება კარგად არ ესმოდეთ ადგილობრივ მცხოვრებებს ერთმანეთის.

ამდენად, დიალექტი არის საერთო-სახალხო ენის განშტოება, რომელზედაც საუბრობენ ამა თუ იმ კუთხეში. ამ კუთხეების მცხოვრებთა სალაპარაკო ენა ნაწილობრივ განსხვავდება საყოველთაო ეროვნული ენისაგან. ტერიტორიულ დიალექტს აქვს თავისი გრამატიკული წყობა და ლექსიკური ფონდი. საერთო-სახალხო ენის წარმოშობის დროს ერთ-ერთი დიალექტი შეიძლება საფუძვლად დაედოს მას, იმავე საყოველთაო ეროვნულ ანუ სალიტერატურო ენას. მაგალითად, ქართველი ხალხის საერთო ეროვნულ ენას საფუძვლად უდევს ქართლ-კახური დიალექტი. რაც შეეხება ჩინურ ენას, ჩვენ უკვე ზემოთ გვქონდა ამაზე საუბარი (იხილეთ: 1.1 ჩინური სალიტერატურო ენა).

ჩინურის დიალექტთა გამაერთიანებელი საყოველთაო ენის დამკვიდრებამდე იყო მხოლოდ იდეოგრაფიული დამწერლობა, რომელიც არსებულ საკომუნიკაციო ბარიერს შლიდა.

დიალექტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა მარტო ენის გრამატიკული წყობით, არამედ განსაკუთრებით განსხვავდებიან ფონეტიკური თავისებურებით. ზოგჯერ შეიძლება გაიგონოთ ლიტერატურული ენის გრამატიკულად, ლექსიკურად და ფონეტიკურად დამახინჯებული ფორმები, რომლებიც ეწინააღმდეგება სალიტერატურო ენის საერთო ბუნებას. როგორც ვიცით, რაც უფრო მაღალია განათლებისა და კულტურის დონე, მით უფრო ქრება მსგავსი უმართებულო ენობრივი ფორმები ამა თუ იმ კუთხის ლექსიკური ფონდიდან, თუმცა ამ პროცესს ჩინეთის ხელისუფლების სერიოზული მხარდაჭერა აქვს.

მწერალი, ზოგადად, კუთხურ ენას ტიპიზაციის მიზნით მიმართავს. დიალექტის გამოყენებისას იცავენ ზომიერებას და იჩენენ სიფრთხილს. თუ კუთხის ან ადამიანთა კონკრეტული ჯგუფისათვის დამახასიათებელი სიტყვები გადაჭარბებით იქნა გამოყენებული, მაშინ აზრი შეიძლება სრულიად გაუგებარიც დარჩეს.

ასეთ დიალექტიზმებს ჩინეთში დროდადრო უპირისპირდებიან, მაგრამ ასევე ითვალისწინებენ ხალხური მეტყველების მნიშვნელობას სალიტერატურო ენის გამდიდრების საქმეში. ხალხის მეტყველება ინახავს ისეთ გამოთქმებს, რომლებიც სალიტერატურო ენისთვისაც მისაღებია. თუმცა სოციალური ქსელების გამო უამრავი პრობლემა იქმნება ამ თვალსაზრისით და ჩინელი ლინგვისტები ცდილობენ განდევნონ ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც ანაგვიანებს ჩინურ ენას და ეწინააღმდეგება მის საერთო ბუნებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩინური ენა, სალიტერატურო ენის გარდა, აერთიანებს მრავალ ადგილობრივ დიალექტს, რომელთა მატარებლები მეტნაკლებად, ან საერთოდ ვერ უგებენ ერთმანეთს. განსაკუთრებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან ჩრდილოეთისა და სამხრეთის დიალექტები, რომელთა შორის წყალგამყოფია ყველაზე დიდი მდინარე ჩანგძიანგი (იხილეთ სურ. 1).



სურ. 1 გამყოფი ზოლი ჩინეთის ჩრდილოეთისა და სამხრეთის შორის

ჩანგძიანგის ზედა ნაწილზე, ჩრდილოეთით გავრცელებულია ჩრდილოეთის დიალექტების ჯგუფები „კუანხუა“; მოსახლეობა ჩანგძიანგის ქვედა ნაწილში, უფრო სამხრეთით, საუბრობს სამხრეთის დიალექტებზე. თუმცა, ჩრდილოეთის დიალექტებზე საუბრობენ არა მხოლოდ ჩრდილოეთ ჩინეთში, არამედ ასევე ქვეყნის დასავლეთსა და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ესენია პროვინციები: სჩუანში, იუნნანში, კუეიჭოუში.


ყოველი დიალექტური ჯგუფი კიდევ იყოფა მრავალ კუთხურ და ადგილობრივ ქვესახეობად, რომლებზედაც მოსაუბრეებს შორის ასევე რთულია კომუნიკაცია. ხშირად რამდენიმე სოფელი ან ერთი ოლქი საუბრობს განსხვავებულ კილოკავზე, რომელიც გაუგებარია მეზობლებისთვის.

ასეთი დიალექტური განსხვავება განაპირობა ჩინეთის ხანგრძლივმა და რთულმა ისტორიამ, ასევე ქვეყნის ლანდშაფტურმა მრავალფეროვნებამ. ამ მრავალფეროვან დიალექტებს აკავშირებს ერთმანეთთან იეროგლიფური დამწერლობა და კულტურა. უნიკალობა გამოიხატება იმით, რომ მაშინ, როცა რთული იყო ერთმანეთის გაგება, სხვადასხვა დიალექტის წარმომადგენლები ქალაქისა და კალმის დახმარებით ურთიერთობდნენ ერთმანეთთან. ნებისმიერი ჩინური წერილობითი ტექსტი გასაგებია ნებისმიერი დიალექტის მატარებლისთვის, ამიტომ იეროგლიფური დამწერლობა დღემდე მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

გეოგრაფიული არეალები, რომელთაც იკავებენ დიალექტური ჯგუფები, თავიანთი ზომებითა და მასშტაბებით განსხვავებულია.

ჩრდილოეთის დიალექტებზე საუბრობს ჩინეთის მოსახლეობის სამი მეოთხედი (იუენ 1960). ყველა დანარჩენი დიალექტური ჯგუფი მასზე მოსაუბრეთა რიცხვითა და გავრცელების არეალის მასშტაბით ჩამორჩება ჩრდილოეთის დიალექტებს. მათ უკავია ქვეყნის ტერიტორიის თითქმის ერთი მეოთხედი და მათზე საუბრობს მოსახლეობის არა უმეტეს მეოთხედისა. თუმცა, ყოველი ჯგუფის ამ დიალექტებზე მოსაუბრეთა რიცხვი შეესაბამება დიდი ევროპული ქვეყნის მოსახლეობის რიცხვს. ასევე აღსანიშნავია, რომ უდიდესია ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა იმ რეგიონებისა, რომლებიც მიემართება აღმოსავლეთ ჩინეთისა და სამხრეთ ჩინეთის ზღვების სანაპიროებს.

ჩინური ენის 7 დიალექტური ჯგუფი. ჩინეთის ლინგვისტები თანამედროვე ჩინურ ენას ყოფენ 7 დიალექტურ ჯგუფად: კუანხუა (ჩრდილოეთის დიალექტები) 官话/北方方言, უ 吴语, სიანგი 湘语, კანი 赣语, ხაკკა/ქეძია 客家话, იუე 粤语, მინი 闽语. აქედან ყველაზე გავრცელებულია ჩრდილოეთის დიალექტების ჯგუფი – კუანხუა, რომელზეც მეტყველებს მოსახლეობის უმრავლესობა და რომლის მთავარი წარმომადგენელია პეკინის დიალექტური ქვესახეობა – პეკინური კუანხუა (იხილეთ სურ. 2).



სურ. 2 ჩინური დიალექტური ჯგუფების რუკა

კვლევისას ყურადღება გამახვილებულია ფონეტიკაზე, ამიტომ დიალექტების კლასიფიკაცია ნაშრომში, ძირითადად, მოცემულია მათ შორის ფონეტიკური განსხვავების მიხედვით, ლექსიკა და გრამატიკა მეორეხარისხოვანია, რადგან მთლიანობაში დიალექტებს საერთო ან მსგავსი გრამატიკული წყობა და ლექსიკური შემადგენლობა აქვთ. ფონეტიკური განსხვავება, ძირითადად, გამოიხატება ბგერითი შემადგენლობისა და ტონების სისტემის მხრივ. ეს ფონეტიკური სხვაობა ხელს უშლის დიალექტებზე მოსაუბრეებს გაგებინებაში. თუმცა დიალექტების ერთი ჯგუფის წარმომადგენლებს უფრო მარტივად ესმით ერთმანეთისა, ვიდრე მეორე ჯგუფის წარმომადგენლებს. სრული ურთიერთგაგება მიიღწევა იეროგლიფური დამწერლობის გამოყენებისას, რომელიც საერთო ეროვნული და ერთიანია ჩინეთის ყველა დიალექტისთვის.

რადგან **კუანხუას** დიალექტებს ამავე ქვეთავის ცალკე პუნქტად განვიხილავთ, მსჯელობას დავიწყებთ **უს** დიალექტით.

უს დიალექტური ჯგუფი, ძირითადად, გავრცელებულია ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (უფრო დეტალურად იხილეთ სურ. 3). **უს** დიალექტურ ჯგუფს ჩრდილოეთის დიალექტზე ერთით მეტი ტონი აქვს.

იუეს დიალექტური ჯგუფის სახელწოდება მოდის კუანგტუნგის პროვინციის აბრევიატურისგან „იუე“, ანუ იუეს დიალექტური ჯგუფი რეალურად არის კუანგტუნგური. იუეს დიალექტურ ჯგუფში ყველაზე მეტი, კერძოდ, ცხრა ტონია. ეს მეტყველება საზღვარგარეთ, ძირითადად, გავრცელებულია სინგაპურში, მალაიზიაში, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და კანადაში.

მინის დიალექტური ჯგუფის სახელწოდება „მინი“ არის ფუძიენის პროვინციის აბრევიატურა. ამიტომ მინის დიალექტურ ჯგუფს ხშირად უწოდებენ „ფუძიენურს“. ფუძიენის პროვინციასთან ახლომდებარე კუანგტუნგის ნაწილი ასევე მეტყველებს მინის დიალექტზე. მინის მეტყველების შიდა დიფერენციაციაც ხდება. ლინგვისტებს მიაჩნიათ, რომ მინის დიალექტური ჯგუფი შეიძლება დაიყოს მინპეის (闽北 ჩრდილოეთ-ფუძიენურ) და მინნანის (闽南 სამხრეთ-ფუძიენურ) ქვესახეობებად, ამ უკანასკნელზე საუბრობენ თაივანში.

მინის დიალექტურმა ჯგუფმა შეინარჩუნა ძველი ჩინური ენის მახასიათებლები. მასში შვიდი ტონია. მინის დიალექტური ჯგუფი საზღვარგარეთ გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთ ქვეყანაში.

სიანგის დიალექტური ჯგუფის სახელწოდება „სიანგი“ არის ხუნანის პროვინციის აბრევიატურა, ამიტომ სიანგის დიალექტებს ასევე ეწოდება „ხუნანური“. სიანგის დიალექტს ყოფენ ახალი სიანგის დიალექტურ ქვესახეობად და ძველი სიანგის დიალექტურ ქვესახეობად. ძველი სიანგის დიალექტური ქვესახეობის მეტყველება შედარებით რთული გასაგებია, ხოლო ახალი სიანგის დიალექტური ქვესახეობა ახლოს დგას ჩრდილოეთის დიალექტური ჯგუფის სამხრეთ-დასავლეთის კუანხუასთან, ამიტომ შედარებით გასაგებია.

ხაკკას (ქეძიას) დიალექტური ჯგუფი არის იმ ხანელების დიალექტი, რომლებიც შუა საუკუნეებში ცენტრალური დაბლობიდან სამხრეთში დასახლდნენ. ეს დიალექტი ინარჩუნებს შუა საუკუნეების ცენტრალური დაბლობის მიდამოების ჩინური ენის მახასიათებლებს. სიანგისა და მინის დიალექტებთან შედარებით უფრო მარტივი გასაგებია ხაკკას დიალექტები.

კანის დიალექტური ჯგუფის „კანი“ აღნიშნავს ძიანგის პროვინციას და ასევე ეწოდება „ძიანგის დიალექტი“.

დიალექტი, ასე თუ ისე, გასაგებია სტანდარტული ენის მატარებლებისთვის, თუმცა ჩინურ ენაში არსებობს ისეთი ორი ოფიციალურად დიალექტად აღიარებული იუეს (კანტონური) და უს (შანგხაური) დიალექტები, რომლებიც აბსოლუტურად გაუგებარია რიგითი ჩინელისთვის.

ვეცდებით მოკლედ, ცხრილის სახით, წარმოვადგინოთ დიალექტების მონაცემები:

დიალექტები	მოსახლეობის მოცულობა, %	ადმინისტრაციული დანაყოფები, რომელსაც მოიცავს
კუანხუა (ჩრდილოეთის დიალექტები)	70-73	პეკინი ; ყველაზე ფართოდ არის გავრცელებული (იხ. სურ. 4)
უ	7.2-8.5	სუჭოუ ; შანგხაი, ძიანგსუს პროვინციის ნაწილი, ჭეძიანგის პროვინციის დიდი ნაწილი
იუე	4-5	კუანგჭოუ ; კუანგტუნგი, კუანგსი, სიანგკანგი (ჭონგკონგი), აომენი და სხვ.
მინი	4-5.7	ფუძიენი ; ხაინანი, თაივანი და სხვ.
სიანგი	3.2-5	ჩანგშა ; ხუნანი
ხაკკა (ქეძია)	3.6-4	კუანგტუნგის მეიჭოუ ; კუანგტუნგი, ფუძიენი, თაივანი, ძიანგსი, კუანგსი და სხვ.
კანი	2.5-3.3	ნანჩანგი ; ძიანგსი

სურ. 3 ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დიალექტების გავრცელება


ჩინური დიალექტები გამოირჩევა იმით, რომ ძალიან არაპროპორციულად არის განაწილებული ჩინეთის ტერიტორიაზე. კუანხუა თუ ძალიან ფართოდ არის გავრცელებული, კერძოდ კი, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთში, აღმოსავლეთში, ჩრდილოეთში, ჩრდილო-დასავლეთსა და სამხრეთ-დასავლეთის რეგიონის დიდ ნაწილში, დანარჩენი ექვსი დიალექტი ძირითადად თავს იყრის ჩანგძიანგის სამხრეთ და აღმოსავლეთ (სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთ-ცენტრალური ნაწილი) რეგიონში.

თითოეული დიალექტური ჯგუფი იყოფა ქვესახეობად, ანუ დიალექტური ჯგუფის ძირითად ქვესახეობად და თითოეული ქვესახეობა – სხვადასხვა კილო-კავად, რომლებზეც მეტყველება სხვადასხვა კუთხეში ასევე განსხვავდება გამოთქმით ან ადგილობრივი ლექსიკით. მაგალითად, ჩრდილოეთის დიალექტების სხვადასხვა ქვესახეობასა და სხვადასხვა კილო-კავს შორის სხვადასხვა ადგილებში ასევე არსებობს განსხვავება, ზოგჯერ საკმაოდ დიდიც.

ემიგრანტები ადრე უფრო იუეს, მინის და ხაკკას დიალექტებზე საუბრობდნენ, რადგან ამ დიალექტებზე მოსაუბრე რეგიონებიდან ხდებოდა მოსახლეობის ხშირი გადინება, თუმცა ბოლო პერიოდში თითქმის ყველა მათგანის შთამომავალი აქტიურად ითვისებს ფუთუნგხუას და ემიგრანტების რიცხვს ემატება ბოლო დროს ჩინეთიდან გასული ახალი ნაკადები.

კუანხუა. ჩინეთის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრები ხანელები საუბრობენ აღნიშნულ დიალექტებზე, ამიტომ ეწოდება ჩრდილოეთის დიალექტები, თუმცა ისინი, რომლებიც არ ცხოვრობენ ჩრდილოეთში, უკვე ასევე საუბრობენ ჩრდილოეთის დიალექტზე, რადგან მის ბაზაზე შეიქმნა საყოველთაო სალიტერატურო ენა ფუთუნგხუა. კუანხუა მოიცავს ფართო ტერიტორიას: ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის რეგიონის ხეილუნგძიანგის პროვინციიდან დასავლეთით ტიბეტამდე, ჩრდილოეთ დასავლეთის სინძიანგიდან სახრეთ-დასავლეთით იუნნანის პროვინციამდე ხანელები საუბრობენ ჩრდილოეთის დიალექტებზე. აღნიშნულ ტერიტორიებზე ეროვნული უმცირესობაც საუბრობს ჩინურ ენაზე, კონკრეტულად კი, კუანხაუზე. რასაკვირველია, ვისი მშობლიური ენაც არ არის ჩინური, იმათ მეტყველებას მაინც დაჰკრავს თავისი მშობლიური ენის საწარმოთქმო თავისებურება. ხანელების 70%-ზე მეტი საუბრობს კუანხუაზე. კუანხუას ფონეტიკური სისტემა სხვა დიალექტებთან შედარებით მარტივია. ჩრდილოეთის დიალექტების უმრავლესობას მხოლოდ ოთხი ტონი აქვს.

უფრო დეტალურად თუ განვიხილავთ, კუანხუას არეალის მოსახლეობა შეადგენს მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 70% და მოიცავს ჩინეთის ჩრდილოეთ ნაწილს, კუეიჭოუს, სჩუანის, იუნნანისა და ცენტრალური ჩინეთის ტერიტორიის ნაწილს. იყოფა 8 ქვედანაყოფად რაოდენობის მიხედვით: 1) ჩრდილო-აღმოსავლეთის კუანხუა 东北官话; 2) პეკინური კუანხუა 北京官话; 3) ძილუ კუანხუა 冀鲁官话 (ხეპეი-შანტუნგის კუანხუა); 4) ძიაოლიაო კუანხუა 胶辽官话 (შანტუნგისა და ლიაოტუნგის ნახევარკუნძულების კუანხუა); 5) ჭუნგიუენის კუანხუა 中原官话 (ჭუნგიუენის ვაკის რაიონები: სიუჭოუ, ჭენგჭოუ, სიანი, სინინგი და ასევე სინძიანგ-უილურეთის სამხრეთ ნაწილი); 6) ლან-ინის კუანხუა (ლანჭოუ-ინჩუანი, ასევე სინძიანგ-უილურეთის აღმოსავლეთ ნაწილი) 兰银官话; 7) ძიანგ-ხუაის კუანხუა 江淮官话 (უხანი, ხეფეი, თაიჭოუ, იენჩენი და სხვა); 8) სამხრეთ-დასავლეთის კუანხუა 西南官话 (იხილეთ სურ. 4).



 ჩრდილო-აღმოსავლური კუანხუა	 ჭუნგიუენის კუანხუა
 პეკინური კუანხუა	 ლან-ინის კუანხუა
 ძილუ კუანხუა	 ძიანგ-ხუაის კუანხუა
 ძიაოლიაო კუანხუა	 სამხრეთ-დასავლური კუანხუა

სურ. 4 კუანხუას დიალექტების რუკა


კუანხუას დიალექტებს შორის, ჩრდილო-აღმოსავლეთის (ძილინის, ლიაონინ-გისა და ხეილუნგიანგის პროვინციების დიალექტები) და ძილუს დიალექტები ყველაზე ახლოს დგანან პეკინურ კუანხუასთან. უფრო დეტალურად გასაცნობად, იხილეთ ცხრილი (სურ. 5).

კუანხუას დიალექტები	კუანხუაზე მოსაუბრე მოსახლეობის რაოდენობა	ადმინისტრაციული დანაყოფი, რომელსაც მოიცავს ესა თუ ის კუანხუა
ჩრდილო- აღმოსავლეთის კუანხუა	120 000 000	ძირითადად ხეილუნგძიანგი, ძილინი, ლიაოტუნგის დიდი ნაწილი, შიდა მონღოლეთის აღმოსავლეთი ნაწილი, ასევე ხეპეის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილი და სხვ.
პეკინური კუანხუა	15 000 000	ასევე ეწოდება ხუაპეი კუანხუა; ძირითადად პეკინი, ხეპეის ჩრდილოეთი და შიდა მონღოლეთის შუა ნაწილი და სხვ.
ძილუ კუანხუა	90 000 000	ხეპეის დიდი ნაწილი, თიენძინი, შანტუნგის ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, ასევე პეკინის ნაწილი, შანსის ნაწილი, შიდა მონღოლეთის ნაწილი და სხვ.
ძიაოლიაო კუანხუა	30 000 000	შანტუნგის პროვინციის ძიაოტუნგის ნახევარკუნძული, ლიაონინგის პროვინციის ლიაოტუნგის ნახევარკუნძული, ძიანგსუს პროვინციის კანიუ და სხვ.
ჭუნგიუენ კუანხუა	180 000 000	წარმომადგენლობითი – ხენანი. ხენანი, ძიანგსუს სიუჭოუ, შანსის კუანჭუნგი, შანტუნგის სამხრეთ ნაწილი, შანტუნგი, ხეპეი, ხენანი, შანსი, ძიანგსუ, ანხუეი, კანსუ, ნინგსია, ცინგხაი, სინძიანგი.
ლან-ინ კუანხუა	16 900 000	კანსუ, ცინგხაი, ნინგსია, სინძიანგის ნაწილი და სხვ.
სამხრეთ- დასავლეთის კუანხუა	260 000 000	სჩუანი, ჩუნგცინგი, კუეიჭოუ, იუნნანი, ხუპეი, ასევე კუანგსი-ჭუნგნუს ავტონომიური რეგიონის ჩრდილოეთი, ხუნანის პროვინციის დასავლეთი ნაწილი, შანსის პროვინციის სამხრეთ ნაწილი.
ძიანგ-ხუაი კუანხუა	70 000 000	ჩანგძიანგის ჩრდილოეთ მონაკვეთის სხვა ნაწილი. ძიანგსუს (სიუჭოუს გარდა) და ანხუეის დიდი ნაწილი, ხუპეის ნაწილი, ძიანგსის ნაწილი.

სურ. 5 კუანხუას გავრცელების ცხრილი

რომ შევაჯამოთ, ჩინეთში დიალექტურ ჯგუფებად დაყოფა ძირითადად განპირობებულია გეოგრაფიული და ისტორიული ფაქტორებით. ამ დიალექტური ჯგუფების ერთიანობას განაპირობებს დამწერლობა, რომელიც საერთოა ყველასთვის ჩინეთში. ფუთუნგხუას შემოღებით ყველა ენობრივი ჯგუფი იქცა დიალექტად, ფუთუნგხუა კი – ძირითად ენად. რადგან დიალექტური ჯგუფები ითვლება კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის დიდ საგანძურად, ჩინელები ძალიან სათუთად ინახავენ და იცავენ მას. თუმცა, ჩინეთში დიალექტებზე მოსაუბრე მოსახლეობა ხშირად დარდობს იმაზე, რომ მომავალი თაობა ნაკლებად მეტყველებს დიალექტზე ფუთუნგხუას ფართოდ გავრცელებისა და ქვეყნის განვითარების ძალიან სწრაფი ტემპის გამო.

უფრო თვალსაჩინო და გასაგები რომ იყოს ის, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, გთავაზობთ კლასიფიკაციის სქემას (სურ. 6) შეჯამების სახით:



სურ. 6 ჩინური ენის კლასიფიკაცია

თავი II

ჩინური ენის ფონეტიკური სისტემა

2.1 მოკლე ცნობები ფონეტიკის შესახებ

2.1.1 ფონეტიკა

ფონეტიკა არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის სამეტყველო ბგერების წარმოების გზებსა და მათ აკუსტიკურ თვისებებს (ლინგვისტური ტექნოლოგიების ჯგუფი, ქართული ონლაინ ლექსიკონი). ფონეტიკა შეისწავლის ისეთ ბგერებს, რომლებსაც ადამიანი იყენებს მეტყველებისას ანუ ადამიანების სიტყვიერი ურთიერთობისათვის სოციალურად ღირებულ ბგერებს. სამეტყველო ბგერათა რიცხვი ყველა ენაში განსაზღვრულია ამ ენის ისტორიის ყოველ საფეხურზე. ბგერები დროთა განმავლობაში იცვლება და ექვემდებარება გარკვეულ კანონზომიერებებს.

ფონეტიკა სამეტყველო ბგერებს შეისწავლის მათი წარმოთქმა-გაგონებისა და, მაშასადამე, მათი სოციალური დანიშნულების მიხედვით.

ჩვენ განვიხილავთ ჩინური ენის ფონეტიკას, ანუ კონკრეტული ენის ბგერით ფორმას, რაც წარმოადგენს კერძო ფონეტიკის საგანს. ამ შემთხვევაში წარმოვადგენთ ჩინური ენის ბგერათშედგენილობას, ბგერათა დახასიათებასა და კლასიფიკაციას.

ჩინური ენის წარმოთქმის ელემენტებს (სამეტყველო ბგერები, მათი შეერთება, ტონები და ინტონაცია) ჩვენ შევისწავლით აღწერითი ანუ სტატისტიკური მეთოდით, შესაბამისად, წარმოვადგენთ აღწერით ფონეტიკას, ანუ ვააანალიზებთ წარმოთქმის ელემენტებს დროის გარკვეულ მონაკვეთზე – ესაა დღევანდელი ჩინური ენა, რომელზეც წარმოთქმის ელემენტები მეტ-ნაკლებად უცვლელი ჩანს. პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს, თუ როგორია ამ ენის ბგერითი შედგენილობა, როგორ წარმოითქმის თითოეული ბგერა, როგორია ყოველი მათგანის დისტინქტური შინაარსი, როგორი ტონი აქვს ამა თუ იმ ბგერას და ა.შ.

ჩინურ ენაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტონების საკითხი. ზოგადად, განიხილება ტონების რაობა, მისი სხვადასხვა შესაძლებელი სახეობა, მისი საწარმოთქმო და დისტინქტური როლი მეტყველებაში. კონკრეტულად,

გასაანალიზებელია ჩინური ენის ტონების სახეობა, მათი დანიშნულება ენაში, სწავლების მეთოდები და ა.შ.

ფონეტიკის მნიშვნელობა. ფონეტიკა ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი დარგია. გრამატიკის მრავალი საკითხი შეიძლება გაგებულ იქნეს მხოლოდ ფონეტიკის დახმარებით. კონკრეტული ენის ისტორიული ანალიზი მისი ისტორიული ფონეტიკის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია. ფონეტიკის თეორიული მნიშვნელობის გარდა, დიდია ფონეტიკის პრაქტიკული დანიშნულება. მაგალითად, უცხო ენის პრაქტიკულად წარმატებით დასაუფლებლად მნიშვნელოვანია ამ ენის ბგერათა სწორი წარმოთქმა: რაც უკეთ არის გაწვრთნილი შემსწავლელი უცხო ენის ფონეტიკაში, მით უფრო ადვილი ასათვისებელიც არის იგი. დიდი როლი შეასრულა ფონეტიკამ უანბანო ენათა ანბანის შედგენის საქმეში. მხოლოდ ფონეტიკოსს შეეძლო მათთვის ადეკვატური ანბანის შექმნა (ახვლედიანი 1949).

მეტყველება. მეტყველება არის ბგერათა თანმიმდევრობა, რომელსაც აქვს განსაზღვრული მნიშვნელობა. სამეტყველო ბგერები წარმოიქმნება ადამიანის სანარმოთქმო აპარატით.

2.1.2 ფონეტიკური აკუსტიკა

ფონეტიკურ აკუსტიკაში განიხილება სამეტყველო ბგერათა ის ფიზიკური თვისებები, რომლითაც სამეტყველო ბგერებს ვასხვავებთ ერთმანეთისგან. ბგერა არის ჰაერის ნაწილაკთა განსაზღვრული რხევითი მოძრაობა, რაც შეიგრძნობა სმენით. ჩვენ მიერ ბგერითი შეგრძნებები განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ როგორია საბგერი ტალღები. რაც უფრო ხშირია რხევა, მით უფრო მაღლად აღვიქვამთ ბგერას და, პირიქით, რაც ნაკლებ ხშირია, მით უფრო დაბლად აღვიქვამთ მას. ყოველ სამეტყველო ბგერას ახასიათებს ოთხი თვისება: სიმაღლე, სიძლიერე, ხანგრძლიობა და ტემბრი.

ბგერის სიმაღლე. ბგერის სიმაღლე განისაზღვრება რხევათა სიხშირით.

ბგერის სიძლიერე. ბგერის სიძლიერე ანუ ინტენსიობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ენერგიით ირხევა მბგერი სხეული. ბგერა მით უფრო ძლიერია, რაც უფრო დიდია მერხევ ნაწილაკთა გაქანება (ამპლიტუდა). სამეტყველო ბგერათა სიძლიერე დამოკიდებულია სახმო სიმების ამპლიტუდაზე (ახვლედიანი 2010).

ბგერის ხანგრძლიობა. ბგერის ხანგრძლიობა არის ბგერის ის თვისება, რომელიც გამოიხატება ზოგის წყვეტილად შეგრძნებით, ხოლო ზოგისა – გრძლივად შეგრძნებით (ახვლედიანი 2010). ჩინურის შემთხვევაში ის მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩინური ენის ინტონაციასთან და ტონებთან.

ბგერათა ხანგრძლიობას განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები: 1. წარმოთქმის ტემპი, რომელიც დაკავშირებულია მეტყველის ტემპერამენტთან, ასაკთან, მის მეტ-ნაკლებ ემოციურობასთან, გარემოსთან და სხვ.; 2. ფონეტიკური პირობები, მაგ., მახვილიანი ხმოვანი უფრო ხანგრძლივია, ჩვეულებრივ, ვიდრე უმახვილო; ზოგ ენაში ხმოვანი მეტად ხანგრძლივია მჟღერი თანხმოვნის წინ, ვიდრე – ყრუს წინ და ა. შ.; 3. ენის ისტორია, ე. ი. ენაში დამკვიდრებული ტრადიცია.

ბგერის ტემპრი. ბგერის მეოთხე თვისებაა ტემპრი ანუ ბგერის ელფერი. ტემპრი არის ბგერის ის თვისება, რომლითაც, მაგ., განსხვავდება ერთმანეთისაგან სხვადასხვა მუსიკალური საკრავის ხმა: გიტარისა ვიოლინოს ხმისაგან, ორივესი ფორტეპიანოსაგან და ა. შ. ერთი ადამიანის ხმა განსხვავდება მეორე ადამიანის ხმისაგან ტემპრით – ხმის ყველა სხვა თვისების (სიმაღლის, სიძლიერისა და ხანგრძლიობის ერთნაირობის) დაცვით (ახვლედიანი 2010). ბგერის ტემპრი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ჩვენ ზოგჯერ განვასხვავებთ სხვადასხვა ადამიანის მიერ წარმოთქმულს, რადგან მათ ხმების განსხვავებული ტემპრი აქვთ.

2.1.3 ფონეტიკური ანატომია-ფიზიოლოგია


სამეტყველო ორგანოების აღწერილობა. სასუნთქი აპარატი წარმოადგენს ერთ-ერთ ბგერათწარმოსათქმელ ორგანოს. საწარმოთქმო ორგანოა აგრეთვე ხორხი, რომელშიც ამომდინარე ჰაერნაკადი განიცდის პირველ საბგერო სახეცვლას სახმო სიმებში გავლისას. ხახის, ცხვირის და პირის ღრუები წარმოადგენენ ხორხში გამოტარებული ჰაერნაკადის გზას, სადაც ის კიდევ განიცდის ცვლილებას – იმის მიხედვით, თუ რომელ ღრუში გაივლის ჰაერნაკადი და რა ფორმის დაბრკოლება დახვდება მას წინ.

აღნიშნული ღრუებიდან პირის ღრუში არის მძლავრი და მოქნილი კუნთი – ენა. საწარმოთქმო აქტიური ორგანოებია: სახმო სიმები, ქვედა ყბა, ენა (ყველა თავისი ნაწილით: ენის წვერი, წინა, შუა და უკანა ენა, ენის ძირი), რბილი სასა ნაქითურთ, ხახის კედელი და ტუჩები. საწარმოთქმო პასიური ორგანოებია: კბილები, ნუნები და მაგარი სასა (ახვლედიანი 2010).


ქვემოთ აღვწერთ სასუნთქ აპარატს, ხორხსა და ხახა-ცხვირ-პირის ღრუებს.

ა. სასუნთქი აპარატის ნაწილებია: სასუნთქი მილი ანუ სასულე, ფილტვები და შუა საძგიდე ანუ დიაფრაგმა (იხილეთ სურ. 7)

ბ. ხორხი სასუნთქი მილის ზედა გაფართოებული ნაწილია, მასში იმყოფება სახმო სიმები (იხილეთ სურ. 8)



სურ. 7 ფილტვები სასუნთქი მილითა და ხორხითურთ, ხედი წინიდან, 1 – ხორხი; 2 – სასუნთქი მილი; 3 – ბრონქები; 4 – მარცხენა ფილტვი; 5 – მარჯვენა ფილტვი



სურ. 8 a. ხორხი, სასუნთქი მილი და ბრონქები თავისი განშტოებებითურთ:

- 1 – ხორხსარქველი; 2 – ენისქვეშა ძვალი; 3 – ფარისებრი ხრტილი;
4 – ბექდისებრი ხრტილი; 5 – სასუნთქი მილი; 6 – მარცხენა ბრონქი;
7 – მარჯვენა ბრონქი; 8, 9 – ბრონქების განშტოება;

b. სახმო სიმების ოთხი მდგომარეობა

გ. ხახა-ცხვირ-პირის ღრუები. ამათ შორის, ყველაზე რთული და სამეტყველო წარმოთქმისთვის მნიშვნელოვანია პირის ღრუ. ის მდებარეობს ზედა და ქვედა ყბებს შუა და მოსაზღვრულია წინიდან ტუჩ-კბილებით, ზემოდან – სასით, ქვემოდან – ენით, გვერდებიდან – ლოყებითა და კბილებით, ხოლო უკნიდან – რბილი სასით.

აქედან ქვედა ყბა მოძრავია და თავისი აწევ-დანევით ავინროებს ან აფართოებს პირის ღრუს; კბილების ორი რიგი – ზედა და ქვედა წარმოადგენს პირის ღრუს უძრავ საზღვარს. რაც შეეხება კბილებს, წარმოთქმაში მეტი მნიშვნელობა აქვს ზედა რიგის კბილებს.

კბილები ჩამჯდარია ბუდეებში, რომლებსაც ფონეტიკაში ეწოდება ნუნები ანუ ალვეოლები. ტუჩები ანუ ბაგეები წარმოადგენენ პირის ღრუს წინა მოძრავ საზღვარს, ისინი მოქმედებენ ერთმანეთისა და კბილების მიმართ, მეტადრე ქვედა ტუჩი ზედა კბილების მიმართ; სასა გამოყოფს პირის ღრუს ცხვირის ღრუსაგან. ვასხვავებთ წინა სასას უკანა სასიგან: წინა სასა, რომელიც იწყება ნუნებიდან, მაგარი; უკანა სასა იწყება მაგარი სასის გასაყარზე – ბოლო კბილების ხაზზე – და თავდება რბილი სასით. რბილი სასა მოძრავია, ხოლო მაგარი სასა – უძრავი. რბილი სასა აწესრიგებს ჰაერნაკადს ცხვირის ღრუსაკენ; მას შეუძლია მოდუნებულიად დაეშვას: ამით იგი გზას აძლევს ჰაერნაკადს ცხვირის ღრუში გასავლელად.

პირის ღრუში ყველაზე მოძრავი ორგანოა ენა. ამიტომ სამეტყველო წარმოთქმაში მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება: იგი მონაწილეობას იღებს თითქმის ყველა სამეტყველო ბგერის წარმოებაში. ენის წინა ნაწილი უფრო მოძრავია, ვიდრე – უკანა ნაწილი. ფონეტიკაში ენა გაყოფილია შემდეგ ნაწილებად: 1) ენის წვერი (წინაენის წინაკიდე); 2) ენის ტანი, რომლის ზედაპირსაც ეძახიან ენის ზურგს; ენის ზურგზე აღინიშნება: წინა, შუა და უკანა ნაწილები ენის ზურგისა, ანუ წინაენა, შუაენა და უკანაენა; 2) ენის ძირი, რომელიც მოქმედებს უმთავრესად ხახის კედლის მიმართ; 4) ენის გვერდითი კიდეები, რომლებიც მოქმედებენ კბილების რიგების მიმართ – ეხებიან, უახლოვდებიან და შორდებიან მათ. პირის ღრუს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ბგერათწარმოთქმაში, რადგან მასში მდებარეობს ძლიერმოძრავი ორგანოები და თვითონ პირის ღრუს შეუძლია მრავალგვარად იცვალოს თავისი მოყვანილობა.

ხახა ანუ ხახის ღრუ არის ასევე მნიშვნელოვანი ბგერათწარმოთქმისათვის. ის იწყება უკანიდან ხორხის ღრუს ზემოთ და გაერთიანებულია პირის ღრუსთან ხახისპირით, ხოლო ცხვირის ღრუსთან – ცხვირ-ხახით.


იგი, ერთი მხრივ, წარმოადგენს საყლაპავი მილის ნაწილს, ხოლო, მეორე მხრივ, გადადის პირისა და ცხვირის ღრუებში. აღსანიშნავია ორი რკალი, წინაა სასა-ენის რკალი, ხოლო უკან – სასა-ხახის რკალი. ხახის ღრუს ზედა ნაწილია ცხვირ-ხახის ღრუ.

მესამე მეტად მნიშვნელოვანი ღრუა ცხვირის ღრუ. იგი ძვეს პირის ღრუს თავზე. ცხვირის ხვრელებს ეძახიან ნესტოებს (წინიდან) და ქოანებს (უკან).

აქტიურია საწარმოთქმო ორგანოები, რომლებიც ასრულებენ ბგერათწარმოთქმაში მთავარ როლს; ისინი მოძრავნი არიან და მოქმედებენ სხვა ორგანოების მიმართ, რომელნიც, თავის მხრივ, ასრულებენ მხოლოდ დამხმარე როლს; ეს უკანასკნელებია პასიური საწარმოთქმო ორგანოები. აქტიური ორგანოებია: სახმო სიმები, ქვედა-ყბა (ყველა თავისი ნაწილით: ენის წვერი, წინა, შუა და უკანანა, ენისძირი), რბილი სასა ნაქითურთ, ხახის კედელი და ტუჩები. პასიური ორგანოებია: კბილები, ნუნები და მაგარი სასა (ახვლედიანი 1949).

სამეტყველო ორგანოები (ახვლედიანი 2017):

- 1) ხორხი – larynx – 喉部
- 2) ხახის ღრუ – pharynx – 咽部
- 3) ცხვირის ღრუ – nasal cavity – 鼻腔
- 4) ნესტო – nostril – 鼻孔
- 5) პირის ღრუ – mouth (oral) cavity – 口腔
- 6) ენა – tongue – 舌头
- 7) ენის წვერი – tip of tongue – 舌尖
- 8) წინა ენა/ენის ზურგის წინა ნაწილი – front part of blade of tongue – 前舌/舌面前音
- 9) შუა ენა/ენის ზურგის შუა ნაწილი – middle part of blade of tongue – 中舌/舌面中音
- 10) უკანა ენა/ენის ზურგის უკანა ნაწილი – front part of blade of tongue – 后舌/舌面后音
- 11) ენის ძირი – root of tongue – 舌根
- 12) მაგარი სასა – hard palate – 硬腭
- 13) რბილი სასა – soft palate – 软腭
- 14) კბილები (ზედა და ქვედა) – teeth - 上下齿
- 15) ნაქი (უვულა) – uvula – 小舌
- 16) ბაგეები (ზედა და ქვედა) – lips - 上下唇
- 17) ნუნები/ალვეოლები – alveolar ridge – 齿龈
- 18) სახმო სიმები – vocal cords/ vocal folds/gum – 声带
- 19) სახმო სიმების შუა ნაპრალი (ყია) glottis – 声门
- 20) სასუნთქი მილი/ტრაქეა – windpipe – 气管



სურ. 9 სამეტყველო ტრაქტი

2.1.4 ბგერათა ზოგადი კლასიფიკაცია.

სამეტყველო ბგერები იყოფა ორ ჯგუფად: თანხმოვნები და ხმოვნები.

თანხმოვნები. თანხმოვნები ისეთი ბგერებია, რომელებიც იწარმოება ამა თუ იმ სახის დაბრკოლებით (ხშვით ან ნაპრალოვნობით), რის გამოც ისინი მეტად ჩქამიერნი არიან და ნაკლებ სონორნი; მათაც შეიძლება ჰქონდეს ხმიერება, მაგრამ მათთვის ეს დამახასიათებელი არაა; მათ ახასიათებს ესა თუ ის ჩქამი. მაშასადამე, რაც უფრო მეტია ხშვის ან ნაპრალის სახით დაბრკოლება, მით მეტი შესაძლებლობაა თანხმოვნის წარმოსათქმელად. საერთოდ, ფიზიოლოგიურად მეტი ლიაობა და აკუსტიკურად მეტი ხმიერობა ახასიათებს ხმოვანს, თანხმოვანს – პირუკუ; მოკლედ, დაუბრკოლებელია ხმოვანი, დაბრკოლებულია თანხმოვანი (ახვლედიანი 2010).

თანხმოვნები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ბგერათწარმოების ადგილითა და რაგვარობით: წარმოების ადგილი, ანუ რომელ საწარმოთქმო ორგანოს უკავშირდება ბგერა; წარმოების რაგვარობა, ანუ წარმოთქმის რომელ რაგვარობას უკავშირდება ბგერა.

თანხმოვანი ბგერების ზოგადი კლასიფიკაცია:

1. აქტიური სამეტყველო ორგანოს მიხედვით (ც. ახვლედიანი 2017):
 ბაგისმიერები;
 ენისმიერები: წინაენისმიერები, შუაენისმიერები, უკანაენისმიერები;
 ენისძირისმიერები;
 ნაქისმიერები;
 ხორხისმიერები.
2. წარმოების ადგილის მიხედვით:
 ბაგისმიერები – ლაბიალურები;
 ბაგეკბილისმიერები – ლაბიოდენტალურები;
 კბილისმიერები – დენტალურები;
 წინაენისმიერები – პრელვეოლარულები;
 ნუნისმიერები – ალვეოლარულები;
 უკანაენისმიერები – პოსტალვეოლარულები;
 სასაენისმიერები – პალატალვეოლარულები;
 მაგარსასისმიერები – პალატალურები;
 რბილსასისმიერები – ველარულები;
 ნაქისმიერები (უკანაველარულები) – უვულარულები (პოსტველარულები);
 ხახისმიერები – ფარინგალურები;
 ხორხისმიერები – ლარინგალურები.
3. ენის მდგომარეობის მიხედვით:
 აპიკალურები (არტიკულაცია ენის წვერით);
 დორსალურები (არტიკულაცია ენის ზურგით);
 კაკუმინალურები (არტიკულაცია ვერტიკალურად აწეული ენის წინა მხრით);
 კორონალურები (არტიკულაცია ენის ზურგის ბრტყელი ან ჩაზნექილი კიდეების აწევით სასისაკენ).
4. წარმოების რაგვარობის მიხედვით:
 ხშულები (იმპულსური ჩქამი წარმოიქმნება განხშვის შედეგად);
 ნაპრალოვნები (ტურბულენტური ჩქამის არსებობა ნაპრალში ჰაერის ნაკადის გავლისას);
 ვიბრანტები (წყვეტილი მოდულაციები ჩქამის გარეშე);
 ხშულ-ნაპრალოვნები (ლატერალები, ნაზალები და აფრიკატები, რომლებსაც პირველი ელემენტის (ხშვის) მიხედვით ხშირად ხშულებს მიაკუთვნებენ).

5. სახმო სიმების მონაწილეობის მიხედვით:
ყრუები (არაფშვინვიერი, ფშვინვიერი, მკვეთრი);
მჟღერები.
6. ჩქამისა და ტონის თანაფარდობის მიხედვით:
ჩქამიერები;
სონორები.
7. ენის ზურგის შუა ნაწილის მდგომარეობით:
მაგრები;
რბილები.
8. ბგერის წარმოებაში ცხვირის ღრუს მონაწილეობა-არმონაწილეობის მიხედვით:
ნაზალურები ანუ ცხვირისმიერები;
პირისმიერი.

ხმოვნები. ხმოვნის წარმოქმნისას ფილტვებიდან ამონადენ ჰაერს არ ხვდება დაბრკოლება და თავისუფლად ამოდის. ხმოვნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ენის ზურგისა და ბაგეების მონაწილეობის (ლაბიალურობის), ენის ზურგის ანეულობისა და ღიაობის მიხედვით.

ხმოვნები ისეთი ბგერებია, რომლებიც იწარმოებიან უფრო თავისუფლად, დაუბრკოლებლად, რის გამოც ისინი ნაკლებ ჩქამიერნი არიან და მეტად სონორნი; მათ ჩქამიც აქვთ, მაგრამ მათთვის ეს დამახასიათებელი არ არის. მაშასადამე, რაც უფრო ღიაა ორგანოები ბგერის წარმოებისას, მით მეტი შესაძლებლობაა ხმოვნის წარმოქმნისათვის.

ხმოვანი ბგერების ზოგადი კლასიფიკაცია:

1. ენის ჰორიზონტალური მდგომარეობა (ც. ახვლედიანი 2017):
წინა რიგის;
შუა, ანუ შერეული რიგის;
უკანა რიგის.
2. ენის ვერტიკალური მდგომარეობა:
მაღალი ანეულობის – ვინრო (დახურული), ფართო (ღია);
საშუალო ანეულობის – ვინრო, ვინროსა და ფართოს შორის, ფართო;
დაბალი ანეულობის – ვინრო, ფართო.

3. ბაგეების მდგომარეობა:

ბაგისმიერი/ლაბიალიზებული (მომრგვალებული);
არაბაგისმიერი/არალაბიალიზებული/ (არამომრგვალებული).

4. რბილი სასის მდგომარეობა:

ცხვირისმიერი (პირისმიერ-ცხვირისმიერი);
მსუბუქად ნაზალიზებულნი;
პირისმიერები.

2.2 ჩინური ენის ფონეტიკური ტრანსკრიფციის პროექტი – ფუთუნგხუას ფონეტიკური სისტემა

ფინინი (拼音) არის ჩინური ენის პირველი ოფიციალური ფონეტიკური ტრანსკრიფცია, ჩინური ენის ბგერათა წერილობით ფიქსირების წესები. ჩინეთის ეს სამთავრობო პროექტი მიზნად ისახავს ჩინური სიტყვების ტრანსკრიბირების საერთაშორისო სტანდარტების შექმნას და გამოყენებულია მსოფლიოში გავრცელებული ლათინური ანბანის ასოები.

და მაინც, რატომ გახდა საჭირო ფინინის დამკვიდრება? იეროგლიფები, ძირითადად, იდეოგრაფებს წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ იეროგლიფებს შორის ფონოიდეოგრამები გვანვდიან გარკვეულ ინფრომაციას იეროგლიფის შესახებ, მაინც რთულია ზუსტი წაკითხვის წესის ამოცნობა, ამიტომაც გახდა საჭირო ბგერების ჩასაწერად ნიშნები. ამ ნიშნების მინიჭების მიზნით, გამოიყენეს სხვადასხვა მეთოდი:

ჭი-ინ (直音法), ანუ წარმოთქმის აღნიშვნა ომონიმების გამოყენების გზით, ანუ ერთი იეროგლიფით მეორე იეროგლიფს ჟღერადობა მიუწერეს, მაგალითად: 塘直音唐, ანუ 塘 იკითხება, როგორც 唐;

ფანციე (反切法), ანუ ორი მარცვალ-იეროგლიფის ინიციალებისა და ფინალების შეთავსების გამოყენების გზით ერთი იეროგლიფის ჟღერადობის აღნიშვნა, მაგალითად: 南 ნიშნის წაკითხვის წესი გადმოიცემა ასე: 那含切, ანუ **n(à)+(h)án**, ანუ: **nán**;

ჭუინ წმუ (注音字母), იგივე ჩინური ფონეტიკური ანბანი (ㄅㄆㄇ | ㄎㄌㄎ | ㄍㄝ). თუმცა იეროგლიფით ჟღერადობის აღნიშვნის მეთოდს (ჭი-ინს და ფანციეს) ასევე დიდი ნაკლი აქვს: პირველ რიგში, ადამიანმა ჯერ უნდა შეისწავლოს უამრავი იეროგლიფი და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს შესწავლილი იეროგლიფის გამოყენებას იმისათვის, რომ წაკითხოს ის სხვა იეროგლიფი; მეორეც, თუ რომელიმე

იეროგლიფს არ გააჩნია ომონიმი, მაშინ შეუძლებელია მისი აღნიშვნა; ასევე, ამ გზით ყოველთვის ვერ აღნიშნავ ჟღერადობას სწორად და ზუსტად, მხოლოდ მიახლოებითი იქნება. ჩინური ფონეტიკური ანბანი – ჭუნ ნმუ არის 1918 წელს იმჟამინდელი განათლების სამინისტროს მიერ შემოღებული ჩინური ბგერების აღმნიშვნელი ნიშნები, ფანციესთან და ჭი-ინთან შედარებით, პროგრესული, ზუსტი და მეცნიერული. ეს ნიშნები იყო მონასმების სახით, რაც რთულად დასაწერი და დასამახსოვრებელია. ამიტომაც მეოცე საუკუნის 50-იან წლებში ჩინეთის ხელისუფლებამ, წარსულში ბგერების აღნიშვნის სხვადასხვა მეთოდის გათვალისწინებით, გამოიყენა მსოფლიოში მიღებული ლათინური ანბანი, რომლის მიხედვით შეიმუშავა და დაამტკიცა შედარებით სრულყოფილი ტრანსკრიბირების ხერხი – ფინინი. ეს იყო ჩინური ენის ფონეტიკური ტრანსკრიფციის პროექტი (《汉语拼音方案》), რომლის საფუძველზე გაერომ შეიმუშავა ჩინური სახელების, ტოპონიმებისა და საკუთარი სახელების დაწერის წესი.

ჩინური ენის შესწავლა ნიშნავს, ისწავლო ფუთუნგხუა, ფინინი კი არის ფუ-თუნგხუას შესწავლისთვის აუცილებელი იარაღი. ფინინში იგულისხმება ანბანი, მარცვლები, ინიციალები, ფინალები, ტონების ნიშნები და აპოსტროფი.

ანბანი. ჩინურ ფონეტიკურ ანბანში გამოიყენება 25 ლათინური ასო-ნიშანი, გარდა Vv-სა. აუცილებელად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აღნიშნული ანბანი ისეთივეა, როგორიც ინგლისური ენის, მაგრამ ანბანის შესატყვისი ბგერების ჟღერადობა განსხვავდება ინგლისური ენის ბგერების ჟღერადობისგან. ჩინურ ფონეტიკურ ანბანში ასოები გამოყენებულია იეროგლიფების ტრანსკრიბირების ნიშნებად. რაც შეეხება ასო-ბგერას V v, გამოიყენებენ მხოლოდ დიალექტებისა და ეროვნულ უმცირესობათა ენის ბგერების აღსანიშნავად.

#	დიდი ასო	პატარა ასო	ჟღერადობა ინგლისურ ენაში	ჟღერადობა ჩინურ ენაში
1	A	a	[ei], [æ]	[A]
2	B	b	[bi:]	[p]
3	C	c	[si:]	[ts ‘]
4	D	d	[di:]	[t]
5	E	e	[i:]	[ɣ]
6	F	f	[ɛf]	[f]

#	დიდი ასო	პატარა ასო	ჟღერადობა ინგლისურ ენაში	ჟღერადობა ჩინურ ენაში
7	G	g	[dʒi:]	[k]
8	H	h	[(h) etʃ]	[x]
9	I	i	[aɪ]	[i]
10	J	j	[dʒeɪ]	[tɕ]
11	K	k	[keɪ]	[k ʼ]
12	L	l	[ɛl]	[l]
13	M	m	[ɛm]	[m]
14	N	n	[ɛn]	[n]
15	O	o	[oʊ]	[o]
16	P	p	[pi:]	[p ʼ]
17	Q	q	[kju:]	[tɕ ʼ]
18	R	r	[ɑ:r]	[ʒ]
19	S	s	[ɛs]	[s]
20	T	t	[ti:]	[t ʼ]
21	U	u	[ju:]	[u]
22	V	v	[vi:]	*
23	W	w	[ˈ dʌbəl.ju:]	[w]
24	X	x	[ɛks]	[ɕ]
25	Y	y	[wai]	[j]
26	Z	z	[zi/zɛd]	[ts]

სურ. 10 ინგლისური ენისა და ჩინური ფონიკის ასოების ჟღერადობის შედარება

სანამ უშუალოდ ჩინური ენის საბაზისო ფონეტიკასა და ცალკეულ ბგერათა კლასიფიკაციაზე გადავიდოდეთ, გვინდა შევხვთ საერთაშორისო ფონეტიკურ ტრანსკრიფციას და აღვნიშნოთ, რომ ბგერების ჩასაწერად აუცილებელია გარკვეული სიმბოლოების გამოყენება.

საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი (ინგლ. International Phonetic Alphabet; იგივე IPA) – ესაა ფონეტიკური ნიშნების კრებული, რომელშიც შესულია მსოფლიოს თითქმის ყველა ენის ბგერათა აღმნიშვნელი გრაფემები. იგი შექმნილია ლათინური ანბანის მიხედვით. საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი შეიმუშავა საერთაშორისო ფონეტიკურმა ასოციაციამ და იგი დღეს ყველაზე ვრცელი ფონეტიკური ანბანია.

სხვადასხვა, მათ შორის ინგლისურის ან ლათინური ანბანის, მარტივი სიმბოლოები არ იქნება საკმარისი ენაში არსებული ბგერების აღსანიშნად, რადგანაც ადამიანის სამეტყველო ორგანოებით წარმოქმნილ ბგერათა რაოდენობა საგრძნობლად აღემატება ნებისმიერი ანბანის სიმბოლოთა რაოდენობას. ამიტომ გამოიყენება საერთაშორისო ფონეტიკური ნიშნები იმისათვის, რომ მოვახდინოთ არსებულ სიმბოლოთა მოდიფიკაცია. იმისათვის, რომ განვასხვაოთ ლათინური ანბანის სიმბოლო ფონეტიკური აღნიშვნისაგან, ამ უკანასკნელს ჩავსვამთ კვადრატულ ფრჩხილებში. ასე, მაგალითად **a** სიმბოლო არის ლათინური ანბანის ასო-ნიშანი, რომელიც, მაგალითად, ინგლისურ დამწერლობაში ხუთ სხვადასხვა ბგერას გამოხატავს, ხოლო [a] არის ფონეტიკური სიმბოლო, რომელიც გამოხატავს ერთადერთ ხმოვანს. მაშასადამე, ანბანის ასო და ფონეტიკური სიმბოლო სხვადასხვა ნიშანია, ისინი ფუნქციით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

წარმოთქმის ფონეტიკური ჩანერა ანუ ფონეტიკური ტრანსკრიფცია გულისხმობს ყველა იმ ბგერითი თავისებურების დაწვრილებით აღნუსხვას, რომლებიც ჩამწერმა შეიძლება გაიგონოს და გაარჩიოს მეტყველების ნაკადში. მეტყველების ყოველი ფონეტიკური ჩანაწერის სიზუსტე, ის, თუ რა თავისებურებებია მასში აღნიშნული, დამოკიდებულია ჩამწერის ფონეტიკურ მომზადებაზე, მისი სმენის განაფულობაზე.

ფონეტიკური სიმბოლო აღნიშნავს მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ბგერათა რაღაც სიმრავლეს და არა ცალკეულ, ინდივიდუალურ ბგერას, რომელსაც მეტყველებაში უამრავი ელფერი შეიძლება ჰქონდეს. სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირის მიერ წარმოთქმული ბგერები თავისებურია, ან ზოგჯერ მათზე სხვა ბგერების ზეგავლენის გამო განსხვავდება და იცვლება. ამიტომ მათ შორის არსებული ყველა განსხვავების აღნუსხვა და ჩანერა პრაქტიკულად შეუძლებელია.

2.2.1 ჩინური მარცვალი

ჩინური ენის ძირითადი ენობრივი და ფონეტიკური ერთეულია მარცვალი. ჩინურ ენაში ერთი მარცვალი უდრის ერთ იეროგლიფს. ზოგიერთი მარცვალი ატარებს ლექსიკურ (სემანტიკურ) მნიშვნელობას, ხოლო ზოგიერთი – მხოლოდ გრამატიკულს, ზოგიერთი კი – ორივეს. სიტყვების უმრავლესობა შედგება ერთი ან ორი მარცვლისგან (შესაბამისად, ერთი ან ორი იეროგლიფისგან). ჩინური ენის მარცვალს ახასიათებს განსაზღვრული სტრუქტურა, იგი შედგება მეტყველების ყველაზე მცირე ერთეულისაგან – ბგერებისაგან. ბგერების რაოდენობა ჩინურ მარცვალში არ აღემატება ოთხს და მათი თანმიმდევრობა გამოირჩევა მკაცრი კანონზომიერებით. ტონებს თუ არ ჩავთვლით, სულ 400 ძირითადი მარცვალია, რომლებიც განსხვავდებიან ბგერითი შემადგენლობით (იხილეთ ცხრილი).

ჩინურ ენაში მარცვალთა უმრავლესობა შედგება ორი ელემენტისგან: ინიციალებისგან (თავკიდურისგან) – მარცვლის დასაწყისში თანხმოვნისა და ფინალისგან (ბოლოკიდურისგან), რომელიც უმრავლეს შემთხვევაში სრულდება ხმოვნით (ჯიბლაძე 2018-2019).

ტონები არეგულირებენ ბგერის სიმაღლეს, მაგალითად, მარცვალში 高 (აღ მაღალი) 高 არის ინიციალი, აო ფინალია, ხოლო ასოს თავზე მოკლე ხაზი „-“ პირველი ტონის აღმნიშვნელია. მაშასადამე, ერთი ჩინური მარცვალი, რომელიც გადმოსცემს ერთი იეროგლიფის ჟღერადობას, შედგება სამი ნაწილისაგან: ინიციალი, ფინალი და ტონი.

მარცვალი	
პირველი ტონი	
ინიციალი (თავკიდური)	ფინალი (ბოლოკიდური)
g	ao
高 gāo	

მარცვალში შესაძლოა არ იყოს ინიციალი, თუმცა არ შეიძლება არ იყოს ფინალი. ჩინური ენის მარცვალთა რაოდენობა შეზღუდულია.

ინიც. ფინ.		b	p	m	f	d	T	n	l	g	k
	მარცვლები										
a	a 阿	ba 巴	pa 趴	ma 妈	fa 发	da 搭	ta 他	na 拿	la 拉	ga 嘎	ka 咖
o	o 喔	bo 玻	po 坡	mo 摸	fo 佛						
e	e 鹅			me 么		de 得	te 特	ne 讷	le 勒	ge 哥	ke 科
ê											
ai	ai 哀	bai 白	pai 拍	mai 埋		dai 呆	tai 胎	nai 奶	lai 来	gai 该	kai 开
ei	ei 诶	bei 杯	pei 胚	mei 眉	fei 飞	dei 得		nei 内	lei 雷	gei 给	kei 剋
ao	ao 熬	bao 包	pao 抛	mao 猫		dao 刀	tao 滔	nao 恼	lao 劳	gao 高	kao 考
ou	ou 欧		pou 剖	mou 谋	fou 否	dou 兜	tou 偷	nou 耨	lou 楼	gou 沟	kou 口
an	an 安	ban 般	pan 潘	man 蛮	fan 翻	dan 单	tan 摊	nan 南	lan 兰	gan 干	kan 看
en	en 恩	ben 奔	pen 喷	men 闷	fen 分			nen 嫩		gen 根	ken 肯
ang	ang 昂	bang 帮	pang 旁	mang 忙	fang 方	dang 当	tang 汤	nang 囊	lang 郎	gang 刚	kang 康
eng	eng 鞞	beng 崩	peng 烹	meng 盟	feng 风	deng 登	teng 疼	neng 能	leng 冷	geng 更	keng 坑
er	Er 儿										
i	yi 衣	bi 逼	pi 批	mi 迷		di 低	ti 梯	ni 泥	li 利		
ia	ya 呀								lia 俩		
io	yo										
ie	ye 耶	bie 别	pie 撇	mie 灭		die 爹	tie 贴	nie 捏	lie 列		

iao	yao 腰	biao 标	piao 飘	miao 苗		diao 雕	tiao 挑	niao 鸟	liao 了		
iu	you 优			miu 谬		diu 丢		niu 妞	liu 流		
ian	yan 烟	bian 边	pian 篇	mian 棉		dian 颠	tian 天	nian 年	lian 连		
in	yin 因	bin 滨	pin 拼	min 民				nin 您	lin 林		
iang	yang 央							niang 娘	liang 凉		
ing	ying 英	bing 冰	ping 乒	ming 明		ding 丁	ting 听	ning 宁	ling 零		
u	wu 乌	bu 不	pu 铺	mu 木	fu 夫	du 都	tu 秃	nu 奴	lu 炉	gu 姑	ku 枯
ua	wa 蛙									gua 瓜	kua 夸
uo	wo 窝					duo 多	tuo 脱	nuo 挪	luo 锣	guo 锅	kuo 阔
uai	wai 歪									guai 拐	kuai 快
ui	wei 威					dui 堆	tui 推			gui 规	kui 亏
uan	wan 弯					duan 端	tuan 团	nuan 暖	luan 滦	guan 关	kuan 宽
un	wen 温					dun 蹲	tun 吞		lun 轮	gun 滚	kun 昆
uang	wang 汪									guang 光	kuang 筐
ong	weng 翁					dong 东	tong 通	nong 农	long 龙	gong 工	kong 空
ü	yu 迂							nü 女	lǜ 驴		
üe	yue 约							nüe 虐	lǜe 略		
üan	yuan 冤								lǜan		
ün	yun 晕								lǜn		
iong	yong 用										

სურ. 11 ჩინური მარცვლების ცხრილი

ინიცი- ფინ.	h	j	q	x	zh	ch	Sh	r	z	c	s
	მარცვლები										
-i *					zhi 知	chi 吃	shi 诗	ri 日	zi 资	ci 雌	Si 私
a	ha 哈				zha 渣	cha 插	sha 沙		za 杂	ca 擦	sa 撒
o											
e	he 喝				zhe 遮	che 车	she 奢	re 热	ze 则	ce 策	se 色
ê											
ai	hai 海				zhai 窄	chai 拆	shai 筛		zai 灾	cai 猜	sai 腮
ei	hei 黑				zhe 这		shei 谁		zei 贼		
ao	hao 好				zhao 招	chao 超	shao 烧	rao 绕	zao 遭	cao 曹	sao 搔
ou	hou 猴				zhou 周	chou 抽	shou 收	rou 柔	zou 邹	cou 凑	sou 搜
an	han 寒				zhan 毡	chan 馋	shan 山	ran 然	zan 咱	can 参	san 三
en	hen 痕				zhen 真	chen 陈	shen 伸	ren 人	zen 怎	cen 岑	sen 森
ang	hang 杭				zhang 张	chang 昌	shang 伤	rang 让	zang 脏	cang 仓	sang
eng	heng 哼				zheng 争	cheng 称	sheng 生	reng 扔	zeng 增	ceng 层	seng 僧
er											
i		ji 基	qi 期	xi 希							
ia		jia 家	qia 恰	xia 瞎							
io											
ie		jie 街	qie 切	xie 些							
iao		jiao 交	qiao 敲	xiao 消							
iu		jiu 究	qiu 秋	xiu 休							

ian		jian 坚	qian 千	xian 先							
in		jin 今	qin 亲	xin 新							
iang		jiang 江	qiang 腔	xiang 香							
ing		jing 京	qing 清	xing 兴							
u	hu 呼				zhu 诛	chu 初	shu 书	ru 如	zu 租	cu 粗	su 苏
ua	hua 花				zhua 抓	chua 欸	shua 刷				
uo	huo 火				zhuo 桌	chuo 戳	shuo 说	Ruo 若	zuo 昨	cuo 错	suo 索
uai	huai 怀				zhuai 拽	chuai 揣	shuai 衰				
ui	hui 灰				zhui 追	chui 吹	shui 水	ruì 瑞	zui 最	cui 催	sui 虽
uan	huan 欢				zhuan 专	chuan 川	shuan 栓	ruan 软	zuan 钻	cuan 蹿	suan 酸
un	hun 婚				zhun 准	chun 春	shun 顺	run 润	zun 尊	cun 村	sun 孙
uang	huang 荒				zhuang 庄	chuang 窗	shuang 双				
ong	hong 轰				zhong 中	chong 充		rong 荣	zong 宗	cong 聪	song 松
ü		ju 居	qu 区	xu 虚							
üe		jue 决	que 缺	xue 靴							
üan		juan 捐	quan 圈	xuan 轩							
ün		jun 军	qun 群	xun 勋							
iong		jiong 窘	qiong 穷	xiong 兄							

სურ.12 ჩინური მარცვლები

გასათვალისწინებელია:

y

მარცვალში სანყისი თანხმოვანის გარეშე, ხმოვანი i ქმნის მარცვალს და წარმოითქმის რბილად და იწერება შემდეგი ასოშეთავსებით yi. მარცვალი, სა-
დაც რთული ფინალებია, თუ იწყება i-თი, სანყისი თანხმოვანის გარეშე იწერება
y ასოთი და წარმოითქმის ისევე რბილად. მაგალითად, ie იწერება როგორც ye.

w

მარცვალში სანყისი თანხმოვანის გარეშე, ხმოვანი u ქმნის მარცვალს და იწე-
რება შემდეგი ასოშეთავსებით wu. წარმოითქმის ტუჩების აქტიური მუშაობით,
გამოდის უფრო დაძაბული ბგერა, რომელიც ჰგავს ინგლისურ w-ს.

მარცვალი, სადაც რთული ფინალებია, თუ იწყება u-თი და სანყისი თანხმოვანი
არ აქვს, ხმოვანი u ჩანაცვლდება ასოთი w. მაგალითად, uo, uei-ში u ჩაიწერება
ასოთი w და გამოვა wo, wei, ასევე წარმოითქმის ტუჩების აქტიური ჩართულობით.

ზემოთ მოყვანილიდან, არცერთ შემთხვევაში y და w არ არის არც ინიციალი
და არც ფინალი, უფრო გამყოფი ასო-ბგერის როლშია, თუმცა მას ასევე უწო-
დებენ ნახევარხმოვანს.

y

i	-ia	-iao	-ie	-iou -iu	-ian	-in	-iang	-ing	-iong	-ü	-üe	-üan	-ün
yi	ya	yao	ye	you	yan	yin	yang	ying	yong	yu	yue	yuan	yun

სურ. 13 მარცვლები გამყოფი ასოთი y

w

-u	-ua	-uo	-uei	-uei -ui	-uan	-uen -un	-uang	-ueng
wu	wa	wo	wai	wei	wan	wen	wang	weng

სურ. 14 მარცვლები გამყოფი ასოთი w

ერთი ჩინური იეროგლიფის ჟღერადობა – ეს არის ერთი მარცვალი, რო-
მელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შედგება ერთი ან რამდენიმე ბგერისაგან.
ბგერები იყოფა ხმოვნებად და თანხმოვნებად. უფრო ზუსტად რომ აღვწეროთ,
ჩინური ბგერა შედგება ორი ძირითადი სტრუქტურული ელემენტისგან: თანხ-

მოვანი ნაწილი – მარცვლის თავში, რომელსაც ეწოდება ინიციალი, ხმოვანი ნაწილი – მარცვლის დანარჩენი ნაწილია, რომელსაც ეწოდება ფინალი. ინიციალი შეიძლება არ იყოს მარცვალში, მაშინ მარცვალი შედგება მხოლოდ ფინალისგან. ისეთ მარცვლებს, რომელთაც არ გააჩნიათ საწყისი თანხმოვანი ბგერა, ეწოდება „ნულოვანი ინიციალის მარცვალი“.

გასათვალისწინებელია: რთული ფინალი, რომელიც შედგება რამდენიმე ხმოვნისგან, შეიძლება სრულდებოდეს თანხმოვნით, ანუ ზოგჯერ ფინალი შედგება ხმოვანი და თანხმოვანი ბგერებისგან, მაგალითად, ასეთია ნაზალური ბგერები n და ng.

2.2.2 ინიციალები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩინური ბგერა შედგება ორი ძირითადი სტრუქტურული ელემენტისგან და ერთ-ერთი მათგანია თანხმოვანი ნაწილი მარცვლის თავში, რომელსაც ეწოდება ინიციალი. ჩინური ენის ფონეტიკური ტრანსკრიფციის პროექტის მიხედვით, 21 ინიციალია (ამ რიცხვში არ შედის ნულოვანი ინიციალები).

b (o) 玻	p (o) 坡	m (o) 摸	f (o) 佛	d (e) 得	t (e) 特	n (e) 讷
l (e) 勒	g (e) 哥	k (e) 科	h (e) 喝	j (i) 基	q (i) 欺	x (i) 希
zh 知	ch 蚩	sh 诗	r 日	z 资	c 雌	s 思

სურ. 15 ინიციალების ცხრილი

ჩინური ენის თანხმოვნების კლასიფიკაცია:

1) ბგერათწარმოების ადგილის მიხედვით, ჩინური ენის ინიციალები შვიდ ჯგუფად იყოფა.

ქვედა ბაგე (არტიკულატორი) ეხება ზედა ბაგეს (არტიკულაციის წერტილს) და იწვევს პირის ღრუს დახშვას ამ წერტილში (b, p, m); ქვედა ბაგე შეიძლება მიუახლოვდეს წინა ზედა კბილებს და შექმნას ვიწრო ნაპრალი (f).

ბგერებს, რომლებიც იწარმოება ქვედა ბაგით, იგივე არტიკულატორით, ეწოდება ლაბიალური ანუ ბაგისმიერი ბგერები. ჩინურ ენაში გვხვდება ლაბიალურ ბგერებში შემავალი ბილაბიალური ანუ წყვილბაგისმიერი და ლაბიოდენტალური ანუ ბაგეკბილისმიერი თანხმოვნები. ბგერები ბილაბიალურია ანუ წყვილბაგისმიერი, როდესაც არტიკულაციის წერტილია ზედა ბაგე ხოლო ლაბიოდენტალური ანუ ბაგეკბილისმიერი, როდესაც არტიკულაციის წერტილია წინა ზედა კბილები (გამყრელიძე 2008).

- ბილაბიალური ინიციალები: **b, p, m**
- ლაბიოდენტალური ინიციალები: **f**

ენა სამეტყველო ორგანოთა შორის ყველაზე უფრო მოძრავი არტიკულატორია, იგი მონაწილეობს თითქმის ყველა ბგერის წარმოქმნაში. ენის წინა ნაწილი – წინა ენა უფრო მოძრავია, ვიდრე მისი უკანა ნაწილი უკანა ძვლებზე.

ენის წვერი ანუ აპექსი ყველაზე უფრო ელასტიური არტიკულატორია. ენის წვერით წარმოქმნილ ბგერებს აპიკალური ბგერები ეწოდება. სამეტყველო ორგანოთა ინდიფერენტული მდგომარეობის დროს ანუ არტიკულაციის დაწყებამდე ენის უფრო მოძრავი ნაწილი, წინა ენა მდებარეობს მაგარი (უძრავი) სასის პირდაპირ, ე. ი. პირის ღრუს იმ ნაწილის პირდაპირ, რომელიც მოთავსებულია ნუნების უკან.

- წინა აპიკალური ინიციალები: **z, c, s**
- შუა აპიკალური ინიციალები: **d, t, n, l**
- უკანა აპიკალური ინიციალები: **zh, ch, sh, r**
- დორსალური (წინაენისმიერი) ინიციალები: **j, q, x**

უკანა ენა – სამეტყველო ორგანოთა ინდიფერენტული მდგომარეობის დროს ენის ნაკლებ მოძრავი ნაწილი – მოთავსებულია რბილი (მოძრავი) სასის პირდაპირ. რბილი სასა მდებარეობს მაგარ სასასა და ნაქს ანუ უვულას შორის. რბილ სასას უწოდებენ აგრეთვე სასის ფარდას. უკანა ენა ეხება რბილ სასას და წარმოქმნის ხშვას (**g, k**). რბილი სასის სხვადასხვა წერტილში უკანა ენით იქმნება გასწვრივი ნაპრალი (**h**). ენის ზურგით (უკანა ენით) წარმოიქმნულ ბგერებს უკანაენისმიერი ეწოდება.

- დორსალური (უკანაენისმიერი) ინიციალები: **g, k, h**

2) ბგერათწარმოების რაგვარობის მიხედვით, ჩინურ ინიციალებს დავყოფთ მსკდომებად, ფრიკატივებად, აფრიკატივებად, ნაზალებად და ლატერალებად.

საფონაციო (ბგერათწარმოქმნელი) ჰაერნაკადი ამოიდევნება ფილტვებიდან დიაფრაგმის მეშვეობით და გაივლის სასუნთქ მილს. ამოსუნთქული ჰაერნაკადი ხორხში, ხახაში, პირისა და/ან ცხვირის ღრუებში გარკვეულ ცვლილებებს განიცდის; ჰაერნაკადს შეიძლება შეხვდეს დაბრკოლება სხვადასხვა წერტილში, ღრუთა ფორმაც შეიძლება სხვადასხვაგვარად შეიცვალოს. ძირითადად ასე წარმოიქმნება ყველა სამეტყველო ბგერა.

საარტიკულაციო ორგანოების ხშვით, ჩაკეტვის შედეგად ზესადგამი მილის (ე.ი. ხახა-ცხვირ-პირის ღრუების) ერთ-ერთ წერტილში ჰაერნაკადი სრულ დაბრკოლებას აწყდება, რასაც ჩვეულებრივ განხშვა, სკდომა მოსდევს. ასე წარმოქმნილ ბგერებს მსკდომი, ხშული და ხშულ-მსკდომები ეწოდება.

- მსკდომი ბგერებია: **b, p, d, t, g, k**

ხშილი თანხმოვნების ერთ სახეობას წარმოადგენს აფრიკატი ანუ ნახევრადხშილი. აფრიკატი რთული ხშილი თანხმოვანია და, საერთოდ მიღებული აზრით, შედგენილია მარტივი ხშილისა და მისი ჰომოორგანული ნაპრალოვნისაგან (ანუ სპირანტისაგან); აფრიკატის შედგენილობაში ხშილი და ნაპრალოვანი კომპონენტები ერთ მთლიანობას ქმნის: იგი იწყება ხშვით, მთავრდება ნაპრალით, ამიტომაც მას ხშირად უწოდებენ ნახევარხშულს, ხშილ-ნაპრალოვანს ან რთულ ბგერას. მაგ., აფრიკატები zh [tʃ] შედგება ბგერებისგან t [t] და sh [ʃ], ასევე z[tʃ] შედგება ბგერებისგან t [t] და s [s].

- აფრიკატები: **z, c, ch, zh, j, q**

ზესადგამი მილის ერთ-ერთ წერტილში ხდება არა სრული ხშვა, არამედ საარტიკულაციო ორგანოების ერთმანეთთან ძლიერი მიახლოება. მათ შორის რჩება სხვადასხვა ფორმის ნაპრალი, საიდანაც ჰაერნაკადი გამოედინება. ასე წარმოიქმნება ნაპრალოვანი ბგერები, სპირანტები ანუ ფრიკატივები.

- ფრიკატივები: **f, s, sh, r, x, h**

პირის ღრუ დახშულია ენით, ჰაერნაკადი გამოედინება ღრუს ერთ-ერთ მხარეს ან ერთდროულად ორივე მხარეს – ენის გვერდებსა და ლოყების კედლებს შორის შექმნილ ნაპრალში. ასეთ ბგერებს ლატერალები ანუ გვერდითი ბგერები ეწოდება.

- ლატერალები: **l**

რბილი სასა დაშვებულია, ჰაერნაკადი ნაწილობრივ გაივლის პირის ღრუში, ნაწილობრივ კი – ცხვირის ღრუში. ასეთ ბგერებს ნაზალები ანუ ცხვირისმიერი ბგერები ეწოდება.

- ნაზალები: **m, n** (ფინალში: **n, ng**)

ჩინურ ენაში ასევე არის ნახევარხმოვანი ბგერები.

- ნახევარხმოვანი: **w, y**

ჟღერის მქონე სამეტყველო ბგერებს ვეძახით მჟღერ ბგერებს. მჟღერი ბგერა შედგება სიმთა ჟღერისა და ხმაურობისგან პირის ფოსოში. ყრუ ბგერები კი მხოლოდ ხმაურობას გამოსცემენ. ჟღერის არმქონე ბგერებს ვეძახით არამჟღერს ანუ ყრუ ბგერებს. მათი წარმოების დროს სახმო სიმები არ ჟღერს.

ყრუ ბგერები: **b, p, f, d, t, g, k, h, j, q, x, zh, ch, sh, z, c, s**

მჟღერი ბგერები: **m, n, l, r**

ზოგჯერ სახმო სიმები იმდენად უახლოვდებიან ერთმანეთს, რომ ამომდინარე ჰაერნაკადი წარმოქმნის თავისებურ ჩქამს სახმო სიმების კიდეებზე ხახუნით: ამ ჩქამს ეძახიან ასპირაციას (ქართ. ფშვინვა, ლათ. ასპირაციო „ქროლა, ნიავი“).

ფშვინვიერი ბგერები: **p, t, k, q, ch, c**

არაფშვინვიერი ბგერები: **b, d, g, j, zh, z**

და მაინც, რა არის ინიციალი? ინიციალი, იგივე თავკიდური არის თანხმოვანი მარცვლის თავში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფუთუნგხუაში 21 ინიციალია. ზოგიერთ მარცვალს არ აქვს ინიციალი, ასეთ მარცვალს ეწოდება მარცვალი ნულოვანი ინიციალით.

ინიციალისა და თანხმოვნის კავშირი

ინიციალი არის ჩინური ენის მარცვლის სტრუქტურული სპეციფიკიდან გამომდინარე დადგენილი ნაწილი. ჩინურ ენაში ყველა ინიციალი თანხმოვანია, მაგრამ ყველა თანხმოვანს არ შეუძლია იყოს ინიციალი. მართალია, თანხმოვანი ძირითადად ინიციალის როლში გვევლინება, მაგრამ მათი მცირე ნაწილი შეიძლება გახდეს მარცვლის, კერძოდ, ფინალის დაბოლოება, მაშასადამე, ფუთუნგხუაში 22 თანხმოვანია, თუმცა 21 ინიციალი. ნაზალი ng [ŋ] ვერ იქნება ინიციალი, მხოლოდ ფინალში გამოიყენება. მაგალითად, ling, long.

ფინინი CPA	IPA	ფინინი CPA	IPA	ფინინი CPA	IPA
b	p	g	k	sh	ʃ
p	pʰ	k	kʰ	r	ʐ
m	m	h	x	z	ts
f	f	j	tɕ	c	tsʰ
d	t	q	tɕʰ	s	s
t	tʰ	x	ɕ		
n	n	zh	tʂ		
l	l	ch	tʂʰ		

სურ. 16 ჩინური ინიციალები CPA და IPA შესატყვისობის ცხრილი

ნარმოების ადგილი ნარმოების რაგვარობა			ბილაბილური	ლაბიოდენტალური	წინა აპიკალური	შუა აპიკალური	უკანა აპიკალური	წინაენისმიერი	უკანაენისმიერი
მსკდომი	ყ რ უ	არაფშ- ვინვიე- რი	b [p]			d [t]			g [k]
		ფშვინ- ვიერი	p [pʰ]			t [tʰ]			k [kʰ]
აფრიკატე- ბი	ყ რ უ	არაფშ- ვინვიე- რი			z [ts]		zh [tʂ]	j [tɕ]	
		ფშვინ- ვიერი			c [tɕʰ]		ch [tʂʰ]	q [tɕʰ]	
ფრიკატი- ვები	ყრუ			f [f]	s [s]		sh [ʃ]	x [ɕ]	h [x]
	მჟღერი						r [ʒ]		
ნაზალები	მჟღერი		m [m]			n [n]			ng [ŋ]*
ლატერა- ლები	მჟღერი					l [l]			

* გხედება მხოლოდ მარცვლის ფინალში


სურ. 17 ფუთუნგხუას ინიციალების შემავარგებელი ცხრილი

ჩინურ ენაში თანხმოვნების უმეტესობა არ არის მჟღერი, ანუ ძირითადად არის ყრუ. ჩინური ენის ფონეტიკის გამარტივებული სწავლების მიზნით, თანხმოვანს უმატებენ ხმოვანს, ხოლო წარმოთქმულ ბგერას უწოდებენ იეროგლიფის ხმამაღლა წარმოსათქმელ ბგერას.

ინიციალები


1. მსკდომი ბგერები: b, p, d, t, g, k

b [p] ბილაბიალური, არაფშვინვიერი, ყრუ, მსკდომი




სურ. 18 b [p] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

p [p'] ბილაბიალური, ფშვინვიერი, ყრუ, მსკდომი




სურ. 19 p [p'] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

d [t] შუა აპიკალური, არაფშვინვიერი, ყრუ, მსკდომი




სურ. 20 d [t] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

t [tʰ] შუა აპიკალური, ფშვინვიერი, ყრუ, მსკდომი




სურ. 21 t [tʰ] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

g [k] უკანანისმიერი, არაფშვინვიერი, ყრუ, მსკდომი



სურ. 22 g [k] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

k [k'] უკანანისმიერი, ფშვინვიერი, ყრუ, მსკდომი




სურ. 23 k [k'] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

	a [A]	i [i]	u [u]
b [p]	+	+	+
d [t]	+	+	+
g [k]	+	-	+
p [pʰ]	+	+	+
t [tʰ]	+	+	+
k [kʰ]	+	-	+

სურ. 24 ფუთუნგხუას მსკდომი ინიციალების ცხრილი,
ფინალების ნაწილთან კომბინაცია


2. ფრიკატივები: f, s, sh, r, x, h

f [f] ლაბიოდენტალური, ყრუ, ფრიკატივი




სურ. 25 f [f] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

s [s] წინა აპიკალური, ყრუ, ფრიკატივი




სურ. 26 s [s] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

sh [ʃ] უკანა აპიკალური, ყრუ, ფრიკატივი




სურ. 27 sh [ʃ] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

r [ʐ] უკანა აპიკალური, მჟღერი, ფრიკატივი




სურ. 28 r [ʐ] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

x [ɣ] წინაენისმიერი, ყრუ, ფრიკატივი



სურ. 29 x [ɣ] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

h [x] უკანაენისმიერი, ყრუ, ფრიკატივი




სურ. 30 h [x] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

	a [A]	i [i]	u [u]
f [f]	+	–	+
h [x]	+	–	+
s [s]	+	–	+
sh [ʃ]	+	–	+
x [ɣ]	–	+	–

სურ. 31 ფუთუნგხუას ყრუ ფრიკატივი ინიციალების ცხრილი,
ფინალების ნაწილთან კომბინაცია


3. ფუთუნგხუში სულ 6 აფრიკატი ბგერაა: z, c, zh, ch, j, q.

z [ts] წინა აპიკალური, არაფშვინვიერი, ყრუ, აფრიკატი




სურ. 32 z [ts] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

c [tsʰ] წინა აპიკალური, ფშვინვიერი, ყრუ, აფრიკატი




სურ. 33 c [tsʰ] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

zh [tʂ] უკანა აპიკალური, არაფშვინვიერი, ყრუ, აფრიკატი




სურ. 34 zh [tʂ] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

ch [tʂʰ] უკანა აპიკალური, ფშვინვიერი, ყრუ, აფრიკატი




სურ. 35 ch [tʂʰ] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

j [tɕ] წინაენისმიერი, ყრუ, არაფშვინვიერი, აფრიკატი



სურ. 36 j [tɕ] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

q [tɕʰ] წინაენისმიერი, ყრუ, ფშვინვიერი, აფრიკატი



სურ. 37 q [tɕʰ] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

	a [A]	i [i]	u [u]
z [ts]	+	–	+
c [tsʰ]	+	–	+
zh [tʂ]	+	–	+
ch [tʂʰ]	+	–	+
j [tɕ]	–	+	–
q [tɕʰ]	–	+	–

სურ. 38 ფუთუნგხუას აფრიკატი ინიციალების ფინალების ნაწილთან კომბინაცია⁴

4. ფუთუნგხუაში სულ 2 ნაზალური ინიციალია: m, n.

(-ng ასევე ნაზალურია, თუმცა ის მხოლოდ ფინალში გვხვდება. ხოლო n გვხვდება როგორც ინიციალში, ისე ფინალში).


m [m] ბილაბიალური, მჟღერი, ნაზალი



სურ. 39 m [m] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

4 ჩინური ენის ფინილის პროექტის სიმბოლოებში – jü, qü, xü, yü – ორი წერტილი მოიხსნა და ჩაინერა გამარტივებულად: ju, qu, xu, yu

n [n] შუა აპიკალური, მჟღერი, ნაზალი



სურ. 40 n [n] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

5. ფუთუნგხუაში 1 ლატერალი: l [l]

l [l] შუა აპიკალური, მჟღერი, ლატერალი




图 3.2.3-21 l [l] 发音示意图

სურ. 41 l [l] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

	a [A]	i [i]	u [u]
m [m]	+	+	+
n [n]	+	+	+
l [l]	+	+	+
r [ʐ]	–	–	+

სურ. 42 ფუთუნგზუას მჟღერი ბგერების ინიციალების ცხრილი,
ფინალების ნაწილთან კომბინაცია

აქვე ისევ გავიმეორებთ ნათქვამს ნულოვანი ინიციალის მარცვალსა და ე.წ.
„ნახევარხმოვნებზე“ w, y:

6. ნულოვანი ინიციალის მარცვალი

ისეთ მარცვალთა რაოდენობა, რომლებიც გვხვდება თანხმოვანი ბგერების
გარეშე, მცირეა ჩინურ ენაში. ასეთ შემთხვევაში ფინალი ხდება მარცვალი და
ჩვენ ვგულისხმობთ „ნულოვანი ინიციალის მარცვალს“:

ānquán 安全 (უსაფრთხოება) ōuzhōu 欧洲 (ევროპა)

7. ნახევარხმოვანი w, y

ჩინური ენის ფინინის (ფონეტიკური ტრანსკრიფციის) პროექტში, ნულოვა-
ნი ინიციალებისთვის, რომლებიც იწყება ბგერებით [i], [u], [y], გამოიყენება y
და w, ძირითადად იმისთვის, რომ ზღვარი აშკარა იყოს რამდენიმე მარცვლის
გაერთიანებისას:

iao – yao

uen – wen

	ყრუ არაფშვინვიერი	ყრუ ფშვინვიერი
მსკდომი	b [p]	p [pʰ]
	d [t]	t [tʰ]
	g [k]	k [kʰ]
აფრიკატი	z [ts]	c [tsʰ]
	zh [tʂ]	ch [tʂʰ]
	j [tɕ] (პალატალური)	q [tɕʰ] (პალატალური)

სურ. 43 მსკდომი და აფრიკატი ინიციალების ცხრილი

ფშვინვიერი და არაფშვინვიერი ინიციალები. ჰაერნაკადის სიძლიერისა და სისუსტის მიხედვით, ფუთუნგხუას ინიციალებს შორის მსკდომი ინიციალები და აფრიკატი ინიციალები იყოფა ფშვინვიერ და არაფშვინვიერ ბგერებად. შედეგად მივიღეთ ფშვინვიერების მიხედვით სამი მსკდომი წყვილი: b-p, d-t, g-k და სამი აფრიკატი წყვილი: z-c, zh-ch, j-q.

2.2.3 ფინალები

მარცვალში ინიციალის გარდა მარცვლის დანარჩენ (ძირითადად, ხმოვან) ნაწილს, ეწოდება ფინალი. მხოლოდ ორი თანხმოვანი შეიძლება შეგვხვდეს მარცვლის ბოლოში, ესენია: **n, ng**, დანარჩენი ხმოვნით სრულდება.

ჩინური ენის ფონეტიკური ტრანსკრიფციის პროექტის (ფინინის) მიხედვით, ოფიციალურად სულ 35 ფინალია, რომელშიც შედის ექვსი ხმოვანი ასო **a, o, e, i, u, ü**, ასევე ორი თანხმოვანი ასო **n** და **ng** (რომელიც წარმოადგენს ორ თანხმოვან ტერმინალს 韵尾). კიდევ არის ოთხი ფინალი: რეტროფლექსური **er** (რომელიც არ არის თავსებადი არცერთ ინიციალთან და არცერთ ხმოვანთან არ გამოიყენება კომბინაციაში); **-i [ɿ]** (რომელიც გამოიყენება მხოლოდ წინა აპიკალურ ბგერასთან) და **-i [ɿ]** (რომლებიც გამოიყენება მხოლოდ უკანა აპიკალურ ბგერასთან) და, როგორც ვხედავთ, ისინი გამოიხატება ფინინის ასო **i**-თ; დაბოლოს, კიდევ არის **ê** (欸, რომელიც ჩნდება მხოლოდ დიფთონგში და ასევე, როგორც შორისდებული – დამოუკიდებლად). რადგან ჩამოთვლილ ოთხ ფინალს ფონოლოგიურ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ასევე იმისათვის, რომ ინიციალების ცხრილის სისტემურობა შენარჩუნდეს, არ არის გათვალისწინებული ფინალების შემავამებელ ცხრილში, ამიტომ მიიჩნევა, რომ რეალურად ფუთუნგხუაში არის 39 ფინალი (林焘 2013).

ფონეტიკური ჟღერადობით, სტრუქტურის მიხედვით არის 39 ფინალი (ანუ ემატება: **-i [ɿ]**, **-i [ɿ]**, **ê [ɛ]**, **er [ər]**), რომელიც იყოფა მარტივ, რთულ და ნაზალურ ფინალებად (Ding 2012).

მარტივი ფინალები ერთი ხმოვნისგან შედგება: **a, o, e, ê, i, u, ü**

რთული ფინალები ორი ან სამი ხმოვნისგან შედგება: **ai, ei, ao, ou, ia, ie, ua, uo, üe, iao, iou, uai, uei**

ნაზალური (წინა) ფინალები, რომლებიც მთავრდება **-n**-ით: **an, en, in, ian, uan, uen (un), üan, ün**

ნაზალური (უკანა) ფინალები, რომლებიც მთავრდება **-ng**-ით: **ang, eng, ing, iang, uang, ueng, ong, iong**

თითოეული მათგანი, თავის მხრივ, ფონეტიკური ჟღერადობის მიხედვით კიდევ იყოფა ჯგუფებად:

მარტივი ფინალები, ანუ რომლებიც შედგება ერთი ხმოვნისგან, იყოფა 3 ჯგუფად:

- 1) დორსალური (შუაენისმიერი) მარტივი ფინალები: **a, o, e, ê, i, u, ü**;
- 2) წინა აპიკალური მარტივი ფინალები: **-i [ɿ]** ინიციალების **z, c, s** შემდეგ (მარცვლებში: **zi ci si**) და უკანა აპიკალური მარტივი ფინალები: **-i [ʅ]** ინიციალების **zh, ch, sh, r**, შემდეგ (მარცვლებში: **zhi chi shi ri**).
- 3) რეტროფლექსური მარტივი ფინალი: **er**

ჩინურ ენაში სულ 13 რთული ფინალია (დიფთონგები და ტრიფთონგები), ანუ ფინალები, რომლებიც შედგება ორი ან სამი ხმოვნისაგან.

რთული ფინალი იყოფა 3 ჯგუფად:

- 1) წინა რთული ფინალი (4): **ai, ei, ao, ou**
- 2) შუა რთული ფინალი (4): **iao, iou, uai, uei (ui)**
- 3) უკანა რთული ფინალი (5): **ia, ie, üe, ua, uo**

ნაზალური ფინალები, რომლებიც მთავრდება თანხმოვნებით **n** ან **ng**, იყოფა ორ ჯგუფად:

- 1) წინა ნაზალური ფინალი (8): **an, en, in, ian, uan, uen (un), üan, ün**.
- 2) უკანა ნაზალური ფინალი (8): **ang, eng, ing, iang, uang, ueng, ong, iong**.

თითოეული მათგანი, თავის მხრივ, ფონეტიკური ჟღერადობის მიხედვით კიდევ იყოფა ჯგუფებად: 7 დორსალური (შუაენისმიერი), 2 აპიკალური და 1 რეტროფლექსური.

ფინალის პირველი ბგერის თვისების მიხედვით, მარცვალში ფინალები იყოფა ხმოვნის ღიაობის ოთხ ხარისხად:

- 1) **ღია** პირის ფინალი (开口呼), ესენია: **a, o, e, ê, er, -i [ʅ], -i [ɿ]**, ასევე ფინალები, რომლებიც იწყება ბგერებით **a, o, e** (ისინი ხარისხის ოთხეულში პირველია ხმოვნის ღიაობის მიხედვით, რომლებსაც არა აქვს ხმოვნები **i, u** ან **ü** მარცვალმანარმოებლის სახით, მაგალითად, **lan, ge**); ასევე არ არის თავსებადი თანხმოვნებთან **j, q, x**, რისი გათვალისწინებით, არასდროს შეადგენთ მარცვლებს: **ja, qa, xa**;
- 2) **განწელილი** პირის ფინალი (齐齿呼), ხარისხის ოთხეულიდან მეორეა ხმოვნის ღიაობის მიხედვით, რომელსაც მიეკუთვნება ფინალი **i** მედიალის სახით ან, თუ მარცვალმანარმოებელია იგი (ანუ ფინალები, რომლებიც იწყება **i**-თი, მაგრამ არა ხმოვნებით **u** ან **ü**), ესენია: **iou, iao, ie, ia**, მაგალითად **tian, qi**;
- 3) **დახურული** პირის ფინალს (合口呼) (ხარისხის ოთხეულში მესამეა ხმოვნის ღიაობის მიხედვით) მოცემულ ოთხეულში მიეკუთვნება ფინალი **u** ან, თუ მარცვალმანარმოებელია **u** (ანუ ფინალები, რომლებიც იწყება **u**-თი), ესენია:

ua, uo, uai, uei, მაგალითად guā, guā, guān; ბგერა [u] ng-ს წინ იწერება ასოთი o, ესაა: ong, მაგ., gong.

- 4) **მოჭიმული** პირის ფინალებია: (撮合呼) **üe, ün, üan** (ხმოვნის ღიაობის მიხედვით ოთხი ხარისხიდან ბოლოა). მარცვალმანარმოებელია **ü**, მაგალითად, quān, xu, lü. ხმოვანი **ü** ინიციალების j, q, x-ს შემდეგ იწერება როგორც u.

საყურადღებო! ტრადიციულად, ფონეტიკის წესების მიხედვით, ფინალ **iong-s** ასევე მიაკუთვნებენ მეოთხე ხარისხის ფინალებს.

პირის ღიაობის ხარისხის მიხედვით სტრუქტურის მიხედვით	ღია პირის	განკლებილი პირის	დახურული პირის	მოჭიმული პირის
მარტივი ფინალი (10)	-i [ɿ]	i [i]	u [u]	ü [y]
	-i [ʅ]			
	a [A]	ia [iA]	ua [uA]	
	o [o]		uo [uo]	
	e [ɤ]			
	ê [ɛ]	ie [iɛ]		üe [yɛ]
	er [ər]			
რთული ფინალი (13)	ai [ai]		uai [uai]	
	ei [ei]		uei [uei]	
	ao [aʊ]	iao [iɑʊ]		
	ou [əʊ]	iou [iəʊ]		
ნაზალური ფინალი (16)	an [an]	ian [ien]	uan [uan]	üan [yen]
	en [ən]	in [in]	uen [uən]	ün [yn]
	ang [aŋ]	iang [iɑŋ]	uang [uaŋ]	
	eng [əŋ]	ing [iŋ]	ueng [uəŋ]	
			ong [ʊŋ]	iong [yʊŋ]/ [iʊŋ]

სურ. 44 ჩინური ფინალების შემაჯამებელი ცხრილი

მარტივი ფინალები


1) დორსალური (შუაენისმიერი) მარტივი ფინალები a, o, e, ê, i, u, ü

a [A] შუაენისმიერი, შუა რიგის, დაბალი, ტუჩები არ არის მომრგვალებული, ენის ზურგი ოდნავ აიწევა სასისაკენ, სახმო სიმები ამოქმედებულია, მაგალითად: 他 tā 拔 bá 打 dǎ 骂 dǎ



სურ. 45 a [A] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

o [o] შუაენისმიერი, უკანა რიგის, ენის ზურგის უკანა ნაწილი აიწევა რბილი სასის მიმართ, ნახევრად მაღალი (ანუ საშუალო აწეულობა), ტუჩები მომრგვალებული, სახმო სიმები ამოქმედებულია, მაგალითად: 他 tā 拔 bá 打 dǎ 骂 dǎ



სურ. 46 o [o] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება


e [ɛ] შუაენისმიერი, უკანა რიგის, პირი ნახევრად ღიაა, ენის ზურგის უკანა ნაწილი აიწევა რბილი სასის მიმართ – უკან და ზევით, ნახევრად მაღალი (ანუ საშუალო აწეულობა), ტუჩები არ არის მომრგვალებული, ოდნავ გაიწევიან გასწვრივ. სახმო სიმები ამოქმედებულია, მაგალითად: 歌 gē 渴 kě 色 sè 饿 è

გასათვალისწინებელია! როცა i არის დიფთონგის მთავარი ბგერა და ზედ იწერება ტონის ნიშანი, წერტილი თავზე აღარ იწერება: ī ī ī




სურ. 47 e [ɛ] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

i [i] შუაენისმიერი, წინა რიგის, მაღალი, პირი ნახევრად ღიაა, ენის წვერი დაშვებულია და ძვეს ქვედა ნუწებთან, ხოლო ენის ზურგის წინა ნაწილი აიწევა და უახლოვდება მაგარ სასას, ტუჩები არ არის მომრგვალებული, გაიწევიან გასწვრივ. სახმო სიმები ამოქმედებულია, მაგალითად: 衣 yī 皮 pí 李 lǐ 地 dì



სურ. 48 i [i] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

u [u] შუაენისმიერი, უკანა რიგის, მაღალი, უკანაენის, ანუ ენის ზურგის უკანა ნაწილი აწეული, ტუჩები მეტად მომრგვალებული და მეტად წინ წამოწეულია, სახმო სიმები ამოქმედებულია, მაგალითად: 五 wǔ 读 dú 古 gǔ 路 lù.




სურ. 49 u [u] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

ü [y] შუაენისმიერი, წინა რიგის, მაღალი, ენის წვერი დაშვებულია და ძვეს ქვედა წუნებთან, ხოლო ენის ზურგის წინა ნაწილი აწეული, ტუჩები მომრგვალებული. სახმო სიმები ამოქმედებულია, მაგალითად: 女 nǚ 旅 lǚ 鱼 yú 需 xū 区 qū

ანუ y არის ლაბიალიზებული i (საკმარისია წარმოვთქვათ i ხმაშეუწყვეტლივ, გაგრძელებით და ტუჩების u-სათვის მომრგვალებით, მივიღებთ y-ს.


ხოლო ტუჩები, როგორც u-ს დროს, მეტად მომრგვალებული და მეტად წინ წამოწეულია, მაგრამ პირი ოდნავ ღიაა.

როცა ü [y] ქმნის მარცვალს j, q, x-თან ან წულოვანი ინიციალის მარცვალში ჩნდება (მაშინ ü [y]-ს წინ იწერება y), თავზე ორი წერტილი აღარ აღინიშნება, ანუ: ju qu xu yu.



სურ. 50 ü [y] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება


ê [ɛ] შუაენისმიერი, წინა რიგის, ნახევრად დაბალი (ანუ საშუალო ანეულობა), ტუჩები არ არის მომრგვალებული. სახმო სიმები ამოქმედებულია. ცალკე გამოიყენება მხოლოდ იეროგლიფით 欸 (ê), რომელიც არის შორისდებული, ê [ɛ] ხშირად ჩნდება რთულ ფინალებში, სადაც უკვე იწერება, როგორც ე. მაგალითად, ფინალში ie იკითხება, როგორც ე.



სურ. 51 ê [ɛ] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება


2) უკანა აპიკალური მარტივი ფინალები: -i [ɿ] ინიციალების – zh, ch, sh, r შემდეგ და წინა აპიკალური -i [ɪ] ინიციალების – z, c, s შემდეგ:

-i [ɪ] წინა აპიკალური, წინა რიგის, მაღალი, ენის წვერი წინ განეულია და უახლოვდება ზედა კბილებს, თუმცა მათ შორის შენარჩუნებულია მცირე მანძილი, ტუჩები არ არის მომრგვალებული. სახმო სიმები ამოქმედებულია. აღნიშნული ბგერა ჩნდება მხოლოდ მაშინ, როცა მის წინ შემდეგი თანხმოვანი ბგერებია: z, c, s. მაგალითად: 字 zì 次 cì.



სურ. 52 -i [ɪ] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება


-i [ɿ] უკანა აპიკალური, უკანა რიგის, მაღალი, ენის წვერი იწევეს წინ მაგარი სასის წინა ნაწილთან, თუმცა მათ შორის შენარჩუნებულია მცირე მანძილი, ტუჩები არ არის მომრგვალებული, მაგალითად: 智 zhì 吃 chī 是 shì. სახმო სიმები ამოქმედებულია. აღნიშნული ბგერა ჩნდება მხოლოდ მაშინ, როცა მის წინ შემდეგი თანხმოვანი ბგერებია: zh, ch, sh, r.



სურ. 53 -i [ɿ] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

3) რეტროფლექსური მარტივი ფინალი er [ər]

er [ər] რეტროფლექსური, უკანა რიგის, მაღალი, ტუჩები არ არის მომრგვალებული, ნახევარწრის ფორმა აქვს, ენის წვერი ოდნავ იკეცება ზევით მაგარი სასის მიმართულებით. სახმო სიმები ამოქმედებულია, მაგალითად: 耳 ěr 二 èr 儿 ěr.




სურ. 54 er [ər] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

რთული ფინალები

რთული ფინალები შეიცავს ერთზე მეტ ბგერას. მათი წარმოთქმის პროცესში პირისა და ტუჩის ფორმა იცვლება, თუმცა ჰაერნაკადი მიედინება დაბრკოლების გარეშე. ხმოვნების სიმაღლეს ფინალებში განსხვავებულია. ის ხმოვანი, რომლის წარმოთქმის დროს პირი ყველაზე ფართოდ იღება, ანუ ყველაზე მაღალი და მკვეთრი არის მთავარი ხმოვანი, ანუ რთული ფინალის ცენტრალური ნაწილი. მას შეიძლება ახლდეს წინამორბედი – წინა ხმოვანი და შემდგომი – უკანა ხმოვანი. მთავარი ხმოვნის ადგილმდებარეობის მიხედვით, რთული ფინალები იყოფა სამ ჯგუფად: წინა რთული, შუა რთული და უკანა რთული ფინალები.


წინა რთული ფინალები. ასეთი ფინალების წარმოთქმის დროს პირველი ხმოვანი ბგერა იკითხება ხმამაღლა და მკვეთრად, ხოლო მეორე ხმოვანი ბგერა – სუსტად და არც თუ ისე მკვეთრად.

ai შედგება ხმოვნებისგან a და i. წარმოთქმისას ჰაერნაკადი არ წყდება და ხმა არის მსუბუქი და მოკლე.




სურ. 55 ai [ai]-ს ლიაობის სქემატური გამოსახულება

ei შედგება ხმოვნებისგან e და i. წარმოთქმისას ჰაერნაკადი არ წყდება და პირის კუთხეები გაიწევიან გასწვრივ ორივე მხარეს.




სურ. 56 ei [ei]-ს ლიაობის სქემატური გამოსახულება

ao შედგება ხმოვნებისგან a და o. პირი ფართოდ იღება. წარმოთქმისას ტუჩები თანდათანობით მომრგვალებული ხდება და, მიუხედავად იმისა, რომ ბოლოში ინერება o, რეალურად ვუახლოვდებით ბგერას u.



სურ. 57 ao [au]-ს ღიაობის სქემატური გამოსახულება


ou შედგება ხმოვნებისგან o და u. წარმოთქმა იწყება ბგერით o, მერე კი პირი ნელ-ნელა იხურება.



სურ. 58 ou [əu]-ს ღიაობის სქემატური გამოსახულება


უკანა რთული ფინალები. პირველი ხმოვანი წარმოითქმის მსუბუქად და მოკლედ, მეორე ხმოვანი კი ხმამაღლა და მკვეთრად.

ia შედგება ხმოვნებისგან i და a. ჯერ წარმოითქმის ბგერა i, მერე კი თანდათან ვალბთ პირს და ვიწყებთ ბგერა a-ს წარმოთქმას. აქ უკვე ნაკლები ღიაობით ხასიათდება, ვიდრე მარტივ ფინალში იგივე ბგერა.




სურ. 59 ia [iA]-ს ღიაობის სქემატური გამოსახულება

ie შედგება მარტივი ფინალებისგან *i* და *e*. ჯერ წარმოითქმის *i* და მერე *e*, პროცესში ჰაერნაკადი არ წყდება.




სურ. 60 *ie* [ie]-ს ღიაობის სქემატური გამოსახულება

üe შედგება მარტივი ფინალებისგან *ü* და *e*. ჯერ წარმოითქმის *ü* და მერე *e*, პირის ფორმა იცვლება: თავიდან ტუჩები წინ გამოწეულია და ბოლოში კი ტუჩები ორ მხარეს იწელება, ღიმბილის მსგავსად.




სურ. 61 *üe* [ye]-ს ღიაობის სქემატური გამოსახულება

ua შედგება მარტივი ფინალებისგან *u* და *a*. ჯერ წარმოითქმის *u* და მერე *a*.



სურ. 62 *ua* [ua]-ს ღიაობის სქემატური გამოსახულება

uo შედგება მარტივი ფინალებისგან u და o. ჯერ წარმოითქმის u და მერე ფაქიზად გადავდივართ ბგერაზე o, რომლის წარმოითქმისას პირი უფრო დახურულია, ვიდრე მარტივი ფინალის შემთხვევაში წავიკითხავდით.




სურ. 63 uo [uo]-ს ღიაობის სქემატური გამოსახულება

შუა რთული ფინალები. ყოველი შუა რთული ფინალი შედგება სამი ხმოვნისგან. წარმოითქმის დროს შუა ხმოვანი ბგერა წარმოითქმის ხმამაღლა და მკვეთრად, პირველი ხმოვანი სუსტად და მოკლედ, ბოლო (უკანა) ხმოვანი კი არამკვეთრად, ფაქტობრივად – გაურკვეველად. პირველი ხმოვნისგან ბოლოზე გადასვლა ხდება სწრაფად. სამი ხმოვანი წარმოითქმის ერთი მარცვლის სახით. არ შეიძლება მათი ცალ-ცალკე წარმოთქმა, როგორც სხვადასხვა მარცვლის.

შუა რთული ფინალი სულ ოთხი სახისაა: iao, iou, uai, uei.


iao შედგება სამი მარტივი ფინალისგან: i, a და o. იწყება ბგერით i, გრძელდება ბგერით a და ბოლოს o-ზე გადასვლისას, ტუჩები წარმოითქმის დროს ბოლოსკენ მრგვალდება.



სურ. 64 iao [iau]-ს ღიაობის სქემატური გამოსახულება


iou შედგება მარტივი ხმოვანი ბგერებისგან i, o და u. იწყება ბგერით i, ნელ-ნელა ტუჩები მრგვალ ფორმას იძენს და გადადის ბგერაში o და სრულდება ბგერით u.

როცა iou-ს წინ თანხმოვანია, მაშინ iou იწერება, როგორც iu; თუ ინიციალის გარეშეა, მაშინ იწერება, როგორც you.




სურ. 65 iou [iou]-ს ღიაობის სქემატური გამოსახულება

uai შედგება მარტივი ხმოვანი ბგერებისგან: u, a და i. თავიდან ტუჩები მომრგვალებულია, ხოლო თანდათანობით სიმრგვალე ქრება.



სურ. 66 uai [uai]-ს ღიაობის სქემატური გამოსახულება

uei შედგება მარტივი ხმოვანი ბგერებისგან u, e და i. ბგერა e-ს წარმოთქმის მომენტისთვის სიმრგვალე თანდათანობით ქრება.




სურ. 67 uei [uei]-ს ღიაობის სქემატური გამოსახულება

ნაზალური ფინალები


ნაზალური ფინალები იყოფა ორ ჯგუფად: წინა ნაზალური ფინალები და უკანა ნაზალური ფინალები. ფუთუნგხუაში სულ 16 ნაზალური ფინალია: 8 წინაენისმიერი და 8 უკანაენისმიერი.

წინა ნაზალური ფინალი n [n]



სურ. 68 n [n] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

უკანა ნაზალური ფინალი ng [ŋ]




სურ. 69 ng [ŋ] წარმოთქმის სქემატური გამოსახულება

წინა ნაზალური ფინალები	an [an]	ian [iɛn]	uan [uan]	üan [yɛn]
	en [ən]	in [in]	uen [uən]	ün [yn]
უკანა ნაზალური ფინალები	ang [aŋ]	iang [iaŋ]	uang [uaŋ]	
	eng [əŋ]	ing [iŋ]	ueng [uəŋ]	
			ong [ʊŋ]	iong [yʊŋ]/ [iʊŋ]

სურ. 70 ნაზალური ფინალების ცხრილი საერთაშორისო ტრანსკრიფციით


წინა ნაზალური ფინალები შედგება ხმოვანი ბგერებისა და ნაზალური თანხმოვანი ბგერისგან n. სულ არსებობს რვა წინა ნაზალური ფინალი.

an შედგება ბგერებისგან **a** და **n**, წარმოთქმისას ენა იწევა წინ. თუმცა, ჯერ წარმოვთქვამთ ბგერას **a**, შემდეგ კი ენის წვერი ნელ-ნელა იწევა ზემოთ და ეხება ზედა ნუნებს ბგერა **n**-ს წარმოსათქმელად.




სურ. 71 an [an]-ს ლიაობის სქემატური გამოსახულება

en შედგება ბგერებისგან **e** და **n**, წარმოთქმისას ენა განეულია ოდნავ წინ. თუმცა, ჯერ წარმოვთქვამთ ბგერას **e**, შემდეგ ენის ზედაპირი იწევა ზემოთ, ენის წვერი კი ეხება ზედა ნუნებს. ჰაერნაკადი გამოდის ცხვირის ღრუდან და წარმოითქმის ბგერა **n**.




სურ. 72 en [ən]-ს ლიაობის სქემატური გამოსახულება

ian შედგება სამი ბგერისგან: **i**, **a** და **n**. წარმოთქმის დროს ენა განეულია წინ და პირი ოდნავ ღია მდგომარეობაშია. ჯერ წარმოვთქვამთ ბგერას **i**, შემდეგ კი გადავდივართ **a**-ზე, რომელიც რეალურად უღერს, როგორც [ɛ] და ებჯინება ზედა წუნებს ბგერა **n**-ის წარმოსათქმელად.




სურ. 73 *ian* [iɛn]-ს ღიაობის სქემატური გამოსახულება

in შედგება ბგერებისგან **i** და **n**. ჯერ წარმოვთქვამთ ბგერას **i**, შემდეგ კი ენის წვერი ებჯინება ქვედა კბილებს. ენის ზედაპირი ნელ-ნელა იწევა ზევით და უახლოვდება მაგარ სასას. ჰაერნაკადი გამოდის ცხვირის ღრუდან და წარმოითქმის ბგერა **n**.



სურ. 74 *in* [in]-ს ღიაობის სქემატური გამოსახულება


uan შედგება სამი ბგერისგან: **u**, **a** და **n**. ჯერ ტუჩები მომრგვალებულია და წარმოითქმის ბგერა **u**. ნელ-ნელა ენის წვერი გადადის **a**-ს წარმოების ადგილას, შემდეგ კი ენის წვერი ებჯინება წუნებს და წარმოითქმის **n**.



სურ. 75 *uan* [uan]-ს ღიაობის სქემატური გამოსახულება


uen შედგება სამი ბგერისგან: u, e და n. ფინინში, როცა **uen/un** უნიციალ მარცვლის როლშია, იგი იწერება, როგორც wen; როცა წინ უძღვის თანხმოვანი ბგერა, მაშინ იწერება, როგორც un.

წარმოთქმის დროს ენის წვერი ებჯინება ზედა ნუნას და წარმოთქმის ბგერა n. ჰაერნაკადი გაივლის ცხვირის ღრუს, მაგ., **wenshun** 温顺 დამჯერი, ხათრიანი, დამყოლი.




სურ. 76 uen [uən]-ს ღიაობის სქემატური გამოსახულება

üan შედგება სამი ბგერისგან: **ü**, **a** და n. როდესაც ფინალი **üan** მარცვალია ინიციალის გარეშე, მაშინ იგი იწერება, როგორც yuan, თუ წინ ერთვის თანხმოვნები j, q, x, მაშინ **üan**-ს ორ წერტილს მოვაშორებთ. წარმოთქმას ვიწყებთ ხმოვნით **ü** და გადავდივართ ხმოვანზე **a**, რომელიც რეალურად ჟღერს, როგორც [ɛ], ამიტომ ენა ჯერ ეშვება დაბლა, ხოლო მერე ისევ ადის ზევით ბგერა n-ს წარმოსათქმელად.



სურ. 77 an [yɛn]-ს ღიაობის სქემატური გამოსახულება


ün შედგება ორი ბგერისგან: **ü** და **n**. როდესაც ფინალი **ün** მარცვალა ინიციალის გარეშე, მაშინ იწერება, როგორც **yun**. როდესაც წინ უძღვის თანხმოვნები: **j, q, x**, მაშინ ორი წერტილი არ გამოიყენება. ჯერ წარმოითქმის **ü**, შემდეგ კი ენა ეხება წუნებს, ჰაერნაკადი გამოდის ცხვირის ღრუდან და წარმოვთქვამთ ბგერას **n**. მაგ., **junyun** 均匀 თანაბარი.



სურ. 78 ün [yn]-ს ღიაობის სქემატური გამოსახულება


უკანა ნაზალური ფინალები შედგება ხმოვანი ბგერებისგან და თანხმოვანი ბგერისგან **ng**. სულ 8 უკანა ნაზალური ფინალია ჩინურ ენაში. უკანა ნაზალური ფინალების წარმოთქმისას ენის ძირი ოდნავ ებჯინება რბილ სასას, რის შედეგადაც გამოდის უკანა ნაზალური ბგერა.

ang შედგება ხმოვნისგან **a** და ნაზალური თანხმოვნისგან **ng** [ŋ]. ამ მარცვლის წარმოთქმის დროს, ენა ოდნავ უკან არის განეული, ვიდრე ეს მხოლოდ ხმოვანი **a**-ს წარმოთქმისას; ენა იწევა ზემოთ და ებჯინება რბილ სასას. ჰაერნაკადი გამოდის ცხვირის ღრუდან და წარმოითქმის ნაზალური ბგერა **ng**.




სურ. 79 ang [aŋ]-ს ღიაობის სქემატური გამოსახულება

eng შედგება ხმოვნისგან *e* და ნაზალური თანხმოვნისგან *ng* [ŋ]. ამ მარცვლის წარმოთქმის დროს ჯერ წარმოთქვამთ *e*-ს, ხოლო შემდეგ ენის წვერს მივაბჯენთ ნუნებს, ენას ზემოთ წამოვწევთ და მივყრდნობთ რბილ სასას, რის შედეგადაც წარმოითქმის *ng*. ჰაერნაკადი გამოდის ცხვირის ღრუდან.




სურ. 80 *eng* [əŋ]-ს ღიაობის სქემატური გამოსახულება

iang შედგება *ia* და *ng*-სგან. ჯერ წარმოითქმის *i* და ენა ნელა გადაადგილდება *a*-ს წართქმის პოზიციაზე, ბოლოს კი – *ng*-ს წარმოთქმის პოზიციაზე.




სურ. 81 *iang* [iaŋ]-ს ღიაობის სქემატური გამოსახულება

ing შედგება *i* და *ng*-სგან. ენის წვერი ებჯინება ქვედა ნუნებს, ენა კი ალი-მართება და უახლოვდება მაგარ სასას. ამის შედეგად ზედა და ქვედა კბილები ერთმანეთს უახლოვდება.



სურ. 82 *ing* [iŋ]-ს ღიაობის სქემატური გამოსახულება


uang შედგება **ua** და **ng**-სგან. ჯერ ვამრგვალებთ ტუჩებს **u**-ს წარმოსათქმელად, შემდეგ კი ენა გადადის **a**-ს წარმოთქმის პოზიციაზე, ბოლოს კი წარმოითქმის **ng**.



სურ. 83 *uang* [uaŋ]-ს ღიაობის სქემატური გამოსახულება

ong შედგება **o** და **ng**-სგან.


ჯერ წარმოითქმის **o**, შემდეგ ენის ძირი იწევს ზევით და ებჯინება რბილ სასას. ენის ზედაპირი ზემოთ აღიმართება, ტუჩები მომრგვალებულია.



სურ. 84 *ong* [uŋ]-ს ღიაობის სქემატური გამოსახულება


iong შედგება **io** და **ng**-სგან.

ჯერ წარმოითქმის **i**, შემდეგ კი ენა გადადის **o**-ს წარმოთქმის პოზიციაზე, ბოლოს უკვე მოდის **ng**.



სურ. 85 *iong* [yŋ]-ისა და [iuŋ]-ის ღიაობის სქემატური გამოსახულება

ueng შედგება u, e და ng-სგან. წარმოთქმის დროს ტუჩები მომრგვალებულია და წარმოითქმის i, შემდეგ ენა ნელა გადადის e-ს წარმოთქმის პოზიციაზე და მერე კი წარმოითქმის ng. როდესაც ეს ფინალი მარცვლის ფუნქციითაა ინიციალის გარეშე, იგი იწერება როგორც weng.



სურ. 86 ueng [uəŋ]-ს ღიაობის სქემატური გამოსახულება

ერიზაცია

განსაკუთრებულ რეტროფლექსურ ფინალს – er არასოდეს ერთვის წინ რომელიმე ინიციალი, თუმცა იგი დამოუკიდებლად შეიძლება თავად იყოს მნიშვნელობის მქონე სიტყვა, მაგალითად: 耳 ყური, 儿 (ვაჟი)შვილი, 二 ორი და სხვ.

მაგრამ er შეიძლება მოსდევდეს სხვა ფინალებს, რითაც უცვლის მას ჟღერადობას. ამ დროს ენა იხრება ზევით. ასეთ მოვლენას ეწოდება ერიზაცია. ამ ერიზაცებული ბგერის ჩანერისას ვიყენებთ ასო r-ს ჩვეულებრივ მარცვლის მომდევნოდ.

იეროგლიფური წერისას ერიზაცია აღინიშნება იეროგლიფით 儿 ერიზებული სიტყვის შემდეგ, მაგალითად: huar 花儿 ყვავილი; huapingr 花瓶 ყვავილების ლარნაკი; youqur 有趣儿 საინტერესო.

ერიზაციის ფუნქცია

1) ერიზაციის დახმარებით შეიძლება განისაზღვროს, რომელი მეტყველების ნაწილია ესა თუ ის სიტყვა. მაგალითად, ზოგიერთი ზმნა და ზედსართავი ერიზაციის დროს არსებით სახელად გადაიქცევა:

hua ხატვა 画	huar 画儿 ნახატი
gai დახურვა 盖	gair 盖儿 თავსახური

2) ერიზაციას შეიძლება ჰქონდეს აზრის განმასხვავებელი ფუნქცია:

tou 头 თავი	tour 头儿 მეთაური, უფროსი
xin 信წერილი	xinr 信儿 სიახლე, ახალი ამბავი

3) ერიზაციამ შეიძლება სიტყვას მოფერებითი ელფერი შემატოს:

baobeir 宝贝儿 საყვარელო	xiaomeir 小妹儿 უმცროსი დაიკო
xiaoniaor 小鸟儿 ჩიტუნია	xiaohair 小孩儿 ბავშვები

4) ერიზაცია ხშირად გვხვდება სიტყვებში, რომლებიც აღნიშნავენ პატარა ან მსუბუქ საგნებს:

xiaodaor 小刀儿 პატარა დანა	binggunr 冰棍儿 ნაყინი ჯოხზე
--------------------------	---------------------------

5) ერიზაციამ შეიძლება განასხვავოს ომონიმები:

youpiao 邮票 საფოსტო მარკა	youpiaor 油票儿 საწვავის ტალონი
lalian 拉练 სამხედრო-სასწავლო მსვლელობა	lalianr 拉链ი ელვა

2.2.4 ტონები

ჩინური ენა ეკუთვნის ტონალურ ენათა რიცხვს. ჩინური ენის მარცვლისთვის დამახასიათებელია არა მხოლოდ განსაზღვრული ბგერითი შედგენილობა, არამედ სხვადასხვა ტონი, რომელსაც ეწოდება მოცემული მარცვლის ეტიმოლოგიური ტონი. ტონი არის ხმის მელოდიურობის სიმბოლო, აღნიშნავს ბგერის სიმაღლის განსაზღვრულ ცვლილებას. მარცვლები, რომელთაც ერთნაირი ბგერითი შემადგენლობა აქვს, მაგრამ სხვადასხვა ტონში წარმოითქმის, სხვადასხვა მნიშვნელობას ატარებს.

ტონი არის წარმოთქმის დროს მარცვლის სიმაღლე. ჩინურ ენაში ერთი მარცვალი შეესაბამება ერთ იეროგლიფს, ამიტომ თამამად შეგვიძლია იეროგლიფის ტონიც ვუწოდოთ.


ტონის სიმბოლო იწერება ხმოვნის თავზე. თუ მარცვალში ერთი ხმოვანია, ტონის ნიშანი იწერება მოცემულ ხმოვანზე (ამ შემთხვევაში, წერტილი არ იწერება ხმოვანზე i, მაგალითად, nǐ). თუ მარცვალში დიფთონგი ან ტრიფთონგია, მაშინ ტონის ნიშანი იწერება იმ ასოზე, რომელიც გამოხატავს მარცვალმანარმოებელ ხმოვანს, მაგალითად, hǎo.

ტონი თამაშობს შინაარსის განმასხვავებლის როლს, მაგალითად: „წიგნის წაკითხვა“ იქნება kànshū (看书), ხოლო „ხის მოჭრა“ იქნება kǎn shù (砍树), ასევე „ვარჯიში“ იქნება liànxí (练习), ხოლო „დაკავშირება“ იქნება liánxi (联系).

ეს სიტყვები იდენტური ბგერითი შემადგენლობისაა, თუმცა ტონები აქვს განსხვავებული და, შესაბამისად, განსხვავებული მნიშვნელობა.

ტონების ცვლილება ხდება სახმო სიმების დაძაბვის სხვადასხვა დონის ხარჯზე, მაგალითად, თუ სიმები დასუსტებულია და მოდუნებული, მაშინ ბგერა გამოდის დაბალი, ხოლო თუ იძაბება, ბგერა გამოდის მაღალი. თუ ხმის მოშვებული მდგომარეობიდან იწყებს დაბალზე გადასვლას, მაშინ ბგერა გადადის დაბლიდან მაღალზე.

ტონი არ უნდა აგვერიოს ინტონაციაში, ეს არის ბგერის სიმაღლის გამოყენება სიტყვების ფარგლებში მნიშვნელობის განსხვავებისთვის. ტონი გამოიყენება სხვადასხვა სიმაღლის ძირითადი ხმოვანი ბგერის წარმოთქმისას. ყველასთვის გასაგები რომ იყოს ტონები, გამოიყენება “ხუთი სიმაღლის” სქემა.



სურ. 87 ტონები, „ხუთი სიმაღლის“ სქემა

აქ ყველაზე მაღალი ტონი აღინიშნება მეხუთე დონით, ნახევრად მაღალი – მეოთხე დონით, საშუალო – მესამე დონით, ნახევრად დაბალი – მეორე დონით, ხოლო ყველაზე დაბალი – პირველი დონით.

ფუთუნგხუაში სულ ოთხი ტონია:

სწორი ტონი, იგივე პირველი ტონი, სქემის მიხედვით მაღალ-სწორი ტონი – 55, ანუ მაღალი და სწორია;

აღმავალი ტონი, იგივე მეორე ტონი, სქემის მიხედვით საშუალო-აღმავალი ტონი – 35, ანუ ადის საშუალოდან მაღალზე;

ოფიციალურად, დაღმავალ-აღმავალი, იგივე მესამე ტონი – 214. ტონი ჯერ ჩადის დაბლამდე და მერე ადის ნახევრად მაღლამდე;

დამავალი ტონი, იგივე მეოთხე ტონი სქემის მიხედვით, მაღალ-დაღმავალია – 51, ტონი ჯერ ეცემა ყველაზე მაღალი ტონიდან ყველაზე დაბალ ტონამდე. იხილეთ ცხრილი:

ტონალური მნიშვნელობა	ტონის ტიპი	ტონის აღნიშვნა	აღწერა	მაგალითი
55 მაღალი და სწორი	სწორი	—	თავიდან ბოლომდე მაღალი ტონი	妈
35 საშუალო- აღმავალი	აღმავალი	↗	ადის საშუალოდან მაღლამდე	麻
214 დაღმავალ- აღმავალი	დაღმავალ- აღმავალი	↘↗	ჯერ ჩადის, შემდეგ კი ისევ ადის	马
51 მაღალ- დაღმავალი	დაღმავალი	↘	უმაღლესი დონიდან ეცემა უდაბლესადე	吗

სურ. 88 ტონების ცხრილი

ტონების ნიშნები დაისმის ფინალების მთავარ ხმოვანზე, გასათვალისწინებელია ოთხი გარემოება (汉语可以这么教) :

- 1) თუ მარცვალში მხოლოდ ერთი ფინალია, იწერება იმ ერთი ფინალის თავზე.
- 2) თუ ფინალი ორი ხმოვნისგან შედგება, ტონები იწერება შემდეგი თანმიმდევრობით: a o e i u ü

მაგალითად: 好 hǎo 再 zài 写 xiě 每 měi 多 duō 口 kǒu

- 3) თუ i-ს შემდეგ მოდის u (iu), ტონი იწერება u-ს თავზე, მაგ., 九 jiǔ

- 4) i-ზე ტონის დაწერის დროს, მასზე წერტილს არ ვწერთ, მაგ., 进 jìn

განმეორებითი მესამე ტონის სპეციფიკას რაც შეეხება, თუ ორი მარცვალის ერთად გამოიყენება პაუზის გარეშე მესამე ტონში, პირველი მარცვლის ტონი გადადის მეორე ტონში, თუმცა ეს ცვლილება არ აისახება ანბანური დაწერილობისას. მაგალითად, იწერება níhǎo, მაგრამ იკითხება níhǎo.

ჩინელი ლინგვისტების გათვლებით, მარცვალთა რეალური რაოდენობა ტონების გათვალისწინებით ნაწილდება შემდეგნაირად:

იხილეთ ჩინური ენის ფუთუნგხუას მარცვალთა რაოდენობის განაწილება და მისი საბოლოო დადგენა ტონების მიხედვით.

ტონი	მარცვალთა რაოდენობა	პროცენტული შეფარდება, %
1	341	25, 2
2	266	20
3	328	24, 9
4	359	26, 7
0	38	3, 2
ჯამური რაოდენობა	1332	100%

სურ. 89 ფუთუნგხუას მარცვალთა რაოდენობის განაწილება და მისი საბოლოო დადგენა ტონების მიხედვით

როგორც აღინიშნა, ტონების დამსახურებით, ერთი და იგივე მარცვალის შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობას ატარებდეს, ანუ ჩინურ ენაში ფილოლოგიურ როლს ასრულებს ტონი.

ნულოვანი ანუ მსუბუქი ტონი

უმახვილო მარცვლებში ხდება ძირითადი ტონის გაქრობა. ზოგი მარცვალი რთული სიტყვებისა და წინადადებების შემადგენლობაში კარგავს თავის ეტიმოლოგიურ ტონს. შესაბამისად, ანბანურ ტექსტში (ფინინში) მსუბუქი ტონი არ აღინიშნება რაიმე სახის სიმბოლოთი, მაგალითად, nǐ ne. ისინი იკითხება მსუბუქად და მოკლედ. მაგალითად, იეროგლიფი 子 – თავიდან დამავალ-აღმავალი ტონია, თუმცა სიტყვაში 椅子 子 მსუბუქი ტონია.

ზოგჯერ მსუბუქ ტონსაც აქვს აზრის განმასხვავებლის ფუნქცია:

უყურადღებო, ზედაპირული, დაუფიქრებელი dàyi 大意 და არსი, ძირითადი მნიშვნელობა dàyi 大意.

მსუბუქი ტონით იკითხება:

- 1) დამხმარე სიტყვები 的, 地, 得, ასევე ზმნის სუფიქსები 着, 了, 过 და ნაწილაკები 吧, 嘛, 呢, 啊, 吗 და სხვ. მაგალითად: 白的 bái de თეთრი, 跑得快 pǎo de kuài სწრაფად დარბის, 去吗? qù ma? მიდიხარ?
- 2) არსებითი სახელების სუფიქსები 子, 头, კლასიფიკატორი 个, მრავლობითი რიცხვის სუფიქსი 们, ნაწილაკი 么 და სხვ. მაგალითად: 儿子 ér zi ვაჟიშვილი, 石头 shí tou ქვა, 我们 wǒ men ჩვენ, 怎么 zěn me როგორ?

გამონაკლისი: ადამიანის სახელებში 子 არის მნიშვნელობის მატარებელი იეროგლიფი და არ გვხვდება მსუბუქ ტონში: 孔子 kǒng zǐ კონფუცი, 老子 lǎo zǐ ლაო ნი.

მნიშვნელობის მატარებელი იეროგლიფი 子 არსებით სახელებში ასევე არ იკითხება მსუბუქი ტონით: 原子 yuán zǐ ატომი, 电子 diàn zǐ ელექტრონი.

- 3) იეროგლიფები, რომელიც გამოიყენება არსებითი სახელებისა და ნაცვალ-სახელების შემდეგ და აღნიშნავს ადგილს, მდებარეობას, განლაგებას: 这边 აქ, აქეთ, 地下 მიწის ქვეშ.
- 4) მიმართულების აღმნიშვნელი ზმნების დამატებები: 出去 გასვლა, 进来 ჩამოსვლა.
- 5) გაორმაგებული ზმნებისა და არსებითი სახელების მეორე მარცვალი: 谢谢 მადლობა, 写写 წერა, 休息休息 დასვენება.
- 6) ზოგიერთ ორმარცვლიან სიტყვაში მეორე მარცვალი: 玻璃 შუშა, 糊涂 ბრიყვი, 学生 მოსწავლე, სტუდენტი, 关系 ურთიერთობა.

არსებობს დამხმარე სიტყვათა მცირე რაოდენობა, რომლებსაც საერთოდ არა აქვთ ძირითადი ტონი და ყოველთვის რბილი ტონით წარმოითქმის. უმახვილო მარცვლები, მიუხედავად იმისა, თუ რა არის მისი ძირითადი ტონი, ზოგჯერ წარმოითქმის ტონის გარეშე, რომელსაც ასევე ეწოდება მსუბუქი.

გასათვალისწინებელია, რომ, მიუხედავად მსუბუქი ტონისა, უმახვილო მარცვლებში ოდნავ მაინც იგრძნობა მისი ძირითადი ტონი (თუ ასეთი არსებობს არადამხმარე სიტყვებში) და არ გამოითქმის სრულიად უტონოდ.

დამხმარე სიტყვების (რომელთაც ძირითადი ტონი არა აქვთ) მსუბუქი ტონი ცოტათი გვაგონებს ძალიან მოკლე მეოთხე ტონს. ზოგჯერ წინა მარცვლის ტონი ახდენს ზემოქმედებას მომდევნო მარცვლის მსუბუქ ტონზე და შეიძლება ოდნავ განსხვავებულ სიმაღლეზე წარმოითქვას.

ტონების ცვლილება ეტიმოლოგიური მესამე ტონის სიტყვებში

მესამე ტონი არ იცვლება, თუ სიტყვა დგას ცალკე ან მდებარეობს წინადადების ბოლოში. ზოგჯერ მესამე ტონის სიტყვებმაც შეიძლება შეიცვალოს ტონი:

- 1) როცა ორი მესამე ტონის სიტყვა ერთმანეთის მიყოლებით და გვერდიგვერდ არის, როცა ერთი სიტყვის ორივე მარცვალი მესამე ტონისაა, ამ დროს პირველი იკითხება მეორე ტონით, ხოლო მეორე რჩება მესამეში. მაგალითად: 35 (ან 35 და ან 12) – 语法 გრამატიკა, 所以 ამიტომ, 可以 შეიძლება, 讲讲 ახსნა.

არასრული მესამე ტონი: 椅子 სკამი, 姐姐 უფროსი და, 耳朵 ყური.

როცა ზედიზედ სამი მარცვალი მესამე ტონისაა, მაშინ, ჩვეულებრივ, მათგან პირველი ორი იკითხება მეორე ტონით (34), მაგალითად: 小组长 წრის ხელმძღვანელი, 展览馆 საგამოფენო დარბაზი, პავილიონი.

როცა ზედიზედ ოთხი სიტყვა მესამე ტონისაა, მაშინ კონკრეტული სიტუაციის მიხედვით განვსაზღვრავთ, შინაარსის მიხედვით დავყოფთ და წესების დაცვით შევცვლით ტონებს. მაგალითად:

我也 | 很好 მეორე-მესამე | მეორე-მესამე ან მეორე-მეორე-მეორე და მესამე 产品 | 展览 აქაც: მეორე-მესამე | მეორე-მესამე

- 2) მესამე ტონი სხვა ტონებთან, მათ შორის, მსუბუქ ტონთან ერთად იკითხება არასრული მესამე ტონით (21), მაგალითად: 广播 რადიო, 偶然 შემთხვევით, 法律 კანონი, 尾巴 კუდი.

- 3) ” — “ და ” 不 ” -ის ტონების ცვლილების წესები:

ორივე სიტყვას თავისი ეტიმოლოგიური ტონი გააჩნია, ” — “ პირველ ტონშია, ხოლო ” 不 ” - მეოთხეში. როცა ისინი გამოიყენება ცალკე ან დგას წინადადების ბოლოს, ან როცა თავისი მნიშვნელობით „ერთით“ გამოიყენება, მაშინ თავისი ძირითადი ტონით იკითხება. ტონი არის პირველი ტონი, თუმცა მეოთხეს გარდა, სხვა ტონებთან ეს ტონი მეოთხეში გადადის. მეოთხე ტონთან, პირიქით, მეორე ტონში გადადის. სიტყვებს შორის კი მსუბუქ ტონშია.

“不“-ს მეოთხე ტონი მარცვალთან, რომელიც ასევე მეოთხე ტონშია, მეორე ტონში გადადის (იხილეთ დანართი 4).

2.2.6 აპოსტროფი

ჩინურ ენაში, როცა ერთად მდგომ მარცვლებში მეორე მარცვალი იწყება ხმოვნით a, o, e, მეორე ხშირად პირველს გამოეყოფა აპოსტროფით, რადგან სხვა შემთხვევაში ერთ მარცვლად აღიქმება, რის გამოც შეიძლება დაშვებულ იქნეს შეცდომა და მოხდეს გაუგებრობა. ამიტომაც საჭიროა ზღვრის აღნიშვნა მარცვლებს შორის. მაგალითად:

Xi'an ქ. სიანი (აქ აპოსტროფი მიგვანიშნებს, რომ ორი მარცვალია).

xian სიენ (აქ აპოსტროფის გარეშე ერთი მარცვალი გამოდის და სხვაგვარად იკითხება).

თავი III

ქართული და ჩინური ენების ფონეტიკური სისტემა

წინამდებარე თავში წარმოდგენილია ქართული და ჩინური ენების შეპირისპირებითი ფონეტიკური ანალიზი, კერძოდ, ამ ენათა ბგერითი წყობის შეპირისპირებითი აღწერა და ჩინური ბგერების ქართულ ენაზე ტრანსლიტირაციის საკითხი.


ზოგადად, როდესაც ადამიანი სწავლობს ენას, მას სურს სწორი წარმოთქმის შესწავლა. ჩინური ენის შემთხვევაში ეს არის ფუთუნგხუა. ხშირად უცხოელი სტუდენტის მშობლიური ენის სპეციფიკის ცოდნა მასწავლებელს ეხმარება სწორი მიდგომებისა და სწავლების სათანადო მეთოდების შერჩევაში ისევე, როგორც – სტუდენტს ჩინური ენის ფონეტიკური მახასიათებლებისა და თავისებურებების ცოდნა სწორი მიდგომისა და სწავლის შესაბამისი მეთოდების მოშველიებაში. ქართველი სტუდენტის სწავლების დროსაც არ იქნებოდა ურიგო ლექტორების მიერ დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინება და გაზიარება ან მათ მიერ შექმნილი სასწავლო მასალის გაცნობა.

3.1 ქართული და ჩინური ენების ფონეტიკური სისტემის შედარება-შეპირისპირება

3.1.1 ფონეტიკური ტრანსკრიფცია

ფონეტიკური ტრანსკრიფცია გამოიყენება ბგერითი ერთეულების ფონეტიკური თვისებების ასახვისთვის. მთავარ პრინციპს წარმოადგენს ტრანსკრიბირებული ბგერისა და გამოყენებული პირობითი ნიშნის ცალსახა შესაბამისობა. ყველაზე მეტად გამოიყენება საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი International Phonetic Alphabet, IPA, რომელიც შემუშავებულია საერთაშორისო ფონეტიკური ასოციაციის მიერ ლათინური ანბანის საფუძველზე.

3.1.1.1 ხმოვანთა დიაგრამა საერთაშორისო ფონეტიკური ანბანის მიხედვით



სურ. 90 ხმოვანთა დიაგრამა საერთაშორისო ფონეტიკური ანბანის მიხედვით

შენიშვნა: მოცემულ დიაგრამაში წყვილში მოყვანილ ფონეტიკურ სიმბოლოებს შორის მარცხენა არის არაბაგისმიერი, ხოლო მარჯვენა – ბაგისმიერი.

3.1.1.2 სამეტყველო ბგერების ტრანსკრიფციული სიმბოლოები

ქართული ხმოვნები	ტრანსკრიფცია	სიტყვა-ნიმუში	ჩინური ხმოვნები	ტრანსკრიფცია	სიტყვა-ნიმუში
ი	[i]	თითი ია	i	[i] [ɪ] [ɿ]	七 qī 词 cí 吃 chī
ე	[ɛ]	ხე ეტლი	e	[ɤ] [ɛ] [ə]	饿 è 月 yuè 梅 méi

ა	[a]	ცა ათი	a	[A] [a] [ɑ] [ɛ]	花 huā 孩 hái 好 hǎo 天 tiān
ო	[ɔ]	თოხი ოთხი	o	[o] [u] [ə]	多 duō 送 sòng 都 dōu
უ	[u]	ქუდი უთო	u	[u]	不 bù
			ü	[y]	去 qù, 女 nǚ
			er	[ər]	儿 ér

სურ. 91 ქართული და ჩინური ხმოვანი ბგერების
ტრანსკრიფციული სიმბოლოების ცხრილი

არსებობს მოსაზრება, რომ საერთაშორისო ფონეტიკური ანბანის ნიშნები ზუსტად ვერ ასახავს ქართული ხმოვნების რეალურ ვითარებას. ქართული ე და ო ხმოვნები რეალურად ოდნავ უფრო დახურულია (ვინროა), ვიდრე [ɛ] და [ɔ]. იგივე უნდა ითქვას ა ხმოვნის შესახებაც. ეს ხმოვანი წინა რიგის დაბალი ანეულობის ხმოვანთან შედარებით ოდნავ უფრო უკან წარმოითქმის და ოდნავ უფრო ვინროა, ანუ შუა რიგის დაბალზე ოდნავ მაღალი ანეულობის ხმოვანია (დაბალი ანეულობის, ვინრო).

ჩინურ ენაში პეკინელების უმრავლესობა ხშირად ი-ს წარმოთქვამს როგორც [ɥ]-ს, მაგ.: 高 gāo, 鸟 niǎo, 桃 táo, თანაც იგი არ არის ფონოლოგიური ღირებულების.

ქართული თანხმოვნები	სიტყვა-ნიმუში	ჩინური თანხმოვნები	სიტყვა-ნიმუში
პ [p] ფ [pʰ] ბ [b]	პური ფული ბალი	b [p] p [pʰ]	不 bù 胖 pàng
ტ [t] თ [tʰ]	ტონი თოკი	d [t] t [tʰ]	都 dōu 头 tóu
წ [ts] ც [tsʰ] ძ [dz]	წამალი ცომი ძალღი	z [ts] c [tsʰ]	早 zǎo 草 cǎo
* პალატალიზებული ⁵			
*(d) *(ც) *(ს)	ძილი ცივი სიმი	*j [tɕ] *q [tɕʰ] *x [ɕ]	鸡 jī 七 qī 系 xī
ჭ [tʃʰ] ჩ [tʃ] ჯ [dʒ]	ჭა ჩირი ჯარი	zh [tʃ] ch [tʃʰ]	炸 zhá 吃 chī
კ [k] ქ [kʰ] გ [g]	კონა ქონი გემი	g [k] k [kʰ]	国 guó 扩 kuò
ვ [f] ვ [v]	ვეენი ვაშლი	f [f]	付 fù
ს [s] ზ [z]	სამი ზარი	s [s]	三 sān
შ [ʃ] ჟ [ʒ]	შავი ჟოლო	sh [ʃ] r [ʒ]	沙 shā 弱 ruò
ყ [q] ხ [x] ღ [ɣ]	ყანა ხარი ღომი	h [x]	好 hǎo
ჰ [h]	ჰავა		
მ [m]	მინა	m [m]	米 mǐ
ნ [n]	ნავი	n [n]	拿 ná
ლ [l]	ლომი	l [l]	落 luò
რ [r]	რუ		
		ng [ŋ]	狼 láng

სურ. 92 ქართული და ჩინური თანხმოვანი ბგერების ტრანსკრიფციული
სიმბოლოების ცხრილი

5 ჩინურ ენაში 3 პალატალური (რბილი) თანხმოვანია j [tɕ], q [tɕʰ], x [ɕ], ძალიან ჰგავს ქართულ თანხმოვნებს ძ, ც, ს, რომლებიც ხმოვან ი-სთან ერთად ასევე რბილად წარმოითქმის და ემსგავსება ჩინურ პალატალურ თანხმოვნებს. აქ ვარსკვლავით * პალატალიზება აღვნიშნეთ.

3.1.2 ქართული ენის ანბანი და ჩინური ენის ფონეტიკური ანბანი

ქართული ანბანი	ჟღერადობა	ჩინური ანბანი	ჟღერადობა
ა	[an]	A a	[A]
ბ	[ban]	B b	[p]
გ	[gan]	C c	[tsʰ]
დ	[dʰn]	D d	[t]
ე	[ɛn]	E e	[ɥ]
ვ	[vin]	F f	[f]
ზ	[zen]	G g	[k]
თ	[than]	H h	[x]
ი	[in]	I i	[i]
კ	[kʰan]	J j	[tɕ]
ლ	[las]	K k	[kʰ]
მ	[man]	L l	[l]
ნ	[nar]	M m	[m]
ო	[ɔn]	N n	[n]
პ	[pʰar]	O o	[o]
ჟ	[ʒan]	P p	[pʰ]
რ	[raɛ]	Q q	[tɕʰ]
ს	[san]	R r	[ʒ]
ტ	[tʰar]	S s	[s]
უ	[un]	T t	[tʰ]
ფ	[phar]	U u	[u]
ქ	[khan]	V v	*
ღ	[ɣʰan]	W w	[w]
ყ	[qʰar]	X x	[ɕ]
შ	[ʃin]	Y y	[j]
ჩ	[tʃin]	Z z	[ts]
ც	[tsan]		
ძ	[dzil]		
წ	[tsʰil]		
ჭ	[tʃʰar]		
ხ	[xan]		
ჯ	[dʒan]		
ჰ	[haɛ]		

სურ. 93 ქართული ენის ანბანისა და ჩინური ფონეტიკური ანბანის
შედარების ცხრილი

ქართულ ენაში ყველა ასოს თავისი სახელი აქვს (იხილეთ სურ. 93). „ანბანი“ წარმოებულია ორი ასოს სახელის შეერთებით: ან+ბანი. გადატანით ეს სახელები ბგერებზედაც ითქმის: როცა ვამბობთ, მაგალითად, ბ (ბანი) მჟღერი ბგერააო, ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ საუბარია იმ ბგერაზე, რომელიც გადმოიცემა ბ ნიშნით.

რაც შეეხება ჩინურ ფონეტიკურ ანბანს, როგორც ამავე წიგნის მეორე თავში უკვე აღვნიშნეთ, ეს არის ლათინური ანბანი, რომლის მიხედვითაც 50-იან წლებში ჩინეთის ხელისუფლებამ შეიმუშავა და დაამტკიცა შედარებით სრულყოფილი ტრანსკრიბირების წესი – ფინინი. ეს იყო ჩინური ენის ფონეტიკური ტრანსკრიფციის პროექტი (《汉语拼音方案》).

3.1.3 ქართული და ჩინური ენების საარტიკულაციო ბაზისები და ფონეტიკური წყობა

ჩინურ ენაში მარცვლის სტრუქტურა განსხვავდება ქართული ენის მარცვლის სტრუქტურისგან. ყველა ბგერას თავისი ადგილი აქვს განკუთვნილი. გთხოვთ, იხილოთ ჩინური მარცვლის სტრუქტურა დანართში 2.

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, ჩინურ ენაში სულ 39 ფინალია (ოფიციალურად დადგენილ 35-ს ემატება განსაკუთრებული ფინალები: ê, er, -i /ɿ/, -i /ʌ/). ფინალი იყოფა: მარტივ ფინალებად (შედგება ერთი ხმოვნისგან, რა დროსაც პირის ფორმა და ენის პოზიცია, ზოგადად, ფიქსირებულია), რომლებიც უცვლელი რჩება გამოთქმის დროს; რთულ ფინალებად, რომლებიც შედგება ორი ან სამი ხმოვნისგან. წარმოების რაგვარობიდან გამომდინარე, რთული ფინალების თითოეული ხმოვანი ზედიზედ წაკითხვისას გლუვად და არა წყვეტილად გადადის წინა ხმოვნებიდან მომდევნო ხმოვანზე. არ არსებობს მკაფიო საზღვრები ხმოვნებს შორის, ჰაერის ნაკადი არ წყდება. რთული ფინალის შემადგენელი სხვადასხვა ხმოვანი განსხვავდება ლიაობითა და ხმაურობით. იქნება ეს დიფთონგი თუ ტრიფთონგი, მხოლოდ ერთი ხმოვანია უფრო მკვეთრი, რომელიც არის მთავარი ხმოვანი (მარცვალმწარმოებელი ხმოვანი ფინალი), იმავე რთული ფინალის ცენტრალური კომპონენტი. არ უნდა უგულებელვყოთ მედიალისა და დაბოლოების წარმოთქმა. რთული ფინალის წარმოთქმისას, შესაბამისად, შეიცვლება პირის ფორმა და ენის პოზიცია. ნაზალური ფინალის (ხმოვნის შემდეგ ნაზალური თანხმოვნების -n ან -ng-ს დამატებით) წარმოთქმისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს განსხვავებას წინა და უკანა ნაზალურ ხმოვნებს შორის.

ჩინურ ფონეტიკურ ანბანში 25 ასოა, აქედან დასახელება ბგერებისა (ზუსტად იმ რაოდენობისა, რამდენიც რეალიზდება მეტყველებაში) საკმაოდ რთულია,

განსაკუთრებით კი – ხმოვანი ბგერებისა, რადგან ხმოვნების კლასიფიკაცია განსხვავებულია ლინგვისტურ ლიტერატურაში. ჩინურისგან განსხვავებით, ქართულ ენაში 33 ასო და 33 ბგერაა (28 თანხმოვანი და 5 ხმოვანი). თითოეული ასო შეესაბამება თითოეულ ბგერას და თითოეული ბგერა წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ნიშნით.

ფონეტიკა და ფონოლოგია. სამეტყველო ბგერების საარტიკულაციო, აკუსტიკურ და პერცეფციულ თავისებურებებს შეისწავლის ფონეტიკა.

ფონოლოგიაც იკვლევს ბგერებს, თუმცა სრულიად სხვა თვალსაზრისით. ეს განსხვავება იმით გამოიხატება, რომ ფონეტიკა ბგერის არტიკულაციურ და აკუსტიკურ მახასიათებლებს იკვლევს, ხოლო ფონოლოგია შეისწავლის სამეტყველო ბგერებს ენაში მათი ფუნქციების მიხედვით, შესაბამისად, ენის ბგერით ერთეულს, ანუ ფონემას ფონოლოგიური ღირებულება გააჩნია.

ფონი, ფონემა და ალოფონი. ზოგიერთ ენის შემსწავლელს შეიძლება გაუჩნდეს შემდეგი კითხვები: ჩვენ ვისწავლეთ ბევრი ხმოვანი და თანხმოვანი, რომელთა უმეტესობა გვხვდება ჩინურ ენაში, მაგრამ რატომ არის მხოლოდ ამდენი ასო ჩინურ ფინიში? რატომ შეიძლება ერთი და იმავე ასოთი ამდენი ბგერის აღნიშვნა ჩინურ ფინიში? აქ ორი ტერმინი უნდა გავაცნოთ შემსწავლელს. მეტყველების უმცირეს ფონეტიკურ ერთეულს, რომელიც სემანტიზებულია ბუნებრივ მეტყველებაში, ეწოდება *ფონი*. ფონი არის მარცვლის შემადგენელი ნაწილი და იყოფა ხმოვნებად და თანხმოვნებად.

მეტყველების უმცირეს ერთეულს, რომელსაც შეუძლია განასხვაოს მნიშვნელობა, *ფონემა* ეწოდება. ფონემის ცნება არ არის ფიზიკური ბგერის ცნების ტოლფარდი. ფონემა აზრთა განმასხვავებელი ელემენტია. თითოეული ფონემა მეტყველებაში რეალიზდება ერთი ან რამდენიმე ვარიანტით, რომელთაც *ალოფონები* ეწოდება.

ჩინური ფინიშის ასოები ითვლება ფონემის შესატყვის ასოებად, ამიტომ ფინიშის ასო განსხვავებულად გამოითქმის სხვადასხვა ფინალსა თუ მარცვალში. მაგალითად: სიტყვებში 鴨 yā იხვი, 花 huā ყვავილი, **a** გამოითქმის როგორც [A]; სიტყვებში 孩 hái ბავშვი, 还 huán დაბრუნება, **a** გამოითქმის როგორც [a]; 好 hǎo კარგი, 想 xiǎng მონატრება – **a** გამოითქმის, როგორც [a]; 天 tiān ცა, 圈 quān წრე **a** გამოითქმის როგორც [ɛ]. ჩინური ფინიშის კითხვისას, ყურადღება უნდა მივაქციოთ ხმოვანთა ფონემურ ვარიანტებს – ალოფონებს.

ჩინურ ენაში 6 ხმოვანი ფონემაა. მათი მთავარი ალოფონებია:

ფინინის ასო/ ფონემა	ალოფონები/ ჟღერადობა	პირობები	ფინინი და მაგალითები
/a/	[a]	ai uai an uan	安 爱 歪
	[A]	a ia ua	阿 牙 娃
	[a]	ao iao ang iang uang	傲 要 昂 央 王
	[ε]	ian üan	烟 园
/o/	[o]	o uo	播 我
	[u]	ong iong	红 熊
	[ə]	ou, iou	够 有
/e/ ⁶	[ɤ]	e	鹅 歌
	[ε]	ie üe	姐 缺
	[ə]	ei uei en uen eng ueng	给 位 恩 等
/i/ ⁷	[i]	ყველა სიტუაციაში, გარდა მომდევნო ორისა	里 音 京
	[ɿ]	zi ci si	资 词 思
	[ʅ]	zhi chi shi ri	只 吃 师 日
/u/ ⁸	[u]	u	哭
/ü/	[y]	ü ün üe üan	句 军 觉 全

სურ. 94 ფუთუნგხუას ხმოვანი ფონემებისა და მთავარი ალოფონების⁹ ცხრილი

6 ზოგიერთ ლიტერატურაში ასევე გადმოცემულია იშვიათი ხმოვანი é [ɛ] 欸, რომელიც რთულ ფინალებში ასევე გვხვდება როგორც e [ɛ].


7 იშვიათად, მაგრამ ასევე ფიგურირებს ხმოვანი i [ɿ], რომელიც ფინალების ბოლოშია: მაგალითად, 爱 ai, 累 lei, 为 wei.

8 ჩინურ ენაში ასევე გვხვდება ბგერა [x], მაგ.: 高 gao 鸟 niǎo, 桃 tao, რაზეც უკვე გვქონდა საუბარი ამავე თავის დასაწყისში. ჩინურ ენაში ხშირად პეკინელების უმრავლესობა ი-ს წარმოთქვამს როგორც [x]-ს, მაგ.: 高 gāo 鸟 niǎo, 桃 táo, თუმცა იგი არ არის ფონოლოგიური ღირებულების.

9 იმისათვის, რომ გამოვყოთ მთავარი ალოფონები, არ შეგვიყვანია ცხრილში ნახევარხმოვანი ალოფონები, რომლებიც იწყება ნულოვანი ინიციალების მარცვლები, არც ერიზაციის ხმოვანი ალოფონები, რადგან საკმაოდ ბევრია და ასევე სხვა იშვიათი ალოფონები.

ჩინური ენისგან განსხვავებით, ქართული ენა ერთ-ერთი იმ ენათაგანია, რომელშიც ასოები და ფონემები (ბგერები) ემთხვევა ერთმანეთს ანუ ქართული ენა ფონეტიკური ენაა (ჟღენტი, 1956). ქართული ორთოგრაფია სრულყოფილია, კითხვის წესები გაადვილებულია იმის გამო, რომ როგორც იწერება, თითქმის ისე წარმოითქმის ან პირიქით, როგორც წარმოითქმის, ისე იწერება.

3.1.4 ქართული და ჩინური ენების ხმოვანთა კლასიფიკაცია



სურ. 95 a. ქართულ და b. ჩინურ დორსალურ ხმოვანთა დიაგრამა

ქართული ენის შემთხვევაში ხმოვანთა რიგი და აწეულობის საფეხურები სქემატურად წარმოდგენილია „ხმოვანთა სამკუთხედის“ სახით, რომლის მწვერვალზეა ა – შუა რიგის ხმოვანი, მარცხენა გვერდზე წინა რიგის ხმოვნები ე და ი, მარჯვენაზე – უკანა რიგის ო და უ. აქ ასევე ჩანს ხმოვანთა აწეულობის საფეხურებიც: მაღალი – ი და უ, საშუალო – ე და ო, დაბალი – ა (იხილეთ სურ. 95 a).

ზოგადად, ყველაზე გავრცელებული ხმოვნებია ა, ი, ე, უ, i. ენების უმრავლესობაში ეს ხმოვნები დასტურდება. არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც ქმნის სხვადასხვა ჟღერადობას. ხმოვანთა სხვადასხვაობა იმაზე დამოკიდებული, თუ რამდენად გაღებულია პირი, როგორი მდებარეობა აქვს ამავე დროს ენას და როგორი პოზიცია აქვს ბაგეებს, ანუ ხმოვნები შეიძლება დავაჯგუფოთ იმის მიხედვით, თუ ხმოვნის წარმოთქმისას: 1) რა მდგომარეობა აქვს ენას; 2) რა

მდგომარეობაშია რბილი სასა; 3) როგორ მონაწილეობს ბაგეები.

ენა შეიძლება მოძრაობდეს პორიზონტალურად (გადაინაცვლოს წინ და უკან) და ვერტიკალურად (აინიოს მაგარი სასისკენ ან დაეშვას).

1) ენის ვერტიკალური მდგომარეობა – ხმოვნის აწეულობის სამი საფეხური და პირის ღიაობის დონე. იმის მიხედვით, თუ რამდენად არის აწეული ენის ესა თუ ის ნაწილი სასის მიმართულებით, განსხვავებულია აწეულობის სამი საფეხური: მაღალი, საშუალო და დაბალი.

[i] და [a] ყველასთვის კარგად ნაცნობი ბგერაა. სქემაზე აღმოვაჩინოთ, რომ ამ ორი ბგერის წარმოთქმისას ენის სიმაღლე განსხვავებულია: [i] არის ყველაზე მაღალი და [a] არის ყველაზე დაბალი. ვიცით, რომ ეს განსხვავება ცვლის ტემბრს. ყურადღებით დავაკვირდეთ, რომ ნორმალურ პირობებში, რაც უფრო მაღალია ენის პოზიცია გამოთქმისას, მით უფრო მცირეა პირის ღიაობა; რაც უფრო დაბალია ენის პოზიცია, მით უფრო ფართოდ იღება პირი. ამიტომ, სტანდარტულია „ენის ზურგის სიმაღლე“, როგორიცაა სტანდარტულად მაღალი აწეულობის, საშუალო აწეულობის და დაბალი აწეულობის. ზოგჯერ ამ სტანდარტისთვის იყენებენ შემდეგ ტერმინს – “პირის ღიაობის დონე”. ჩინურ ენაში კიდევ უფრო ჩაშლილად არის მოცემული დახასიათება (როგორიცაა, მაგალითად: მაღალი, ნახევრად მაღალი, ნახევრად დაბალი, დაბალი), ზოგჯერ ეს ტერმინი იცვლება „ღიაობის დონით“ (როგორიცაა: დახურული, ნახევრად დახურული, ნახევრად ღია, ღია).

2) ენის პორიზონტალური მდგომარეობა – ხმოვანთა სამი რიგი. ზოგადად არსებობს სამი სახის: წინა რიგის, შუა და უკანა რიგის. იმის მიხედვით, თუ ხმოვანთა წარმოთქმის დროს ენის ზურგის რომელი ნაწილი აინევა სასის მიმართულებით, გარჩეულია სამი რიგის ხმოვანი. ენის წინ და უკან გადაადგილებისას ხმოვნის სხვადასხვა ტემბრი წარმოიქმნება. წინა რიგის ხმოვანი იწარმოება, როდესაც წინ წაწეული ენა წვერით ქვედა კბილებს ებჯინება, ხოლო პირის უკანა ღრუში იქმნება თავისუფალი არე. უკანა რიგის ხმოვანი მაშინ გვაქვს, თუ უკან დაწეული ენა უახლოვდება რბილ სასას, ენის წვერი კი დაშვებულია და რამდენადმე დაშორებული ქვედა კბილებს. საშუალო მდგომარეობა უკავია ენას შუა რიგის ხმოვნების წარმოთქმის დროს.

3) ბაგეების მდგომარეობა (სიმრგვალის მიხედვით). ბაგეების მდგომარეობაზე ასევე არის დამოკიდებული ხმოვნის ტემბრი.

აქ ცხრილის სახით გავეცნობით ქართული და ჩინური ენების ხმოვანთა სამივე კლასიფიკაციას:

1) ქართული და ჩინური ენების ხმოვანთა კლასიფიკაცია ენის პორიზონტალური მდგომარეობის მიხედვით

	ქართული	ჩინური
წინა რიგი	ი [i], ე [e]	i [i], ü [y], e [e], a [ɛ], a [a]
შუა რიგი	ა [a]	a [A], e [ə], o [ə]
უკანა რიგი	უ [u], ო [ɔ]	e [ɤ], o [o], u [u], a [ɑ], o [u]

სურ. 96 ძირითად ხმოვანთა ზოგადი კლასიფიკაციის ცხრილი
ენის ფონოლოგიური მდგომარეობის მიხედვით

ენის მდგომარეობის მიხედვით განასხვავებენ: წინა რიგის ხმოვნებს, უკანა რიგის ხმოვნებს, შუა რიგის ხმოვნებს.

ენა შეიძლება მოძრაობდეს ფონოლოგიურად (გადაინაცვლოს წინ ან უკან). აქედან გამომდინარე, ენის მდგომარეობის შესაბამისად, ჩვენ გვექნება წინა რიგის, უკანა რიგისა და შუა რიგის ხმოვანი. წინა რიგის ხმოვანი იწარმოება, როდესაც წინ წაწეული ენა წვერით ქვედა კბილებს ებჯინება, ხოლო პირის უკანა ღრუში იქმნება თავისუფალი არე. ქართულ ენაში წინა რიგის ხმოვნებია **ი, ე**, ჩინურში კი – i [i], ü [y], -i /ɿ/, ê [ɛ], a [ɛ], a [a]. უკანა რიგის ხმოვანი მაშინ გვაქვს, თუ უკან დაწეული ენა უახლოვდება რბილ სასას, ენის წვერი კი დაშვებულია და რამდენადმე დაშორებული ქვედა კბილებს. ქართულ ენაში უკანა რიგის ხმოვნებია **ო, უ**, ჩინურ ენაში – e [ɤ], -i [ɿ], o [o], u [u], a [ɑ], o [u]. საშუალო მდგომარეობა უკავია ენას შუა რიგის ხმოვნების წარმოთქმის დროს; ქართულ ენაში შუა რიგის ხმოვანია **ა**, ხოლო ჩინურ ენაში – a [A], e [ə], o [ə].

თუ დავაკვირდებით, ძირითადად გვაქვს ენის ზურგის ხმოვნები. სინამდვილეში, ისე როგორც სხვა ენებსა და ჩინურ სალიტერატურო ენაში, ასევე დიალექტებში, კიდევ გვაქვს განსაკუთრებული – აპიკალური ხმოვნები. აქ უნდა შევეხოთ ასეთ წინა აპიკალურ და უკანა აპიკალურ ხმოვნებს ჩინურ სალიტერატურო ენაში: -i /ɿ/ და -i [ɿ]:

	მაღალი, არაბაგისმიერი
წინა აპიკალური	-i [ɿ]
უკანა აპიკალური	-i [ɿ]

სურ. 97 ჩინურ აპიკალურ ხმოვანთა კლასიფიკაციის ცხრილი

მათი წარმოთქმის დროს, ძირითადად, ენის წვერი ასრულებს მნიშვნელოვან როლს: ენის წვერი როდესაც მიემართება ზედა ნუნას, წარმოიქმნება -i /ɿ/, ხოლო, როდესაც მაგარი სასისკენ არის მიმართული ენის წვერი, გვაქვს -i [ɿ]. მიუხედავად იმისა, რომ i [i]-სთან ერთად ყველა იწერება, როგორც i, წარმოების ადგილი არის განსხვავებული, i [i] არის შუა ენისმიერი, წინა რიგის, მაღალი, პირი ნახევრად ღიაა, ენის წვერი დაშვებულია და ძვეს ქვედა ნუნებთან, ხოლო ენის ზურგის წინა ნაწილი აიწევა და უახლოვდება მაგარ სასას. -i /ɿ/ წინა აპიკალური, წინა რიგის, მაღალი, ენის წვერი წინ განეულია და უახლოვდება ზედა კბილებს, თუმცა მათ შორის შენარჩუნებულია მცირე მანძილი, აღნიშნული ბგერა ჩნდება მხოლოდ მაშინ, როცა მის წინ შემდეგი თანხმოვანი ბგერებია: z, c, s. -i /ʌ/ – უკანა აპიკალური, უკანა რიგის, მაღალი, ენის წვერი იწევს წინ მაგარი სასის წინა ნაწილისკენ, თუმცა მათ შორის შენარჩუნებულია მცირე მანძილი. აღნიშნული ბგერა ჩნდება მხოლოდ მაშინ, როცა მის წინ შემდეგი თანხმოვანი ბგერებია: zh, ch, sh, r.

2) ქართული და ჩინური ენების ხმოვან ბგერათა კლასიფიკაცია ენის ვერტიკალური მდგომარეობის მიხედვით

	ქართული	ჩინური
მაღალი აწეულობა	ი [i], უ [u]	i [i], u [u], o [u], ü [y], -i [ɿ], -i [ʌ]
საშუალო აწეულობა	ე [e], ო [a]	o [o], e [ɤ], e [ɛ], e [ə], o [ə], a [ɛ]
დაბალი აწეულობა	ა [a]	a [A], a [a], a [a]

სურ. 98 ხმოვანთა კლასიფიკაციის ცხრილი ენის
ვერტიკალური მდგომარეობის მიხედვით

ენა ასევე შეიძლება მოძრაობდეს ვერტიკალურად (აინიოს მაგარი სასისაკენ ან დაეშვას). ზოგადად, ენის აწეულობის მიხედვით, განასხვავებენ მაღალი აწეულობის (დახურულ) ხმოვნებს, საშუალო აწეულობის (ნახევრად ღია) ხმოვნებს და დაბალი აწეულობის (ღია) ხმოვნებს.

იმის მიხედვით, თუ რამდენად აწეულია ენა მაგარი სასისაკენ, ხმოვანი იქნება: მაღალი აწეულობის – ქართულ ენაში: ი [i], უ [u], ჩინურ ენაში კი – i [i], u [u], o [u], ü [y] -i /ɿ/, -i /ʌ/; დაბალი აწეულობის – ქართულ ენაში ა [a], ხოლო ჩინურ ენაში – a [A], a [a], a [a] და საშუალო აწეულობის – ქართულში ე [e] ო [ə], ხოლო ჩინურში – o [o], e [ɤ], e [ɛ], e [ə], o [ə], a [ɛ].

აღსანიშნავია, რომ ჩინურ ენაში ბგერა e [ə] – ფინალში ei, მაგალითად: 美 mei 岁 su(e)I, ზოგჯერ ასევე აღინიშნება, როგორც e [e], რომელიც უკვე არ ითვლება

საშუალო ანეულობის ბგერად, არამედ საშუალოზე მაღალ, უფრო კონკრეტულად – ნახევრად მაღალი ანეულობის ბგერად.

ასევე $e[ɛ]$, მაგალითად, მარცვლებში: mie, yue და $a[ɛ]$ – მარცვლებში mian, yuan, საშუალოზე დაბალია, ანუ – ნახევრად დაბალი. a -ს ჩამოთვლილ მარცვლებში, $[ɛ]$ -ს გარდა, ასევე აღნიშნავენ, როგორც $[æ]$, რაც ნიშნავს, რომ უფრო დაბალს უახლოვდება, ანუ საშუალოზე დაბალი ანეულობის ბგერაა. თუმცა აქაც არსებითი ფონოლოგიური შეცდომა არ იქნება. მთავარია, ასეთ მარცვლებში ეს ბგერები არ იკითხებოდეს, როგორც დაბალი ანეულობის ბგერა $[a]$, რაც გამოიწვევს ფონოლოგიურ შეცდომას და შედეგად გამოგვივა -ng დაბოლოების ფინალები, მაგალითად, როგორცაა მარცვალში 强 qiang $[-iaŋ]$ უკანა ნაზალური ბგერის წინ. ამ დროს უნდა იყოს 钱 qian $[-ɛn]$ (ზოგჯერ – $[æn]$) წინა ნაზალური ბგერის წინ.

$e[x]$ რეალურად არის საშუალოზე მაღალი, ანუ ნახევრად მაღალი. მსგავსი ბგერა ქართულ ენაში არ გვაქვს და ენის შემსწავლელებს თავიდან უჭირთ მისი წარმოთქმა. შეგვიძლია მათ განვეუმარტოთ, რომ ბგერები $o[o]$ და $e[x]$ უკანა რიგის და საშუალო ანეულობის ბგერებია, ხოლო მათ შორის განსხვავება არის მხოლოდ ის, რომ პირველი არის არაბაგისმიერი, ხოლო მეორე – ბაგისმიერი.

3) ქართული და ჩინური ენების ხმოვან ბგერათა კლასიფიკაცია ბაგეების მდგომარეობის მიხედვით

	ქართული	ჩინური
ბაგისმიერი (ლაბიალიზებული)	უ $[u]$, ო $[ɔ]$	ო $[o]$, u $[u]$, ო $[ɔ]$, ო $[y]$, ო $[u]$, e $[ɔ]$
არაბაგისმიერი (არალაბიალიზებული)	ი $[i]$, ა $[a]$, ე $[ɛ]$	e $[ɤ]$, a $[ɛ]$, a $[a]$, a $[A]$, a $[a]$, e $[ɛ]$, i $[i]$, i $[ɪ]$ i $[ɬ]$

სურ. 99 ხმოვანთა კლასიფიკაციის ცხრილი ენის ბაგეების მდგომარეობის მიხედვით

ბაგეების მონაწილეობის და პოზიციის მიხედვით, განასხვავებენ ბაგისმიერ (ანუ ლაბიალიზებულ) ხმოვნებს, რა დროსაც ტუჩები მომრგვალებულია, როგორცაა ქართული უ $[u]$, ო $[ɔ]$ და ჩინური $o[o]$, u $[u]$, $o[ɔ]$, $o[y]$, $o[u]$ ხმოვნების წარმოთქმისას. არაბაგისმიერებს (ანუ არალაბიალიზებულებს) უწოდებენ ქართულ ენაში $i[i]$, $a[a]$, $e[ɛ]$, ჩინურ ენაში – $a[A]$, $e[x]$, $i[i]$, $e[ɛ]$, $-i/ɪ/$, $-i/ɬ/$ ხმოვნებს, რომელთა წარმოთქმისას ტუჩები არაა მომრგვალებული.

ჩინურ ენაში ü [y] ბგერა i [i]-სგან განსხვავდება მხოლოდ ბაგეების მდგომარეობით, ü [y] არის ბაგისმიერი, ხოლო i [i] – არაბაგისმიერი. ქართულ ენაში ასეთი ბგერა არ გვაქვს, რაც უქმნის გარკვეულ პრობლემას ქართველ შემსწავლელს. თუმცა ამ დეტალის ახსნის შემდეგ, შემსწავლელი, გარკვეულწილად, ითვალისწინებს გარემოებას და წარმოთქმაზე ვარჯიშის შედეგად აღწევს წარმატებას.

იმისათვის, რომ ხმოვანთა კლასიფიკაციის საერთო სახე დავინახოთ, საჭიროდ ჩავთვაlet შემაჯამებელი ცხრილი შეგვედგინა:

			ქართული ენა		ჩინური ენა		
ბგერები ენის ჰორიზონტალური მდგომარეობის მიხედვით	ენის ვერტიკალური მდგომარეობის მიხედვით	ბაგეების მდგომარეობის მიხედვით			აპიკალური ხმოვნები		
მაღალი ანეულობის	წინა რიგის	ბაგ.		ü [y]	წინა	ბაგ.	
		არაბაგ.	ე [ɛ]	i [i]		არაბაგ.	-i [ɿ]
	შუა რიგის	ბაგ.				ბაგ.	
		არაბაგ.					
	უკანა რიგის	ბაგ.	უ [u]	u [u] o [ʊ]	უკანა	არაბაგ.	-i [ɯ]
		არაბაგ.					

საშუალო ანეულოზის	წინა რიგის	ბაგ.			
		არაბაგ.	ი [i]	ე [ɛ] ა [ɛ]	
	შუა რიგის	ბაგ.		ე [ɐ] ო [ɐ]	
		არაბაგ.			
	უკანა რიგის	ბაგ.	ო [ɔ]	ო [o]	
		არაბაგ.		ე [ɣ]	
დაბალი ანეულოზის	წინა რიგის	ბაგ.			
		არაბაგ.		ა [a]	
	შუა რიგის	ბაგ.			
		არაბაგ.	ა [a]	ა [A]	
	უკანა რიგის	ბაგ.			
		არაბაგ.		ა [a]	

სურ. 100 ქართულ და ჩინურ ხმოვანთა შემაჯამებელი კლასიფიკაციის ცხრილი

3.1.5 ქართული და ჩინური ენების თანხმოვანთა კლასიფიკაცია

ჩინურ ენაში 22 თანხმოვანია:

b [p], p [pʰ], m [m], f [f], d [tʰ], n [n], l [l], z [ts], c [tsʰ], s [s], zh [tʂ], ch [tʂʰ], sh [ʂ], r [ʐ],
j [tɕ], q [tɕʰ], x [ɕ], g [k], k [kʰ], h [x], ng [ŋ].

ნახევარხმოვანი: w [w], y [j].

ქართულ ენაში 28 თანხმოვანია:

ბ [b], პ [p], ფ [pʰ], მ [m], ვ [v], დ [d], ტ [t], თ [tʰ], ნ [n], ლ [l], რ [r], წ [ts], ც [tsʰ],
ძ [dz], ს [s], ზ [z], ქ [tʃ], ჩ [tʃʰ], ჯ [dʒ], შ [ʃ], ჳ [ʒ], გ [g], კ [k], ქ [kʰ], ხ [x], ლ [ɬ],
ყ [q], ჰ [h].

ჩინურ ენაში ხმოვანთა რაოდენობა მეტია. ქართული ენის ბგერითი სისტემა მდიდარია თანხმოვნებით, ხმოვნებით კი შედარებით ღარიბია. ქართულ და ჩინურ ენებში მრავალი ერთნაირი ან მსგავსი თანხმოვანია, რაც ქართველი სტუდენტისთვის ჩინური ენის წარმოთქმის სწავლასაც აადვილებს და შედარებით სწორად წარმოთქმის საშუალებასაც აძლევს.

1) ქართული და ჩინური ენების თანხმოვანთა კლასიფიკაცია წარმოების ადგილის მიხედვით

			ქართული	ჩინური
ლაბიალური	ბილაბიალური		პ [p], ფ [pʰ], ბ [b], მ [m]	b [p], p [pʰ], m [m]
	ლაბიოდენტალური		ვ [v]	f [f]
აპიკალური	შუა აპიკალური	დენტალური	ტ [t], თ [tʰ], დ [d], ნ [n], ლ [l]	d [t], t [tʰ], n [n], l [l]
	წინა აპიკალური	(პრე)ალვეოლარული	წ [ts], ც [tsʰ], ს [s], ძ [dz], ზ [z], რ [r]	z [ts], c [tsʰ], s [s]
	უკანა აპიკალური	პოსტალვეოლარული	ჩ [tʃ], ქ [tʃʰ], ჯ [dʒ], შ [ʃ], ჳ [ʒ]	zh [tʂ], ch [tʂʰ], sh [ʂ], r [ʐ]

წინაენისმიერი	ალვეო-პალატალური		j [tɕ], q [tɕʰ], x[ɕ]
უკანაენისმიერი	ველარული	კ [k], ქ [kʰ], გ [g], ხ [x], ლ [ɣ]	*g [k], k [kʰ], ng [ŋ], h [x]
ფარინგალური		ყ [q]	
ლარინგალური		ჰ [h]	

* ჩინეთში მათ ენისძირისმიერსაც უწოდებენ.

სურ. 101 თანხმოვანთა კლასიფიკაციის ცხრილი წარმოების ადგილის მიხედვით

ბგერების ფიზიოლოგიურ მახასიათებლებს სწავლობს არტიკულაციური ფონეტიკა. ბგერების ამგვარი შესწავლა, პირველ რიგში, ეყრდნობა სამეტყველო მექანიზმის გათვალისწინებით ბგერების დახასიათებას წარმოთქმის (არტიკულაციის) ადგილის მიხედვით (თუ რომელი ორგანოები იღებენ მონაწილეობას მათ წარმოთქმაში). აქ ვეცდებით დავადგინოთ ქართულ და ჩინურ ენებში რომელი ბგერები იწარმოება ერთსა და იმავე ადგილზე და გავაერთიანოთ ერთ რიგში. წარმოების ადგილის მიხედვით ვიღებთ შემდეგ რიგებს:

- ბილაბიალური – ამგვარი ბგერები წარმოითქმება ორივე ბაგის მიერ: b [p], p [pʰ], m [m], პ [p], ფ [pʰ], ბ [b], მ [m].
- ლაბიოდენტალური – ზედა კბილები ებჯინება ქვედა ბაგეს: f [f], ვ [v].
- შუა აპიკალური, ასევე დენტალური – ენის წვერი ეხება ალვეოლარის ქედს (ღრძილებს კბილების უკან): d [t], t [tʰ], n [n], ლ [l], ტ [t], თ [tʰ], დ [d], ნ [n], ლ [l].
- წინა აპიკალური, ასევე (პრე)ალვეოლარული – ენის წვერის უკანა ნაწილი ეხება ალვეოლარის ქედს: z [ts], c [tsʰ], s [s], წ [ts], ც [tsʰ], ს [s], ძ [dz], ზ [z], რ [r].

- წინაენისმიერი, ასევე ალვეო-პალატალური – ამ დროს ენის ნაწილი უახლოვდება ან ეხება მაგარ სასას: j [tɕ], q [tɕʰ], x [ɕ].
- უკანა აპიკალური, ასევე პოსტალვეოლარული – ენის წვერის უკანა ნაწილი ეხება ალვეოლარის ქედის უკანა ნაწილს: zh [tʂ], ch [tʂʰ], sh [ʂ], r [ʐ], ʃ [tʃ], ʒ [dʒ], ʒ [ʃ], ʒ [ʒ].
- უკანაენისმიერი, ასევე ველარული – ამ დროს ენის უკანა ნაწილი ეხება რბილ სასას: g [k], k [kʰ], h [x], ŋg [ŋ], ʔ [k], ʔ [kʰ], ʔ [g], ʔ [x], ʔ [ʃ].
- ფარინგალური – ɣ [q].
- ლარინგალური – ამ დროს მხოლოდ სახმო სიმები მონაწილეობენ: ʔ [h]

2) ქართული და ჩინური ენების თანხმოვან ბგერათა კლასიფიკაცია

წარმოების რაგვარობის მიხედვით

გარდა იმისა, რომ ალვეოლარული ენის ბგერებს მათი წარმოქმნის (არტიკულაციის) ადგილის მიხედვით, ასევე ვსწავლობთ: მათი დაბრკოლების გადალახვისა და არტიკულაციის რაგვარობის მიხედვით (რითაც ვიგებთ, მაგალითად, ხშულია თუ არა ბგერა); ბგერის წარმოქმნისას ხმის მონაწილეობის მიხედვით (რითაც ვადგენთ, ბგერა ჩქამიერია თუ სონორი); სახმო სიმების მონაწილეობის მიხედვით (რის მიხედვითაც ვიგებთ, ბგერა მჟღერია თუ ყრუ).

		ქართული	ჩინური
ხშულები	მსკდომები	პ [p], ფ [pʰ], ბ [b], ტ [t], თ [tʰ], დ [d], კ [k], ქ [kʰ], გ [g], ყ [q].	ბ [p], პ [pʰ], დ [t], თ [tʰ], გ [k], კ [kʰ]
	აფრიკატები	წ [ts], ც [tsʰ], ძ [dz], ჩ [tʃ], ქ [tʃʰ], ჯ [dʒ],	z [ts], zh [tʂ], ch [tʂʰ], c [tsʰ], j [tɕ], q [tɕʰ]
ფრიკატივები (ნაპრალოვნები)		ვ [v], ს [s], ზ [z], შ [ʃ], ჟ [ʒ], ხ [x], ლ [ʃ], ჰ [h]	f [f], s [s], sh [ʂ], r [ʐ], x [ɕ], h [x]
ვიბრანტები		რ [r]	
ლატერალები		ლ [l]	l [l]
ნაზალები		მ[m], ნ [n]	m [m], n [n], ɳ [ɳ] ¹⁰ .

სურ. 102 თანხმოვანთა კლასიფიკაციის ცხრილი
წარმოების რაგვარობის მიხედვით

10 ɳ[ɳ]* გვხვდება ჩინური მარცვლის მხოლოდ ფინალურში

3) ქართული და ჩინური ენების თანხმოვანთა კლასიფიკაცია სიმების მონაწილეობის მიხედვით

სახმო სიმების მონაწილეობის მიხედვით გვეყენება თანხმოვნები:

მჟღერები – მათი წარმოებისას სახმო სიმები ჟღერს; ყრუები – მათი წარმოქმნის დროს სახმო სიმები არ ჟღერს.

		ქართული	ჩინური
ყრუ	არაფშვინვერი		b [p], d [t], g [k], j [tɕ], zh [tʂ], z [ts]
	ფშვინვერი	ფ [pʰ], თ [tʰ], ც [tsʰ], ჩ [tʃʰ], ქ [kʰ], ჰ [h], ს [s], შ [ʃ], ხ [χ]	p [pʰ], t [tʰ], k [kʰ], q [tɕʰ], ch [tʂʰ], c [tsʰ]
	სპირანტები (ნაპრალოვანი)		f [f], h [x], x [ɕ], sh [ʂ], s [s]
	მკვეთრი	პ [pʰ], ტ [tʰ], კ [k], წ [tsʰ], ჭ [tʃʰ], ყ [qʰ]	
მჟღერი		ბ [b], დ [d], ძ [dz], ჯ [dʒ], გ [g], ზ [z], ჟ [ʒ], ლ [ɬ], მ [m], ნ [n], ლ [l], ვ [v]	m [m], n [n], l [l], r [ʒ], ʁ [ŋ]

სურ. 103 თანხმოვანთა კლასიფიკაციის ცხრილი
სიმების მონაწილეობის მიხედვით

თუ ფილტვებიდან ამომდინარე ჰაერნაკადი ათრთოლებს ერთმანეთთან მიახლოებულ სახმო სიმებს, მიიღება ტონი. სახმო სიმების ვიბრაციის, როგორც ბგერის წარმოქმნის თანმხლები თვისების, ქონა-არქონის მიხედვით განირჩევა მჟღერი და ყრუ ბგერები, როგორც ეს მოყვანილია ცხრილში ქართული და ჩინური ენების შემთხვევაში. ყრუ თანხმოვნების წარმოქმნისას ჰაერნაკადი ამოედინება ერთმანეთს დაცილებულ მოდუნებულ სახმო სიმებს შორის.

4) ქართული და ჩინური ენების თანხმოვანთა შედარების შემაჯამებელი ცხრილი

წარმოების ადგილი	წარმოების რაგვარობა		ჩინური ენა	ქართული ენა
ბილაბიალური	მსკდომი	არაფშვინვიერი	b [p]	პ [p]
		ფშვინვიერი	p [pʰ]	ფ [pʰ]
		მჟღერი		ბ [b]
	ნაზალური		m [m]	მ [m]
ლაბიოდენტალური	ფრიკატი- ვები	ყრუ	f [f]	
		მჟღერი		ვ [v]
შუა აპიკალური, ასევე დენტალური	მსკდომი	არაფშვინვიერი	d [t]	ტ [t]
		ფშვინვიერი	t [tʰ]	თ [tʰ]
		მჟღერი		დ [d]
	ნაზალური		n [n]	ნ [n]
	ლატერალი		l [l]	ლ [l]
წინა აპიკალური, (პრე)ალვეოლარუ- ლი	აფრიკატები	არაფშვინვიერი ყრუ	z [ts]	წ [ts]
		ფშვინვიერი ყრუ	c [tsʰ]	ც [tsʰ]
		მჟღერი		ძ [dz]
	ფრიკატი- ვები	ყრუ	s [s]	ს [s]
		მჟღერი		ზ [z]
	ვიბრანტი			რ [r]
წინაენისმიერი, ასევე ალვეო-პალატალუ- რი	აფრიკატები	არაფშვინვიერი ყრუ	j [tɕ]	
		ფშვინვიერი ყრუ	q [tɕʰ]	
	ფრიკატი- ვები	ყრუ	x [ɕ]	

უკანა აპიკალური ასევე პოსტალვეოლარული	აფრიკატები	არაფშვინვიე- რი ყრუ	zh [tʂ]	ჭ [tʃ]
		ფშვინვიერი	ch [tʂʰ]	ჩ [tʃʰ]
		მჟღერი		ჯ [dʒ]
	ფრიკატი- ვები	ყრუ	sh [ʃ]	შ [ʃ]
		მჟღერი	r [ʒ]	ჟ [ʒ]
უკანაენისმიერი, ასევე ველარული	მსკდომი	არაფშვინვიე- რი ყრუ	g [k]	კ [k]
		ფშვინვიერი ყრუ	k [kʰ]	ქ [kʰ]
		მჟღერი		გ [g]
	ნაზალური		ng [ŋ]	
	ფრიკატი- ვები	ყრუ	h [x]	ხ [x]
		მჟღერი		ღ [ɣ]
ფარინგალური	მსკდომი	არაფშვინვიე- რი ყრუ		ყ [q]
ლარინგალური	ფრიკატი- ვები	ყრუ		ჰ [h]

სურ. 104 ჩინური და ქართული ენების თანხმოვნების შედარების
შემაჯამებელი ცხრილი

აქ აუცილებელია, აღვნიშნოთ, რომ ჩინურ პალატალური (რბილ) თანხმოვნებს j [tɕ], q [tɕʰ], x [ɕ], ძალიან ჰგავს ქართული თანხმოვნები d, ც, ს, რადგან თითოეული მათგანი ხმოვან ი-სთან ერთად ასევე რბილად წარმოითქმის და ჟღერადობით, მართალია, უახლოვდება ჩინურ პალატალურ თანხმოვანს, მაგრამ, რეალურად, ისინი არაპალატალიზებული (მაგარი) თანხმოვნებია და მახასიათებლებითაც უფრო ჰგავს ჩინურ არაპალატალურ თანხმოვნებს c [tsʰ], s [s]. ქართული თანხმოვანი d კი, მიუხედავად იმისა, რომ მჟღერია, მხოლოდ ჩინურ პალატალურ, ყრუდ აღიარებულ j [tɕ] ბგერას ჰგავს ჟღერადობით. თუმცა, ზოგიერთ პოზიციაში, d-ს მჟღერის ხშვის ფაზა დაყრუებული, d კარგავს მჟღერობას და რეალიზდება შესაბამისი ფშვინვიე-რით ყრუ თანხმოვნის რეგრესული ასიმილაციის შედეგად: ქინძს, ბოძს.

ჩინური თანხმოვნები b [p], d [t], g [k] და ქართული თანხმოვნები პ [p], ტ [t], კ [k] წარმოების ადგილითა და რაგვარობით იგივეა, სახმო სიმების მონაწილეობის მიხედვითაც იგივე, მაგრამ ქართული ენის ყრუ პ, ტ, კ ინარმოება არა ამოსუნთქული ჰაერის გამოყენებით, არამედ იმ ჰაერით, რომელიც ხორხსზედა

ღრუებში იმყოფება, ასეთ ბგერებს ასევე უწოდებენ აბრუპტივებს (ახვლედიანი 2010). ასეთი ბგერების წარმოთქმა აკუსტიკურად ხასიათდება თავისებური სიმკვეთრით. იგივე შეიძლება ითქვას თანხმოვნებზე წ და ჭ.

ქართული ენა, რომელიც მიეკუთვნება ქართველურ ენობრივ ოჯახს, ასევე ჩინური ენა, რომელიც განეკუთვნება სინო-ტიბეტურ ენათა ოჯახს, ძალიან განსხვავებულია ფონეტიკის თვალსაზრისით ინდოევროპულ ენათაგან და გარკვეულ დონეზე შესაძლებელია, შეპირისპირებითი მეთოდით წარმოვადგინოთ ქართული და ჩინური ენების ფონეტიკური და ფონოლოგიური მახასიათებლები, თუმცა ამის სიღრმისეულად შესწავლა უკვე შემდგომი კვლევის საგანი შეიძლება იყოს.

3.2 ჩინური ბგერების ქართულ ენაზე ტრანსლიტერაციის საკითხი

ტრანსლიტერაცია – ეს არის ერთი დამწერლობის ერთი სისტემის სიმბოლოებით მეორე დამწერლობის შესაბამისი სიმბოლოების მაქსიმალურად ზუსტი გადმოცემა. ეს უნდა ხდებოდეს რეალური ჟღერადობის მიხედვით, თუმცა გამოწვევის შემთხვევაში გრაფიკული გამოსახულების მიხედვითაც დაშვებულია.

2019 წლის 22 მარტს საქართველოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის საექსპერტო კომისიის სხდომაზე (ოქმი №1), სხვა მოწვეულ სტუმრებთან, მათ შორის ჩენ იუძიუნთან ერთად, განიხილეს ქართულ ენაში ჩინური ენის მარცვლების გადმოცემის სისტემა. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩომ საქართველოში. ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო მოიცავს: ინიციალებს, ფინალებს, მარცვლებს, ჩინური მარცვლების ცხრილს, ასევე ცხრილს, რომელშიც მოყვანილია მაგალითები ყველა მარცვლის გამოყენებით, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ამ ეტაპზე შესაბამისი საკუთარი სახელი, ტოპონიმი და ა.შ. (იხილეთ სურ. 106). ჩინურ ენაში არსებობს ფინალთა სამი ტიპი: საკუთარი სახელის აღმნიშვნელი ფინალები, საზოგადო სახელების აღმნიშვნელი ფინალები და მნიშვნელობის არმქონე ფინალები. ცხრილში მოცემულია ფინალების სამივე სახეობა იმის გათვალისწინებით, რომ ესა თუ ის მეტყველების ნაწილი გარკვეულ კონტექსტში შეიძლება საკუთარ სახელად იქცეს. ასეთ შემთხვევაში იქმნება მისი ტრანსლიტერაციის საჭიროება. არსებობს მარცვლები, რომლებიც საკუთარ სახელებში არ გამოიყენება, მაგრამ საჭიროდ ჩავთვალოთ ცხრილში მათი შეტანა ამ მარცვლების ჩინურ ენაში არსებობის საჩვენებლად, ასევე ფინალები, რომლებიც არ შეიცავენ მარცვლებს. აქვე მოვიყვანოთ რამდენიმე მონაკვეთს ტრანსლიტერაციის წესიდან:¹¹

11 უფრო ვრცლად იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://enadep.gov.ge/uploads/Bulletin_II_2019-2020.pdf (გვ. 19-37)

ჩინური იეროგლიფი/ჩინური ფინილის ანბანი მარცვლი	ჩინური ფონეტიკური ანბანი CPA	საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი IPA	ქართული შესატყვისი	მაგალითები	შენიშვნები
渡 du ტუ 段 duan ტუან 堆 dui ტუეი 墩 dun ტუნ 多 duo ტუო 窦 dou ტოუ	d	[t]	ტ	风陵渡 Fenglingdu ფენგლინგტუ (გეოგრ.) 段 Duan ტუანი (პირ.) 三星堆 Sanxingdui სანსინგტუი (გეოგრ.) 土门墩 Tumendun თუმენტუნი (გეოგრ.) 多伦 Duolun ტუოლუნი (გეოგრ.) 窦 Dou ტოუ (პირ.)	
塔 ta თა 台 tai თაი 坛 tan თან 唐 tang თანგ 陶 tao თაო 特 te თე 腾 teng თენგ 梯 ti თი 天 tian თიენ 跳 tiao თიაო 铁 tie თიე 亭 ting თინგ 通 tong თუნგ 头 tou თოუ 土 tu თუ 幢 tuan თუან 腿 tui (uei) თუეი 屯 tun თუნ 阡 tuo თუო	t	[t']	თ	雷峰塔 Leifengta ლეიფენგტა (გეოგრ.) 台湾 Taiwan თაივანი (გეოგრ.) 天坛 Tiantan თიენტანი (გეოგრ.) 唐朝 Tangchao თანგჩაო (დინასტიის სახ.) 陶渊明 Tao Yuanming თაო იუენმინგი (პირ.) 特 Te თე (პირ.) 腾冲 Tengchong თენგჩუნგი (გეოგრ.) 天梯 Tianti თიენტი (გეოგრ.) 天山 Tianshan თიენშანი (გეოგრ.) 虎跳峡 Hutiaoxia ხუთიაოხია (გეოგრ.) 铁岭 Tieling თიელინგი (გეოგრ.) 陶然亭 Taoranting თაოჟანთინგი (გეოგრ.) 通海 Tonghai თუნგხაი (გეოგრ.) 包头 Baotou პაოთოუ (გეოგრ.) 土家族 Tujiazu თუჯიანჰუ (ეროვნება) 童瞳 Tongtuan თუნგთუანი (გეოგრ.) 屯昌 Tunchang თუნჩანგი (გეოგრ.) 普陀 Putuoshan ფუტუოშანი (გეოგრ.)	ტრადიციულად გამოყენებული ტაივანი და ტიანშანი თანდათანობით უნდა ჩანაცვლდეს თაივანი და თიენშანი ფორმებით

სურ. 105 ბგერების შესაბამისობისა და ყველა მარცვალზე
მაგალითების ცხრილი

როგორც სახელმწიფო ენის დეპარტამენტი აღნიშნავს, სხვადასხვა ენის ბგერითი სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესების პრაქტიკული დანიშნულებაა ევროკავშირთან, აშშ-სთან და სხვა ქვეყნებთან კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო კავშირების წამოწყებისა და გაძლიერებისათვის გამიზნული სხვადასხვა სახის ხელშეკრულების სრულფასოვნად მომზადება. ამგვარი ურთიერთობები იმდენად სწრაფად ვითარდება და ღრმავდება, რომ ტრანსლიტერაციის პრობლემების მოგვარება გადაუდებელი საქმე გახდა. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის ნაწილი და ლისაბონის შეთანხმების (1958 წ.) ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის ნაწილები. ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ენების ბგერითი სისტემების ხელშეკრულებებსა და მათ დანართებში სრულფასოვნად ასახვის გარეშე ეს შეიძლება იქცეს ხელშეკრულებისა თუ მათი დანართების მრავალგვარი ნაკითხვის მიზეზად, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება არასასურველ გაუგებრობებს დაუდოს სათავე (ბიულეტენი 2 2019-2020).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულ ენაში 33 სამეტყველო ბგერაა. ყველა ეს ბგერა ძველ ქართულშიც იყო და, როგორც ვარაუდობენ, დაახლოებით ისევე წარმოითქმოდა, როგორც დღეს. მაგრამ ქართულში სამეტყველო ბგერათა რაოდენობა მეტი იყო, ზოგიერთი მათგანი უცხოური ენის საკუთარი სახელების ქართულ ენაზე ტრანსლიტერაციისთვის გამოგვადგებოდა დღესაც, ასეთია, მაგალითად: ჭ [f], რაც ძალიან გვჭირდება ჩინური ენის მარცვალთა სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციისთვის, რადგან იგი ფონოლოგიურ ღირებულებას ატარებს და იძულებულნი ვართ გამოვიყენოთ ისევე ფ [pʰ]. თუმცა დღესდღეობით სიმბოლოების ჭ [f] დოკუმენტაციაში ან თანამედროვე ლიტერატურაში გამოყენების ლეგიტიმური უფლება არ გვაქვს.

საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში სხვადასხვა ქვეყანასთან საერთაშორისო პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური და სამხედრო ურთიერთობების გაღრმავების გამო იზრდება იმ ენათა რაოდენობა, რომელთა ბგერითი სისტემების ტრანსლიტერაცია საჭირო ხდება ქართულად და პირიქით. მრავალი ენის, მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხთა ენების ბგერითი სისტემათა ტრანსლიტერაცია ქართულ ენაზე დაფუძნებულია რუსულ ენაში შემუშავებულ წესებზე. ამიტომ აუცილებელია ტრანსლიტერაციის წესების განახლება საკუთრივ ქართული ფონეტიკური სისტემის გათვალისწინებით. ამას ემატება ქართულ ენასთან ისტორიული კონტაქტების მქონე ენათა ბგერითი სისტემების ტრანსლიტერაციის აუცილებლობა. ახალმა ვითარებამ განაპირობა ისეთ ქვეყნებთან ურთიერთობა, რომლებთანაც საქართველოს ისტორიულად

ურთიერთობა თითქმის არ ჰქონია. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი მიზნად ისახავს ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიფციის სრული სისტემების შექმნას, რაც გულისხმობს შესაბამისი ენების მთელი ფონოლოგიური სისტემის კვალიფიციურ ადაპტირებას ქართულ ენაზე და არა ცალკეული ბგერის ან ბგერათა კომპლექსის ქართულად გადმოტანის ან ქართულიდან სამიზნე ენაში გადატანის წესის დადგენას. სახელმძღვანელო წესები წარმოდგენილია ცხრილების სახით. პირველ სვეტში მოცემულია გრაფემათა ჩანაწერი ამოსავალ ენაზე, იგივე გრაფემები მეორე სვეტში ჩანწერილია საერთაშორისო ფონეტიკური ანბანით (IPA – International Phonetic Alphabet). შემდეგ სვეტებში კი ნაჩვენებია ქართულად ტრანსლიტერირებული შესატყვისები შესაბამისი მაგალითების დამონმებით.

ტრანსლიტერაციის მნიშვნელობა გამოჩნდება თარგმნის პროცესში ორივე ენის ბგერითი სისტემის გათვალისწინებით, საკუთარი სახელების უღერადობის სწორად გადმოტანის საიმედოობით.

ტრანსლიტერაცია არის სტანდარტული წესი, რომელიც გამოიყენება ოფიციალურ დოკუმენტაციაში, სიახლეების ტექსტებში, ბიბლიოთეკებში კატალოგებისთვის და, წესით, უნდა გამოიყენებოდეს ყველა სპეციალისტის თუ არასპეციალისტის მიერ არასწორი ინტერპრეტაციის, გაუგებრობისა და ქაოტური მდგომარეობის აცილების მიზნით. ეს არის საკუთარი სახელებისა და გეოგრაფიული სახელწოდებების ერთი ენის დამწერლობიდან მეორე ენის დამწერლობაზე გადაცემის მეთოდი.

არსებობს საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის, მაგალითად, დადგენილია თანამედროვე ქართული დამწერლობის ლათინური ასოებით ტრანსლიტერაციის სისტემის სტანდარტი: ISO 9984.

ტრანსლიტერაციის წესების დადგენის პროცესში უნდა ჩავიხედოთ ჩინური ენის ფონეტიკურ სისტემაში და ვეძებთ საერთო და განსხვავებული დეტალები ორ ენას შორის. ჩნდება შემდეგი კითხვები, თუ როგორ გაკეთდეს ყველაფერი ზედმეტი სიმბოლოებისა და ნიშნების გარეშე, როგორ უნდა გავითვალისწინოთ ორივე ენის თავისებურება და თანაც უღერდეს ყველაფერი ისე, როგორც საჭირო და სწორია.

მთელ მსოფლიოში არის ტრანსლიტერაციის მოთხოვნილება, შესაბამისად, მკაცრად არის დაწესებული სტანდარტი და უამრავ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი ევროპულ ქვეყნებში, უკვე დამკვიდრებულია კიდეც. ამ სტანდარტის მიღება და დაცვა, მასთან შეგუება-შეჩვევა უნდა ვისწავლოთ და არა ბრმად ვთარგმნოთ. ეს ასევე არის სუვერენული სახელმწიფოს კულტურის ნაწილი. მთავარია, გვეჩვენოს ამის სურვილი, გავიაზროთ საჭიროება და არ დაგვეზაროს ამისთვის დროის გამონახვა. ჩვენ შევიმუშავეთ შესაბამისი ცხრილი, რომელზეც ორიენ-

ტირება არ წარმოადგენს არავითარ სირთულეს, არ მოითხოვს ძალისხმევას და მისი დახმარებით ნებისმიერი სახისა და შინაარსის ტექსტის ტრანსლიტერაცია იქნება შესაძლებელი.

ბოლო პერიოდში საგრძნობლად გამოჩნდა ტრანსლიტერაციის წესების გათვალისწინების საჭიროება, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და სასიხარულოა. ხშირად მეცნიერები, ლექტორები, მთარგმნელები, ასევე გამომცემლების, დიპლომატების ნაწილი გვიკავშირდებიან დასაზუსტებლად; თუმცა ჟურნალისტები ჯერ-ჯერობით ინტერესს ან სურვილს არ იჩენენ. სამწუხაროდ, ეს აისახება სიახლეების ტექსტებში, რაც ულამაზო, არაეთიკური, უპატივცემულო დამოკიდებულებაა სხვა სახელმწიფოს წარმოადგენლის მიმართ, ასევე ჩვენივე ენის, მოქალაქეებისა და შესაბამისი სპეციალისტების უგულვებელყოფაა. ეს ყველაფერი არაპროფესიონალიზმის დამადასტურებელია. მაგალითად, გვხვდება ერთი პიროვნება სხვადასხვა სახელით სიახლის სხვადასხვა ან სულაც ერთსა და იმავე ტექსტში: 臧先生 Zang, ნაცვლად სწორი ვერსიისა – წანგი, გვხვდება შემდეგი ვერსიები: ზანგი, ჟანგი, ჯანგი, ძიანგი და ა.შ; ან გეოგრაფიული ადგილების სახელწოდებების რუსულიდან შემოსული არასწორი ფორმებია გამოყენებული, მაგალითად: 台湾 Taiwan, ნაცვლად სწორი ვერსიისა „თაივანი“. ისევ გამოიყენება „ტაივანი“, რაც არასწორია, რადგან ჩინური ყრუ ფშვინვიერია t ისევე, როგორც ქართულ ენაში „თ“, ამიტომ ჩვენი სახელმწიფო ენის გათვალისწინებით, მეცნიერულად სწორი და ჟღერადობითაც ზუსტი ტრანსლიტერაცია იქნება „თაივანი“. ასევე ქალაქი 大连 Dalian – რამდენიმე წლის განმავლობაში სამთავრობო დელეგაციის ამ ქალაქში ვიზიტის პერიოდში თითქმის ყველა პლატფორმაზე ეწერა „დალიანი“, რაც ასევე რუსულის გავლენაა და ამ ენაზე დაყრდნობით დაიწერა. სწორი ვერსია არის „ტალიენი“, შეგვიძლია დავიხმაროთ ქართულ და ჩინურ ბგერათა შედარება-შეპირისპირების ცხრილი. ასეთი დარღვევები, როგორც ქართული (სახელმწიფო) ენის, ასევე სუვერენული სახელმწიფოს ინტერესებს არღვევს და, საბოლოოდ, აზიანებს.

სირთულეს ქმნის ფინიჩი, რომელიც ბოლომდე არ მისდევს ბგერათა ლათინურად ტრანსლიტერაციის წესს, რაც მიუჩვეველ მკითხველს თავიდან ხელს უშლის ჩანაწერის სწორად აღქმაში. მაგალითად, არაფშვინვიერი ყრუ ხშულები პ [p], ტ [t], კ [k] ლათინურად გადმოიცემა b, d, g გრაფემებით, რომლებიც ტრადიციულ ტრანსლიტერირებულ სისტემებში აღნიშნავენ მჟღერ ხშულ თანხმოვნებს: ბ [b], დ [d], გ [g]. კიდევ უფრო რთულად არის საქმე ძ [j], წ [z], ჭ [zh], ჟ [r] da ხ [h] თანხმოვნების გადმოცემისას, როგორც ეს თითოეულისათვის ფრჩხილებში მიწერილი ფინიჩის გრაფემებიდან ჩანს. განაფვის შემდეგ ფინიჩის ეს თავისებურება დიდ წინააღმდეგობად აღარ ჩანს, თუმცა ზოგჯერ შეცდომის მიზეზიც ხდება, მაგალითად: 北京 Beijing პეკინი, პეიძინგი (შეცდომაა: ბეიჟინგი//ბეიჯინგი), 深

圳 Shenzhen შენჭენი (შეცდომაა: შენჟენი), 枣庄 Zaozhuang ზაოჭუანგი (შეცდომაა: ზაოჟუანგი) (ჯიბლადე 2018-19).

თანხმოვნებში ორი რბილი (პალატალიზებული) თანხმოვანია, რომელიც ფონოლოგიურად უპირისპირდება მაგარ (არაპალატალიზებულ) თანხმოვნებს. ტრანსლიტერაციის წესებში მათი განსხვავების მიზნით, დაუშვით გამონაკლისი: თანხმოვნებში პალატალიზებული ანუ რბილი თანხმოვანი **ც** (q) და თანხმოვანი **ს** (x) ფონოლოგიურად უპირისპირდება არაპალატალიზებულ ანუ მაგარ **ც** (c) თანხმოვანს და **ს** (s) თანხმოვანს. ასეთ შემთხვევებში ქართული **ც** და **ს** სრულად გადმოსცემენ ჩინური არაპალატალიზებული ანუ მაგარი **ც** და **ს** თანხმოვნების ფონეტიკურ მახასიათებლებს: ci და si (ci = **ც** და si = **ს**), ხოლო **ც** თანხმოვანზე და **ს** თანხმოვანზე **ი** ხმოვნის დამატებით გადმოიცემა პალატალიზებული ანუ რბილი თანხმოვანი **q** და თანხმოვანი **x** (qi = **ცი** და xi = **სი**), მაგ.: Cishan (磁山) = ცშანი და Qishan (岐山) = ციშანი; Sichuan (四川) = სჩუანი და Xichuan (浙川) = სიჩუანი.

ომონიმების თავიდან ასაცილებლად, ქართულში არაპალატალიზებული ანუ მაგარი **ც** (c) თანხმოვნის და **ს** (s) თანხმოვნის გადმოსაცემად ერთმარცვლიან სიტყვებსა ან მრავალმარცვლიანი სიტყვის ბოლო მარცვალში გამოყენებული იქნება **ცჰი** კომპლექსი და **სჰი** კომპლექსი. ასეთი სახით დაუპირისპირდება პალატალიზებულ ანუ რბილ **ც** (q) თანხმოვანს ან **ს** (s) თანხმოვანს, რომელიც **ც** (q) თანხმოვანზე ან **ს** (x) თანხმოვანზე **ი** ხმოვნის დამატებით გადმოიცემა (qi = **ცი** და xi = **სი**), მაგ.: Ci (慈) – ცჰი (პირი); Jiamusi (佳木斯) = ძიამუსჰი (ადგილი).

მიმაჩნია, რომ სახელმწიფო ენის მიერ დაწესებული და დამტკიცებული „ჩინური ენის მარცვალთა სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები“ (《汉语语音系统(音节)与格鲁吉亚语对照表及汉语专有名词音译规则》), რომელიც მიღებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის 2019 წლის 22 მარტის სხდომაზე, ოქმი№1, უნდა ისწავლებოდეს უნივერსიტეტების ჩინური ენის, ჩინეთმცოდნეობის მიმართულებებზე, ჩინური ენის კურსებზე და ა.შ. ყველა სინოლოგის ვალია პასუხისმგებლობით მოეკიდოს ამ წესების პრაქტიკაში გამოყენების და მათი სახელმწიფო ენაში დამკვიდრების საქმეს.

თავკიდურები (ინიციალები)											
	ინიც.	b	p	m	f	d	t	n	l	g	k
ფინ.	მარცვლები										
a	a ა 1234	ba პა 1234	pa ფა 12 4	ma მა 1234	fa ფა 1234	da ტა 1234	ta თა 1 34	na ნა 1234	la ლა 1234	ga კა 1234	ka ქა 1 3
o	o ო 1234	bo პო 1234	po ფო 1234	mo მო 1234	fo ფო 2						
e	e ე 1234			me მე		de ტე 1 2	te თე 4	ne ნე 2 4	le ლე 4	ge კე 1234	ke ქე 1234
ê	(ê) 1234										
ai	ai აი 1234	bai პაი 1234	pai ფაი 1234	mai მაი 234		dai ტაი 1 34	tai თაი 12 4	nai ნაი 34	lai ლაი 2 4	gai კაი 1 34	kai ქაი 1 34
ei	ei ეი 1234	bei პეი 1 34	pei ფეი 12 4	mei მეი 234	fei ფეი 1234	dei ტეი 1 3		nei ნეი 34	lei ლეი 1234	gei კეი 3	kei ქეი 1234
ao	ao აო 1234	bao პაო 1234	pao ფაო 1234	mao მაო 1234		dao ტაო 1234	tao თაო 1234	nao ნაო 234	lao ლაო 1234	gao კაო 1 34	kao ქაო 1 34
ou	ou ოუ 1 34		pou ფოუ 1	mou მოუ 23	fou ფოუ 3	dou ტოუ 1 34	tou თოუ 12 4	nou ნოუ	lou ლოუ 1234	gou კოუ 1 34	kou ქოუ 1 34

an	an ან 1 34	ban პან 1 34	pan ფან 12 4	man მან 1234	fan ფან 1234	dan ტან 1 34	tan თან 1234	nan ნან 234	lan ლან 234	gan კან 1 34	kan ქან 1 34
en	en ენ 1 4	ben პენ 1 34	pen ფენ 12 4	men მენ 12 4	fen ფენ 1234			nen ნენ 4		gen კენ 1 4	ken ქენ 3
ang	ang ანგ 12 4	bang პანგ 1 34	pang ფანგ 23	mang მანგ 34	fang ფანგ 1234	dang ტანგ 1 34	tang თანგ 1234	nang ნანგ 234	lang ლანგ 234	gang კანგ 1 34	kang ქანგ 12 4
eng	eng ენგ 1234	beng პენგ 1234	peng ფენგ 1234	meng მენგ 1234	feng ფენგ 1234	deng ტენგ 1 34	teng თენგ 12	neng ნენგ 2	leng ლენგ 234	geng კენგ 1 34	keng ქენგ 1
er	er ერ 234										
i	yi ი 1234	bi პი 1234	pi ფი 1234	mi მი 1234		di ტი 1234	ti თი 1234	ni ნი 234	li ლი 234		
ia	ya ია 1234								lia ლია 3		
io	yo იო 1234										
ie	ye იე 1234	bie პიე 1234	pie ფიე 1 3	mie მიე 1 4		die ტიე 12	tie თიე 1 4	nie ნიე 1 4	lie ლიე 34		
iao	yao იაო 1234	biao პიაო 1 34	piao ფიაო 1234	miao მიაო 234		diao ტიაო 1 4	tiao თიაო 1234	niao ნიაო 34	liao ლიაო 1234		

თავკიდურები (ინიციალები)											
	h	j	q	x	zh	ch	sh	r	z	c	s
ფინ.					zhi ჭი 1234	chi ჩი 1234	shi ში 1234	ri რი 4	zi ნი 1 34	ci ცი, ცჰი 1234	si სი, სჰი 1 34
a	ha ხა 123				zha ჯა 1234	cha ჩა 1234	sha შა 1234		za წა 12	ca ცა 1	sa სა 1 34
o											
e	he ხე 12 4				zhe ჯე 1234	che ჩე 1 34	she შე 1234	re რე 34	ze წე 2 4	ce ცე 4	se სე 4
ê											
ai	hai ხაი 1234				zhai ჯაი 1234	chai ჩაი 12	shai შაი 1 34		zai წაი 1 34	cai ცაი 1234	sai საი 1 4
ei	hei ხეი 1				zhei ჯეი 4		shei შეი 2		zei წეი 2		
ao	hao ხაო 1234				zhao ჯაო 1234	chao ჩაო 123	shao შაო 1234	rao რაო 234	zao წაო 1234	cao ცაო 123	sao საო 1 34
ou	hou ხოუ 1234				zhou ჯოუ 1234	chou ჩოუ 1234	shou შოუ 1234	rou როუ 2 4	zou წოუ 1 34	cou ცოუ 4	sou სოუ 1 34

an	han ხან 1234				zhan ჯან 1 34	chan ჩან 1234	shan შან 1 34	ran რან 23	zan წან 1234	can ცან 1234	san სან 1 34
en	hen ხენ 234				zhen ჯენ 1 34	chen ჩენ 12 4	shen შენ 1234	ren რენ 234	zen წენ 3	cen ცენ 12	sen სენ 1
ang	hang ხანგ 12 4				zhang ჯანგ 1 34	chang ჩანგ 1234	shang შანგ 1 34	rang რანგ 1234	zang წანგ 1 4	cang ცანგ 1 3	sang სანგ 1 34
eng	heng ხენგ 12 4				zheng ჯენგ 1 34	cheng ჩენგ 1234	sheng შენგ 1234	reng რენგ 12	zeng წენგ 1 4	ceng ცენგ 2 4	seng სენგ 1
er	er ერ 234										
i		ji ძი 1234	qi ცი 1234	xi სი 1234							
ia		jia ძია 3	qia ცია 1 34	xia სია 12 4							
io											
ie		jie ძიე 1234	qie ციე 1234	xie სიე 1234							
iao		jiao ძიაო 1234	qiao ციაო 1234	xiao სიაო 1234							

თავკიდურები (ინიციალები)											
	ინიც.	b	p	m	f	d	t	n	l	g	k
iu	you იოუ 1234			miu მიოუ 4		diu ტიოუ 1		niu ნიოუ 1234	liu ლიოუ 1234		
ian	yan იენ 1234	bian პიენ 1 34	pian ფიენ 12 4	mian მიენ 234		dian ტიენ 1 34	tian თიენ 1234	nian ნიენ 1234	lian ლიენ 234		
in	yin ინ 1234	bin პინ 1 4	pin ფინ 1234	min მინ 23				nin ნინ 2	lin ლინ 234		
iang	yang იანგ 1234							niang ნიანგ 2 4	liang ლიანგ 234		
ing	ying ინგ 1234	bing პინგ 1 34	ping ფინგ 12	ming მინგ 234		ding ტინგ 1 34	ting თინგ 123	ning ნინგ 234	ling ლინგ 1234		
u	wu უ 1234	bu ბუ 234	pu ფუ 1234	mu მუ 234	fu ფუ 1234	du ტუ 1234	tu თუ 1234	nu ნუ 234	lu ლუ 234	gu კუ 1234	ku ქუ 1 34
ua	wa ვა 1234									gua კუა 1 34	kua ქუა 1 34
uo	wo ვო 1 34					duo ტუო 1234	tuo თუო 1234	nuo ნუო 2 4	luo ლუო 1234	guo კუო 1234	kuo ქუო 4
uai	wai ვაი 1 34									guai კუაი 1 34	kuai ქუაი 1 34

[illegible]

თავკიდურები (ინიციალები)											
	h	j	q	x	zh	ch	sh	r	z	c	s
iu		jiu ძიოუ 1 34	qiu ციოუ 12	xiu სიოუ 1 34							
ian		jian ძიენ 1 34	qian ციენ 1234	xian სიენ 1234							
in		jin ძინ 1 34	qin ცინ 1234	xin სინ 1 4							
iang		jiang ძიანგ 1 34	qiang ციანგ 1234	xiang სიანგ 1234							
ing		jing ძინგ 1 34	qing ცინგ 1234	xing სინგ 1234							
u	hu ხუ 1234				zhu ჭუ 1234	chu ჩუ 1234	shu შუ 1234	ru ჟუ 234	zu წუ 123	cu ცუ 1 4	su სუ 12 4
ua	hua ხუა 12 4				zhua ჭუა 1 3	chua ჩუა 1 3	shua შუა 1 3				
uo	huo ხუო 1234				zhuo ჭუო 12	chuo ჩუო 1 4	shuo შუო 1 4	ruo ჟუო 4	zuo წუო 1234	cuo ცუო 1 34	suo სუო 1 3
uai	huai ხუაი 2 4				zhuai ჭუაი 1 34	chuai ჩუაი 1 34	shuai შუაი 1 34				

ui	hui ხუეი 1234				zhui ჭუეი 1 4	chui ჩუეი 12	shui შუეი 234	ruì რუეი 34	zui წუეი 34	cui ცუეი 1 4	sui სუეი 1234
uan	huan ხუან 1234				zhuan ჭუან 1 34	chuan ჩუან 1234	shuan შუან 1 4	ruan რუან 3	zuan წუან 1 34	cuan ცუან 12 4	suan სუან 1 4
un	hun ხუნ 12 4				zhun ჭუნ 1 3	chun ჩუნ 123	shun შუნ 34	run რუნ 4	zun წუნ 1	cun ცუნ 1234	sun სუნ 1 3
uang	huang ხუანგ 1234				zhuang ჭუანგ 1 4	chuang ჩუანგ 1234	shuang შუანგ 1 3				
ong	hong ხუნგ 1234				zhong ჭუნგ 1 34	chong ჩუნგ 1234		rong რუნგ 23	zong წუნგ 1 34	cong ცუნგ 12	song სუნგ 1 34
ü		ju ძიუ 1234	qu ციუ 1234	xu სიუ 1234							
üe		jue ძიუე 12 4	que ციუე 12 4	xue სიუე 1234							
üan		juan ძიუენ 1 34	quan ციუენ 1234	xuan სიუენ 1234							
ün		jun ძიუნ 1 4	qun ციუნ 2	xun სიუნ 12 4							
iong		jiong ძიუნგ 3	qiong ციუნგ 2	xiong სიუნგ 12							

სურ. 106 ჩინური მარცვლების ცხრილი ტონების მითითებით

თავი IV

ჩინური ენის ფონეტიკური თავისებურებები

ჩინური ენის ჟღერადობის ათვისების საკვანძო საკითხები, სირთულეები და მათი გადალახვის გზები

ბოლო პერიოდში საქართველოში ჩინური ენის პოპულარობასთან ერთად სულ უფრო იზრდება მისი შესწავლის მსურველთა რაოდენობა, რაც, შესაბამისად, განაპირობებს ჩინური ენის ფონეტიკური სისტემით დაინტერესებას, მისი კვლევის საჭიროებასა და ზედმინევით ათვისების მოთხოვნილებას.

როგორც უკვე ცნობილია, ენის უპირველესი ფუნქცია არის კომუნიკაცია. ენის, განსაკუთრებით კი, ჩინური ენის გამოყენებისას, თუ წარმოთქმა არ არის ზუსტი, ეს ადამიანებს შორის ინვესს ან გაუგებრობას, ან სრულ დისკომუნიკაციას. კარგი გამოთქმა ნიშნავს მომავალში ჩინურ ენაზე ზეპირმეტყველების უნარების გაუმჯობესებას, ჩინურ ენაზე კომუნიკაციის დროს თავდაჯერებულობის ზრდას, რაც, მთლიანობაში, კომუნიკაციისთვის ხელშეწყობის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

სახელმძღვანელოს ეს ნაწილი შეიძლება ქართველ, ჩინელ და სხვა უცხოელ პედაგოგებს გამოადგეთ ჩინური ენის სწავლების მიზნით, ენის შემსწავლელთა მოსამზადებელი ან ჩინური ენის მასწავლებელთა გადასამზადებელი მასალის სახით.

ჩინური ენა ჩვენთვის არის რიგითი უცხო ენა, მაგრამ ის ინდოევროპული ენებისგან, ისევე როგორც იბერიულ-კავკასიური ენებისგან, განსხვავდება მრავალი თავისებურებით. როგორც ვიცით, ზოგიერთი ენის დამწერლობის გრაფიკული ნიშნები გადმოსცემს სიტყვის მარცვლებს, ზოგიერთიც – ბგერებს. იმის მიხედვით, თუ როგორ გამოვხატავთ მარცვლებსა თუ ბგერებს, დამწერლობა შეიძლება იყოს მარცვლოვანი (სილაბური) ან ანბანური (ასოებრივი). ქართული დამწერლობა ანბანურია და დღეს მხედრული სახეობის ანბანს ვიყენებთ ქართველები. ყოველ ბგერას ერთი ასო შეესაბამება და პირიქით, თითო ასო თითო ბგერას გამოხატავს. ქართველები ვწერთ ისე, როგორც ვამბობთ და ვკითხულობთ ისე, როგორც ვწერთ (დარჩია, 2015). ჩინურ ენაში კი ვითარება სხვაგვარია – ჩინური ენა არის მარცვლოვანი და არ აქვს ანბანი. სიტყვა, ხშირ შემთხვევაში, შედგება ორი მარცვლისგან, თუმცა ზოგჯერ ერთი და სამი მარცვლისგანაც. ტონები ჩინური ენის კიდევ ერთი თავისებურებაა. ყველა მარცვალს თავისი ტონი

აქვს. ჩინური ენის მარცვლები ტონების გარეშე ოთხ ასეულს მოიცავს, ხოლო სხვადასხვა ტონთან ერთად, ათასზე მეტს ითვლის. ქართულ ენაში მარცვალთა ბგერითი შემადგენლობა ძალიან ფართოა. ჩინურ მარცვალთან შედარებით, ბევრად მეტი ბგერა შეიძლება შევიდეს, თანმიმდევრობაც თავისუფალი და მრავალფეროვანია. ჩინური ენის მარცვალს ახასიათებს განსაზღვრული სტრუქტურა. ჩინურ მარცვალში ბგერათა რაოდენობა არ აღემატება ოთხს და მათი თანმიმდევრობაც მკაცრად კანონზომიერია. ჩინურ მარცვალში პრიორიტეტულია ხმოვანი, ანუ ჩინურ მარცვალში შეიძლება არ იყოს თანხმოვანი, მაგრამ არ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ თანხმოვანი ხმოვნის გარეშე, ამიტომ ენაც უფრო მელოდიურობით გამოირჩევა. მარცვალს კიდევ უფრო მელოდიურს ხდის ტონები (სურ. 106).

საკითხი აქტუალურია, რადგან აუცილებელია ვიცნობდეთ თავისებურებებს, სანამ ტრანსლიტერაციის აუცილებლობაზე ვიწყებთ საუბარს ან სანამ ჩინური ენის სწავლა/შესწავლას შევედგებით, რათა რაციონალურად მივედგეთ საკითხს და გავარჩოთ თეორიული და პრაქტიკული შესწავლის ობიექტები, მოგვეცეს ჩინური ენის ფონეტიკური სისტემის გააზრებისა და წარმოთქმის ადეკვატური უნარების ფორმირების საშუალება.

მიზნის მისაღწევად უნდა ვუპასუხოთ შემდეგ კითხვებს: რას წარმოადგენს თანამედროვე სალიტერატურო ჩინური ენა – ფუთუნგხუა და ფინინი, რაზეც უკვე ვისაუბრეთ წინა თავებში, თუმცა აქ ისევ შევეხებით ჩინური ენის, ზოგადად, აღქმასთან დაკავშირებულ პრობლემას; ჩინური ენის ბგერითი სისტემა, მისი ქართულთან მიმართება, საერთო და განსხვავებული მათ შორის და სხვა დეტალებიც უკვე წინა თავებში განვიხილეთ, თუმცა ამ საკითხსაც მივუბრუნდებით არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით; რა არის ჩინური ენის მახასიათებლები და თავისებურებები; როგორია ჩინური ბგერითი სისტემის სწავლების პრინციპები; წარმოთქმის რა ძირითადი პრობლემები არსებობს და რა უნდა იყოს გათვალისწინებული სწავლა/სწავლების დროს – ამ და სხვა საკითხებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ჩვენი მიზანია, ხელი შევეწყოთ სწავლა-სწავლების ეფექტურობის ზრდას და სტუდენტსა თუ მასწავლებლებს შევეუშუბუქოთ ეს ტვირთი. ამისათვის უნდა გავეცნოთ ქართველი სტუდენტის წარმოთქმის იმ სირთულეებს, რომელიც სწავლების მრავალწლიანმა გამოცდილებამ დაგვანახა. სწორედ ეს მუდმივი კვლევა-დაკვირვება გვეხმარება ფონეტიკური ნაწილის სწავლების ტექნიკის შემუშავება-შექმნაში, დახვეწა-დახელოვნებაში. ჩინურ და ქართულ ენათა ფონეტიკურ შედარებასა და ქართველი სტუდენტებისთვის ჩინურის სწავლების სპეციფიკაზე სტატია, პირველად, ჯერ კიდევ ჩინეთში გამოქვეყნდა.

ამჯერადაც უნდა აღვნიშნოთ, რომ ფუთუნგხუაში სიტყვებს ორი სადამწერლო ფორმა აქვს: იეროგლიფური და ანბანური, თუმცა სახელმწიფო ენის იეროგლიფურ დამწერლობას აქვს ძირითადის სტატუსი, ხოლო ანბანურს – დამხმარეს სტატუსი. ფინინი (拼音) არის ჩინური ენის ბგერათა წერილობითი ფიქსირების წესები და ჩინეთის ეს სამთავრობო პროექტი მიზნად ისახავდა ჩინური სიტყვების ტრანსკრიბირების საერთაშორისო სტანდარტების შექმნას, რისთვისაც გამოიყენეს მსოფლიოში გავრცელებული ლათინური ანბანის ასოები, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მათ იეროგლიფური დამწერლობის ჩანაცვლება შეუძლიათ. ჩინეთში ანბანური დამწერლობის სწავლა აუცილებელია სკოლაში, რადგან ის არის საფუძველი, რომელზეც იგება ჩინური ენის – ფუთუნგხუას სწავლება მილიონობით ჩინელისთვის, უამრავ უნივერსიტეტში საზღვარგარეთ. მასზეა დაფუძნებული თანამედროვე საინფორმაციო კომპიუტერული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები. ლათინურმა ასოებმა, რომლებიც გამოიყენება ჩინური ენის ფუთუნგხუას ჩასაწერად, შეაღწია თანამედროვე ჩინეთის სოციალურ ცხოვრებაში.

ჩინური ანბანი შეიქმნა ენის უკვე არსებული ფონოლოგიური სისტემის ბაზაზე. შექმნიდან გასულმა 50 წელმა დაგვანახა ანბანის უდიდესი როლი შუამავალი ენის – ფუთუნგხუას გავრცელებასა და ჩინეთის მოსახლეობის მრავალსაუკუნოვანი მასობრივი გაუნათლებლობის დაძლევაში, ასევე იგი ჩინური საზოგადოების ენობრივი ინტეგრაციის საიმედო საშუალებას წარმოადგენს.

სიტყვა „ფუთუნგხუა“ (საყოველთაო ენა) აზუსტებს ჩინური ენის „ხანიუს“ ცნებას, რაც არის ხანის ეთნოსის ამსახველი ნიშანი. ხანის ენის დღევანდელი ვითარების თავისებურება გამოიხატება მისი რეგიონული დიფერენციაციით, რასაც გააჩნია მრავალსაუკუნოვანი ისტორია. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ჩინური ენის სიტყვების ეს ანბანური ორთოგრაფიები არ არის ამ სიტყვების ფონეტიკური ტრანსკრიფცია, როგორადაც შეიძლება მოგვეჩვენოს ასო-ბგერითი დამწერლობის იეროგლიფურ დამწერლობასთან შედარებისას. მცდარი მოსაზრების მიზეზი ხდება ანბანური დამწერლობის აუდიო მასალებიც, რომლებიც მოსმენისას გვარწმუნებს, თითქოს ესა თუ ის სიტყვა იკითხება ისე, როგორც წერია. საჭიროა, თავიდანვე განვმარტოთ, რომ მას ასევე შეიძლება მივუწეროთ IPA სისტემის ნიშნები. დღესდღეობით, ეს იმიტაციაა და შესაბამისი სავარჯიშოები ეფექტურია ჩინური ენის შემსწავლელთათვის, თუმცა ფონეტიკური კურსის შესავალში ორი სახის დამწერლობის – იეროგლიფური და ანბანურის შესწავლისას, ასოები ძალაუწებურად აღიქმება ფონეტიკურ ტრანსკრიფციად. ხდება ასოებისა და სამეტყველო ბგერების – ფონემების აღრევა.

ჩინური ენის შესწავლის დროს ამ ანბანური სისტემის (ფინინის) წაკითხვისას არასპეციალისტის გონებაში ირთვება უცხო ენის ბგერების აღქმის ფსი-

ქოლოგიური მექანიზმი. ყველაზე დახვეწილი სმენის მქონესაც უცხო ენაში ესმის არა ის, რაც სინამდვილეშია, არამედ ის, რის მოსმენა-გაგონებასაც და თავის ფონოლოგიურ სმენასთან ასოცირებას, ასევე ლათინური ასოების თავისებურად აღქმას მიეჩნია. ცხრილი, რომელიც ასახავს ინგლისური და ჩინური ფინინის განსხვავებას, ძალიან ეხმარება უმრავლესობას პრობლემის მიზეზის გაგებაში.

ერთი იეროგლიფი უდრის ერთ მარცვალს, სიტყვების უმრავლესობა შედგება ორი მარცვლისგან ანუ ორი იეროგლიფისგან, თუმცა ასევე არსებობს ერთმარცვლიანი, სამმარცვლიანი და სხვა სიტყვები, მაგალითად: 中国 ჩინეთი – არის ორმარცვლიანი სიტყვა. ჩინური ენის მარცვალი შედგება ერთი ინიციალისგან, ერთი ფინალისგან და ტონებისგან, მაგალითად: 马 – ma, ერთი მარცვალია, სადაც m ინიციალია, ხოლო a – ფინალი მესამე ტონში. იშვიათ შემთხვევაში გვხვდება მარცვალი ინიციალის გარეშე, მაგალითად: 爱 – ai, ერთი მარცვალია, სადაც არ არის ინიციალი და შედგება მხოლოდ ფინალისაგან ai.

მთავარია, ამ წესების ცოდნა და მათი გამოყენება ჩინური წარმოთქმის გაგება-ათვისების პროცესში, ამავდროულად, ფუთუნგხუას ჩინური სიტყვების ჩასაწერად ჩინური ანბანის გამოყენების წესების შესწავლა და დაუფლება. ეს უზრუნველყოფს შემსწავლელის სწორ სამეცნიერო ორიენტაციას, ასევე აძლევს საშუალებას, გააცნობიეროს ფუთუნგხუას ანბანური სტანდარტის პრაქტიკული სარგებელი.

დღესდღეობით, უკვე არსებობს ჩინური ენის მარცვალთა სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები (ჯიბლაძე 2019-2020), რომლებიც ქართულ ტექსტებში ჩინური გვარებისა და სახელების, ტოპონიმების და სხვ. უნიფიცირებულად აღნიშვნისთვის შეიქმნა და შეძლებისდაგვარად არის გათვალისწინებული ჩინური ენის საერთაშორისო ფონეტიკური ტრანსკრიფცია და ქართული ენის ფონეტიკური თავისებურებები.

ფუთუნგხუა, თანხმოვნებისა და ხმოვნების რაოდენობრივი შეფარდების მიხედვით, გამოირჩევა ხმოვნის (სონანტური) დომინანტობით, ხოლო ქართული ენა – თანხმოვნის (კონსონანტური) დომინანტობით.

ჩინური და ქართული ენების ხმოვნებს შორის განსხვავება შედარებით დიდია, ჩინურ ენაში უფრო აქტიურად გამოიყენება ხმოვნები, ქართულ ენაში კი – თანხმოვნები. როგორც აღვნიშნეთ, ხმოვანი მეტია, ვიდრე ქართულ ენაში, თუმცა ჩინურ ენაში ბგერების აღმნიშვნელი გრაფიკულად გამოხატული ასო-ნიშანი ბევრად ნაკლებია. ანბანების უნივერსალური პრინციპის მიხედვით, ანბანში ასოების რაოდენობა უნდა იყოს მის მიერ აღნიშნული ფონემის რაოდენობაზე ნაკლები.

ჩინური ენის ფონეტიკის სწავლება არის ჩინური ენის სწავლების უმნიშვნელოვანესი ფუნდამენტი.

ზუსტი ჟღერადობის ათვისების ძირითადი ნიუანსები

იმისათვის, რომ მოკლე დროში სტუდენტმა შეძლოს ზუსტი ჟღერადობის ათვისება, გარდა არსებული ტრადიციული და ყველასათვის ცნობილი წესების გაცნობისა, საჭიროა, ყურადღება მივაქციოთ შემდეგ ძირითად ნიუანსებს:

- თეორიის საფუძველზე, მაგალითის მიხედვით ვარჯიში და მიბაძვა. წინაპირობა: ფონეტიკის შესახებ თეორიული ცოდნა;
- ჩინური და ქართული ენების ბგერათა სისტემაში საერთო და განსხვავებულის შესწავლა. წინაპირობა: ორივე ენის ბგერითი სისტემის ცოდნა;
- მარტივიდან რთულზე სწრაფი გადასვლა. წინაპირობა: მარტივისა და რთულის გააზრება;
- დამკვიდრებულის/ტრადიციულის შესწავლის საფუძველზე ახალი მიდგომების შეცნობა. წინაპირობა: დამკვიდრებულის/ტრადიციულის ცოდნა;
- წარმოთქმისას საყურადღებო მომენტების გამოყოფა და მათზე მუშაობა სხვადასხვა ხერხითა და ტექნიკის გამოყენებით. წინაპირობა: შემსწავლელთა ზოგად (ქართველებისთვის დამახასიათებელი) და ინდივიდუალურ პრობლემებში გარკვევა;
- წარმოთქმის ხერხების დაფიქსირება, შეცდომებზე მუშაობა. წინაპირობა: შეცდომების აღმოჩენა, გაგება და გააზრება. სასურველი მიდგომა: შეცდომებზე ვსწავლობთ, მაგრამ არ ვიმეორებთ მათ.

ჩინური ენის ფონეტიკური სისტემის სწავლება საქართველოში

ძალიან გვიადვილებს საქმეს მშობლიური და ჩინური ენების ფონეტიკური შედარების პროცესში საერთოსა და განსხვავებულის შესწავლა და საკმაოდ ეფექტიანია ჩინური ენის ფონეტიკის სწავლების მეთოდის სამეცნიერო საფუძვლის სახით. ამ მხრივ, ჩვენი ნაშრომის მესამე თავი საინტერესო უნდა იყოს მკითხველისთვის.

ჩინური ენის ჟღერადობის სწავლა-სწავლების პროცესი უამრავ დროსა და ენერგიას მოითხოვს, როგორც შემსწავლელისგან, ისე მასწავლებლისგან. ბგერითი სისტემის შესწავლა არის ენის შესწავლის საფუძველი და მისი ზედმიწევნით ცოდნა სტუდენტს მეტ თავდაჯერებულობას ჰმატებს.

ფონეტიკის სწავლების ძირითადი პრინციპები შეიძლება იყოს:

- 1) თეორია + პრაქტიკა (მოსმენა, მიბაძვა, გამეორება, სხვისი და თავისი შეცდომის აღმოჩენა, შესწორება და სხვა სახის სავარჯიშოები);
- 2) ტონების ანბანურ და იეროგლიფურ დამწერლობასთან ერთად სწავლა;
- 3) ქართულისა და ჩინური ენების ბგერითი სისტემის საერთოსა და განსხვავების ახსნა-განმარტება;
- 4) სირთულეების დაფიქსირება და მათი დაძლევის სხვადასხვა მექანიზმის გამოყენება.

- 5) გარდა ამისა, შეიძლება დამატებითი სახის სავარჯიშოების შესრულება: მასწავლებლის კარნახი, სტუდენტების კარნახი, შეცდომის აღმოჩენა და შესწორება, გამოტოვებული ადგილების შევსება სწორი ვარიანტებით ან სწორი ვარიანტების არჩევა.
- 6) ათვისების პროცესში და შემდეგ – ყოველდღიური მზადყოფნა, დახვეწა, ყურადღება, შეხსენება.

ჩინური ენის სახელმძღვანელოს შერჩევის და მეცადინეობის პრინციპი

ამჯერად, ძირითადად, ვსაუბრობთ გრძელვადიანი სწავლების პერსპექტივიდან გამომდინარე. საქართველოში გამოცემულია ქართულენოვანი სახელმძღვანელო “ჩინური ენის პრაქტიკული კურსი“, რომლის პირველი 12 გაკვეთილი ეთმობა ჩინური ენის სტრუქტურას, ბგერით სისტემასა და მარცვალთა ტონებს. საყურადღებოა ნორმატიულ ჟღერადობაზე მუშაობა. წიგნის ამ ნაწილში მოცემულია მნიშვნელოვანი განმარტებები, რომლებიც დაეხმარება შემსწავლელს ჩინური ენის ფონეტიკური ნორმებისა და წყობის თავისებურებათა გაგებაში. სახელმძღვანელოზე დართულია ფონეტიკური მაგალითების, სავარჯიშოების და სხვა მასალის აუდიოჩანაწერი, რომელიც ჩანერილია შერჩეული წარმოთქმის მქონე ჩინური ენის ჩინელი პედაგოგების მიერ.

ფონეტიკურ ნაწილზე საფუძვლიან მუშაობას ეთმობა ერთი სემესტრი. სასურველია, ამისთვის ცალკე ლექტორი ჰყავდეს სტუდენტს, რათა, ძირითადად, ფონეტიკურ საკითხებზე კონცენტრირდეს, სირთულეებზე გაამახვილოს ყურადღება; მნიშვნელოვანია, წარმოთქმის ვარჯიშზე სტუდენტების მობილიზება. მართალია, ფონეტიკის საფუძვლების დაუფლებას ერთი სემესტრი ეთმობა, მაგრამ შემდეგაც გრძელდება ტონებზე მუშაობა და ენის დონეების მიხედვით წარმოთქმის დახვეწა.

ძირითადად, დადებით შეფასებას აძლევენ ქართველ სტუდენტებს საქართველოში ჩინეთის საელჩოს წარმომადგენლები, ასევე ჩინეთის უმაღლესი სასწავლებლები, სადაც ისინი სტაჟირებას გადიან. ერთი მხრივ, ქართველებს უცხო ენის ათვისების ნიჭი აქვთ, მეორე მხრივ, ქართულ და ჩინურ ენებში უამრავი ერთნაირი ან მსგავსი თანხმოვანია და, ბოლოს, ფონეტიკური ნაწილის მაღალ დონეზე სწავლება უზრუნველყოფს მაღალ ხარისხს. მთავარია, სტუდენტი მიჰყვეს ლექტორს, სასწავლო მასალასა და პროგრამას და წარმატებასაც მიაღწევს. რეალურად, ლექტორი და სტუდენტი ერთნაირად იხარჯება და საკმაოდ დიდ ენერგიასა და ძალისხმევას მოითხოვს როგორც სტუდენტისგან, ისე – ლექტორისგანაც.

აქვე ჩამოვთვლი იმ სირთულეებს, რომლებიც დამახასიათებელია ქართველი სტუდენტისთვის. გასათვალისწინებელი დეტალებია:

ჩინური ენის ინიციალები

ჩინური და ქართული ენების თანხმოვნებს შორის არის ბევრი საერთო. ყველა ჩინური თანხმოვნის ანალოგიური ან მსგავსი ბგერა გვაქვს ქართულ ენაში, რაც გვეხმარება ჩინური ენის თანხმოვანი ბგერების ათვისებაში. ეს უზრუნველყოფს სტუდენტების წარმოთქმის სიზუსტეს და, გარდა ამისა, ჩინური თანხმოვანი ბგერების ქართულ ენაზე ტრანსლიტერაციის პრობლემებს გვარიდებს, რასაც სხვა ენებზე ვერ ვიტყვით.

თანხმოვნები z და zh ჩინურ ენაში

საქმეს ასევე გვიმარტივებს ქართულ ენაში ხშილი, ყრუ მკვეთრი (პრე)ალვეოლარული **წ**, პოსტალვეოლარული **ჭ** თანხმოვნების და ხშილი, ყრუ ფშვინვიერი თანხმოვნების არსებობა. **წ** და **ჭ** ძალიან გვეხმარება z და zh-ს ათვისებაში, ასევე ამ ბგერების ქართულ ენაზე ტრანსლიტერაციის საკითხში.

ჩინურ ენაში მჟღერი თანხმოვნების ნაკლებობა აისახება ჩინელებზე, როდესაც ისინი სხვა ენის შესწავლისას ვერ ასხვავებენ სიტყვებს და, შესაბამისად, ვერ წარმოთქვამენ მჟღერ ბგერებს ამავე სიტყვებში.

რუსებმა, რუსულ ენაში ყრუ ფშვინვიერი თანხმოვნების ნაკლებობის გამო, გამოიყენეს მჟღერი და ყრუ მკვეთრი ბგერების წყვილები ჩინური ყრუ ფშვინვიერისა და არაფშვინვიერი ბგერების ჩასანიშნად. ქართულ ენას უპირატესობა აქვს ამ კუთხით, მას გააჩნია *მჟღერი – ყრუ მკვეთრი – ყრუ ფშვინვიერის* სამეული. ჩინური ენის შემთხვევაში, მარცვალთა სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციისთვის, ბოლო ორის გამოყენება საკმარისია, თუმცა რამდენიმე მჟღერ ბგერასაც მოვიშველიებთ ხოლმე. ამიტომაც არ შეიძლება ჩვენ ქართულში დავამკვიდროთ ჩინური ენის მარცვალთა სისტემის რუსულ ან სხვა ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები. გარდა ამისა, ჩვენ ამით არა მხოლოდ ვცემთ პატივს ჩვენს ენას, როგორც სახელმწიფო ენას, ასევე ვითვალისწინებთ მის დახვეწილ ფონეტიკურ სისტემას და მის მდიდარ შესაძლებლობებს. ამ ფაქტებს ზოგჯერ საზოგადოებაში, სამწუხაროდ, არ ექცევა სათანადო ყურადღება, მიდგომა ზედაპირულია და ითვლება, რომ, „ამის გარდა, ისედაც ბევრი სხვა პრობლემა გვაქვს“. როგორც ყოველთვის, ან რეფორმების გატარების და ცვლილებების შეტანის გამბედაობა არ გვყოფნის და, ზოგჯერ, სურვილისა და ინიციატივის ნაკლებობასაც განვიცდით.

“h” ჩინურ ენაში

ასევე უნდა გვახსოვდეს სხვა რამდენიმე საყურადღებო დეტალი: ჩინურ ენა ფუთუნგხუაში **h** არ შეესატყვისება ბგერა **ჰ**-ს, იგი უთანაბრდება ქართულ ბგერა **ხ**-ს. ზოგჯერ ქართველი ექცევა დიალექტზე მოსაუბრე ჩინელების ან

განსხვავებული ფონეტიკური სისტემის მქონე ენების მატარებელი უცხოელი სტუდენტის ჩინურად არასწორი მეტყველების გავლენის ქვეშ.

წყვილეულები (ყრუ ფშვინვიერი და ყრუ არაფშვინვიერი თანხმოვნები) ჩინურ ენაში და სამეულები (მჟღერი, ყრუ ფშვინვიერი და ყრუ მკვეთრი თანხმოვნები) ქართულ ენაში

როგორც ვიცით, თანხმოვნები შეიძლება ქმნიდნენ ცალეულებს, წყვილეულებს, სამეულებს და ზოგიერთ ენაში ასევე არის ოთხეული. ბევრი უცხოელი შემსწავლელი ვერ ასხვავებს ერთმანეთისგან ჩინური თანხმოვნების შემდეგ წყვილეულებს: b-p, d-t, g-k, j-q, z-c, zh-ch. მიუხედავად იმისა, რომ ეს წყვილი ბგერები წარმოების ადგილით არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან და წარმოების რაგვარობითაც ერთმანეთს ჰგვანან, მათ ახასიათებს მხოლოდ განსხვავებული სიძლიერის ასპირაცია, რითაც განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ისინი სხვადასხვა ინიციალების სახით გვხვდება და, შესაბამისად, მარცვლები განსხვავებულ მნიშვნელობას ატარებს, ანუ განსხვავებული ფონოლოგიური დატვირთვა აქვს. ქართულ ენაში გვაქვს ეს წყვილები, ამიტომ, მთავარია ამ თავისებურების ცოდნა, არ უგულებელვყოთ ჩვენი ენის შესაძლებლობა და არ დავეყრდნოთ მხოლოდ სხვა უცხოელი სტუდენტების წარმოთქმას, რამაც შეიძლება მცდარი წარმოთქმისკენ გვიბიძგოს. უფრო დეტალურად იხილეთ:

მჟღერი და ყრუ თანხმოვნები. ჩინურ ენაში მჟღერი თანხმოვნების ნაკლებობა აისახება ჩინელებზე, როდესაც ისინი სხვა ენის შესწავლისას ვერ ასხვავებენ სიტყვებს და, შესაბამისად, ვერ წარმოთქვამენ მჟღერ ბგერებს იმავე სიტყვებში. ჩვენ კი, სსრკ-ს პერიოდში რუსული ენის და, მოგვიანებით, ინგლისური ენების გავლენით ზოგჯერ არასწორად წარმოვთქვამთ ჩინურ ყრუ ბგერებს. ამ დროს, ქართული ენა მდიდარია ყრუ (მკვეთრი და ფშვინვიერი) თანხმოვნებით და სრულიად შესაძლებელია შესაბამისი ჩინური ყრუ ბგერების სწორად წარმოთქმა.

ყოველი შემთხვევისთვის, მოვიყვანთ *შედარებით მეთოდს*: მჟღერი თანხმოვნების წარმოთქმის დროს საკმარისია მივაღოთ თითო ხორხისთავს (ან ყურები თითებით დავიცოთ), რომ ვიგრძნოთ სახმო სიმების თრთოლა ხმოვნებისა და მჟღერი თანხმოვნების წარმოთქმის დროს. თანხმოვნები ყრუა, თუ მათი წარმოთქმის დროს სახმო სიმები არ ჟღერენ, ასეთი ყრუ თანხმოვნებია: პ, ტ, კ, ფ, თ, ქ და ა.შ. (შევადაროთ ფ და ბ, თ და დ, ს და ზ და ა.შ.), ყრუ თანხმოვნების წარმოთქმის დროს სახმო სიმები არ ჟღერს.

ყრუ არაფშვინვიერი და ფშვინვიერი ბგერები. ქართულ ენაში გვაქვს სამეულები, მათ ქმნის მჟღერი, ყრუ ფშვინვიერი და მკვეთრი (ბ-ფ-პ; დ-თ-ტ; ძ-ც-წ; ჯ-ჩ-ჭ; გ-ქ-კ). ჩინურ ენაში წყვილეულის პირველი თანხმოვანი არის არაფშვინვიერი ბგერა, ხოლო მეორე ინიციალი – ფშვინვიერი. უამრავ ენას არ გააჩნია

ფშვინვიერი და არაფშვინვიერი წყვილი, ან კიდევ ასპირაციისას თანხმოვანი არ ატარებს აზრის განმასხვავებელ ფუნქციას, ამიტომ ასეთ ენებზე მოსაუბრე სტუდენტები ვერ გრძნობენ განსხვავებას. მათ შორის არიან: იაპონელები, სამხეთ-აღმოსავლეთ აზიაში მცხოვრებლები (ფილიპინელები, მალაიზიელები, ინდონეზიელები, ტაილანდელები და სხვ.), ასევე ლათინური ამერიკის ქვეყნების და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ხალხები. ძირითადად, ორი სახის შეცდომას უშვებენ: ან სმენით და წარმოთქმით ერთმანეთში ერევათ ფშვინვიერი და არაფშვინვიერი, რადგან საერთოდ არ გრძნობენ განსხვავებას მათ შორის; ან კიდევ, შეიძლება სმენით განასხვავონ ერთმანეთისგან, მაგრამ წარმოთქმით ვერ წარმოთქვან, ანუ, რეალურად, ვერ ახერხებენ ბოლომე მის ათვისებას. ზოგადად, არაფშვინვიერს უფრო მარტივად წარმოთქვამენ. სირთულეს წარმოადგენს ფშვინვიერის წარმოთქმა.

ასეთ შემთხვევაში, ახსნის რამდენიმე მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ: შედარებითი აღწერა, ჰაერნაკადის დაფიქსირება – ორივე ბგერის წარმოთქმისას ქალაქის ტუჩებთან მიტანა და ქალაქის რხევის მდგომარეობაზე დაკვირვება, რაც აპრობირებული მეთოდია და სესხების მეთოდი, როდესაც არაფშვინვიერთან ერთად წარმოთქვამენ ჰ-ს თუ ასეთი ბგერა არ არის, უბრალოდ ჰაერნაკადის პირიდან გამოშვება საკმარისია. ასევე შემსწავლელისთვის გასაგებ ენაზე უნდა აიხსნას ბგერების წარმოთქმის ხერხები, შემდეგ კი თეორიულად და პრაქტიკულადაც ვასწავლოთ მიბაძვის მეთოდის გამოყენებით, ანუ გაიმეოროს მასწავლებელთან ერთად და შემდეგ დამოუკიდებლადაც.

წინა აპიკალური თანხმოვნები: z, c, s და წინაენისმიერი თანხმოვნები: j, q, x

ქართულ სტუდენტებს უჭირთ წინა აპიკალური თანხმოვნების z, c, s და წინაენისმიერი თანხმოვნების j, q, x სწორად წარმოთქმა, მათ შორის, თანხმოვნების c, s და q, x განსხვავება ნაკითხვისას, ხშირად ერთმანეთში ერევათ. ასევე ხმოვან i-სთან ერთად შეცდომით წარმოთქვამენ zi, ci, si, ანუ აპიკალურ (წინაენისმიერ) მარტივ ფინალებთან: -i [ɿ] და ji, qi, xi, ანუ შუაენისმიერ i[i] ხმოვანთან.

z, c, s და j, q, x ბგერების წარმოების რაგვარობა და ადგილი თითქმის ერთი და იგივეა, მაგრამ საპირისპიროა იმიტომ, რომ ერთი არის პალატალური, მეორე კი – არაპალატალური. ქართველი, ასევე, როგორც ვიგებთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიელი სტუდენტები ვერ განასხვავებენ j, q, x-ს და z, c, s-ს და წარმოთქვამენ “洗澡” xǐzǎo „სინაო“ (ბანაობას), როგორც “洗脚” xǐjiǎo „სიძიაო“ (ფეხების დაბანას), “词典” cídiǎn ციტან (ლექსიკონი), როგორც 起点 qǐdiǎn ციტან (დასაწყისი), “打扫” dǎsǎo ტასაო (დაგვა), როგორც “打小” dǎxiǎo ტასიაო (ბავშვობიდან).

ინიციალი j ძალიან ჰგავს ქართულ თანხმოვან d-ს, თუმცა ქართულში ფიქსირდება მჟღერ, არაპალატალურ თანხმოვნად მაშინ, როდესაც j ჩინურ ენაში არის

ყრუ (არაფშენივიერი), პალატალური თანმხოვანი. აღსანიშნავია, რომ ქართული თანხმოვანი *ძ* ხმოვან ი-სთან წარმოთქმის დროს – **ძი**, წააგავს პალატალური *ქ*-ს, თუმცა მაინც იგრძნობა, რომ განსხვავებულია მათი წარმოების ადგილი.

ჩინური ენის ფინალები

ჩინა თავებში უკვე აღვნიშნეთ, რომ თანხმოვნებისგან განსხვავებით, ქართული და ჩინური ენის ხმოვნები საკმაოდ განსხვავებულია, თუმცა მათ შორის არის სულ რამდენიმე რთულად წარმოსათქმელია.

ფინალები -i [ɿ] და e [ɛ]. (უკანა აპიკალური) მარტივი ფინალები **-i [ɿ]** ერევათ შუაენისმიერ, უკანა რიგის ფინალებში **e [ɛ]** ინიციალების *zh, ch, sh, r* შემდეგ: *zhe -zhi, che-chi, she-shi, re-ri*. ამიტომ, აუცილებელია დაკვირვება და თავიდან-ვე ყურადღების გამახვილება, ამ ორ ფინალს შორის ტუჩების მოძრაობის განსხვავების ჩვენება.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე ხმოვანი ჩვენთვის საკმაოდ უცხო და უცნაურია, ჩინელები ამ ორი ხმოვნის წარმოთქმით ასხვავებენ სიტყვებს ერთმანეთისგან, მაგალითად: 这是 *zhe shi*-ს ნაცვლად სტუდენტები წარმოთქვამენ უფრო ხშირად, როგორც: *zhi shi*, ზოგჯერ – როგორც: *zhe she*. ეს წესი შეიძლება სხვა სიტყვებზეც გავრცელდეს და მერე საკითხზე მიბრუნება, ყურადღების მიქცევა, გამოსწორება უკვე რთული ხდება. შედეგად სტუდენტი ისევ არასწორად საუბრობს თავიდანვე ამაზე არასაკმარისად ყურადღების გამახვილების გამო.

ფინალები ü და u. ქართველ სტუდენტებს უჭირთ *u* ან *ü*-ს განსხვავება და *ü*-ს წარმოთქმა: ხშირად იოტირებულ *ü*-ს კითხულობენ, როგორც *u*-ს. მაგალითად, *lu-lü*. უნდა ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შეცდომაა.

არსებობს განსხვავება ბაგისმიერ და არაბაგისმიერ ხმოვნებს შორის სალიტერატურო ჩინურ ენაში. გამოთქმის დროს მომრგვალებული ტუჩების მქონე ხმოვნებს უწოდებენ ბაგისმიერ (მომრგვალებული ბაგეების) ხმოვნებს (როგორიცაა *u, ü*), ხოლო არაბაგისმიერს – არამომრგვალებული ბაგეების მქონე ხმოვნებს (როგორიცაა *i, e*). ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ მეორე და მესამე თავებში.

ქართულში გვაქვს ბაგისმიერი ხმოვანი *u* – უ, მაგრამ არ გვაქვს *ü*, ამიტომ შემსწავლელს თავიდან უჭირთ და, ზოგჯერ, დიდ ხანს ვერ ეჩვევიან ამ ფინალის წარმოთქმას. ჩვენი სწავლების გამოცდილებიდან გამომდინარე, ეს საკმაოდ გავრცელებული პრობლემა აღმოჩნდა.

როდესაც მოსწავლეები წარმოთქვამენ *ü*-ს, მათი ტუჩები ასევე მრგვალია, მაგრამ ხშირად *ü*-ს წარმოთქმისას ვერ აღწევენ დაჭიმულობის დონეს თავიდანვე, ხშირად ჯერ წარმოთქვამენ *i*-ს და მერე *u*-ს და წარმოთქმისას ჟღერს, როგორც

iu. მაგალითად, 绿 liú-ს ნაცვლად წარმოთქვამენ li-ს 六 liù-ს ან პირდაპირ u-ს, მაგალითად, 去 qù-ს (ნასვლა) წარმოთქვამენ, როგორც 醋 cù ცუ-ს (ძმარი).

ქართულში ეს ბგერა არ გვაქვს, ამიტომაც იძულებული ვხდებით ტრანსლიტერაციისას ჩავწეროთ ყველაზე ახლო მდგომი მიმდევრობით – iu წარმოთქმის გამარტივების მიზნით. თუმცა ზუსტი გამოთქმის მისაღწევად უნდა ვისწავლოთ სწორად წარმოთქმა წინა თავებში მოცემული აღწერის მიხედვით. უფრო დანვრილებით იხილეთ მეორე თავში.

ფინალები iu და ui. ზუსტი განმარტებისთვის, მანდარინის ფონეტიკურ სისტემაში, ფინინში მოცემული ფინალი iu რეალურად გამოითქმის, როგორც iou და ფინალი ui – როგორც uei. iu-ს iou-თი წაკითხვის ეს საშუალება გამოვიყენეთ ტრანსლიტერაციის წესებში, რადგან ü ჩავწერეთ, როგორც iu, ხოლო iu, როგორც iou, რითაც მოვაგვარეთ არსებული პრობლემა და ახლა 吕 (先生) -ის Lü დაინერგა, როგორც „ლიუ“, ხოლო 刘 (先生) -ის Liu, როგორც „ლიო“.

ნაზალური ფინალი n [n] და ng [ŋ]. საქართველოში საკმაოდ ხშირი პრობლემაა რბილი წარმოთქმა. ქართველ სტუდენტს, ზოგჯერ წარმატებულ კურსდამთავრებულსაც კი შეიძლება ჰქონდეს უკანა ნაზალური ფინალი ng [ŋ] და წინა ნაზალური ფინალი n [n] სწორად წარმოთქმის პრობლემა, რომელიც შეიძლება კიდევ დიდხანს გაჰყვეს. განსაკუთრებით უჭირს ქართველ სტუდენტს რბილი, ანუ წინა ნაზალური n [n]-ს წარმოთქმა. არადა, ეს ნიუანსი უმნიშვნელოვანესია ჩინურ ენაზე საუბრისას: ერთი მხრივ, განაპირობებს სიტყვების სემანტიკურ განსხვავებას, მეორე მხრივ, ჩინელს უქმნის წარმოდგენას თქვენს სტანდარტულ ჩინურ მეტყველებაზე, ანუ ზუსტ წარმოთქმაზე პრეტენზიის მქონე სტუდენტებისთვის და მათი მასწავლებლებისთვის გადამწყვეტი საკითხია, მაგალითისთვის, შევადაროთ სიტყვები: 蓝 lán ცისფერი და 狼 láng მგელი. ამიტომ სასურველია გავამახვილოთ ამ პრობლემაზე ყურადღება ისე, რომ სტუდენტმა გააცნობიეროს სწორად წარმოთქმის მნიშვნელობა, იცოდეს წინა თავებში მოყვანილი დახასიათება, განსაკუთრებით კი – წარმოების ადგილი.

ფინალები -ian და -iang, -üan. წინა ორი ფინალი უამრავ ქართველ სტუდენტს ერევა ერთმანეთში სწავლის პროცესში, ამიტომ ძალიან საყურადღებო ფინალებია, სტუდენტები ხშირად უშვებენ შეცდომას ფინალის -ian წარმოთქმისას, რომელიც იკითხება როგორც [ien].

სწავლების პროცესში სთხოვეთ სტუდენტებს შეადარონ ეს ორი ფინალი თავიდანვე, ავარჯიშეთ და შეახსენეთ, რომ ამ ფინალების წარმოთქმის პრობლემა გავრცელებულია ქართველ სტუდენტებში, ამიტომ განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო.

ფონეტიკური მახვილი – ტონი ჩინურ ენაში

როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, ჩინურ ენაში არის ტონები ანუ ტონური მახვილი. მახვილი ეწოდება ხმის გაძლიერებას ან ტონის ამაღლებას სიტყვის მარცვალზე ან მარცვლებზე, რა დროსაც სახმო სიმების რხევათა სიხშირე ცვალებადია. ჩინურ ენაში ძირითადად ტონური ანუ მუსიკალური მახვილებიანი მარცვლებია. გამონაკლისია მსუბუქი ტონის მარცვლები, რომლებიც, მართალია, მოკლებულია ფიქსირებულ სიმაღლესა და მკაფიო ტონალურ სურათს, თუმცა მსუბუქად მაინც იგრძნობა იმ სიტყვის თავდაპირველი ტონალობა. ჩინურ ენაში ტონი განასხვავებს სიტყვათა მნიშვნელობას და, აქედან გამომდინარე, ასრულებს სემანტიკურ ფუნქციას. ტონები განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს იმ უცხოელებისთვის, რომელთა ენებში არ არის ტონები, მათ შორის – ქართველებისთვისაც.

ფუთუნგხუაში ოთხი ტონისა და ერთი მსუბუქი ტონის შესახებ წინა თავებში ახსნილია, თუ როგორ აღინიშნება თითოეული; სიტყვები იდენტური ბგერითი შემადგენლობის რომ არის, თუმცა ტონები აქვს განსხვავებული და, შესაბამისად, განსხვავებულია მნიშვნელობაც.

ჩინეთში ენის სპეციფიკური მახასიათებელია ომოფონების დიდი რაოდენობით გამოყენება. სხვადასხვა ტონის საშუალებით სიტყვებს სხვადასხვა მნიშვნელობა ენიჭება. მათ გარეშე მეტყველება შეიძლება სრულიად არათანმიმდევრული აღმოჩნდეს. არასწორმა გაგებამ და გამოთქმამ შეიძლება შეცვალოს ერთი სიტყვის მნიშვნელობა და დაამახინჯოს ფრაზა, წინადადება ან ტექტი მთლიანად. როდესაც უცხოელები იწყებენ ჩინურის სწავლას, ტონების დანიშნულებასა და მნიშვნელობას მათ პირველ რამდენიმე გაკვეთილზე უხსნიან, მაგრამ თვეების განმავლობაში ვარჯიშობენ და შემდეგ წლების განმავლობაში მიმდინარეობს წარმოთქმის დახვეწა.

ზოგიერთი „სპეციალისტი“ გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ჩინელები შეძლებენ უცხოელის გაგებას ტონების გარეშეც, ზოგადი კონტექსტიდან გამომდინარე. ეს მიდგომა არ შეიძლება ჩაითვალოს სწორად, რადგან ეს არის უპასუხისმგებლობა ან პასუხისმგებლობის მომავალში სხვებისთვის გადაბარება. ზოგიერთი მასწავლებელი არ თვლის საჭიროდ დროისა და ძალისხმევის დახარჯვას ტონების სწავლებაზე იმ იმედით, რომ მომავალში თანამოსაუბრეები დამოუკიდებლად გაერკვევიან, რისი თქმა სურს უცხოელს მათთვის. სიტყვების ტონალობის დაუფლებაზე უარის თქმით, შემსწავლელი დაზარალდება იმ თვალსაზრისით, რომ ჩინელების ჩვეულებრივი მეტყველების სმენით სრულად აღქმას ვეღარ შეძლებს და, შესაძლოა, მოუწიოს ყველა ტონის ერთად შესწავლა და უკვე მის მიერ დასწავლილი წარმოთქმის გამოსწორებაზე წვალემა-მუშაობა, რაც მნიშვნელოვნად ანელებს სასწავლო პროცესს და ამცირებს მის ხარისხს.

სიტყვების დიდი მარაგი თუ ფრაზების აგების პრინციპების ცოდნა ტონების შესწავლის ან გათვალისწინების გარეშე არ მოგცემთ საშუალებას სწორად გამოხატოთ საკუთარი აზრი და გააგებინოთ მშობლიურ ენაზე მოსაუბრეს. თუ აბსოლუტურად ყველა სიტყვა წარმოითქმის არასწორი ტონით, მაშინ ვერცერთი ჩინელი ვერ შეძლებს უცხოელის გაგებას აქტიური ჟესტებისა და ინგლისურ მეტყველებაზე გადასვლის გარეშე.

ჩინური ენის ტონების ათვისების პრობლემები და დაძლევის გზები

ფონეტიკის სწავლების პროცესში ტონების სწავლებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. ტონების სწავლება ძალიან მნიშვნელოვან ადგილს იკავებს გამოთქმის სწავლებაში, რადგან თითოეული ტონი ბევრად უფრო ხშირად ჩნდება, ვიდრე ნებისმიერი ინიციალი ან ფინალი და, ბუნებრივია, რომ შეიცავს ყველაზე მეტ ინფორმაციას.

ტონი ჩინური გამოთქმის ყველაზე მგრძნობიარე ნაწილია. ძირითადი მიზეზი, რის გამოც მოსწავლეები მუშაობენ ჩინური ენის აქცენტზე, არის ტონი. სწავლებისას, პირველ რიგში, მოსწავლეებს განუმარტავთ, თუ რა არის ჩინური ტონები და მათი ფუნქციები.

სწორად ორგანიზებული და სისტემური სწავლება პირველივე დღიდან უზრუნველყოფს მარტივი ჩინური სიტყვების სწავლით დაწყებული, ეტაპობრივად გამოთქმის დაუფლებას.

როგორც წესი, გამოიყენება ჩინური ენის ტონების დაუფლების შემდეგი სამუშაო სქემა:

- ▶ საკუთარ თავზე მუშაობა ფინინის გამოყენებით ტექსტის ხმამაღლა კითხვის გზით, სიმბოლოების დამახსოვრების მიზნით;
- ▶ ფინინის წაკითხვის შემდეგ გადადიხართ იეროგლიფების კითხვაზე;
- ▶ ფინინის თავისთვის წაკითხვა აუდიოჩანაწერის მოსმენის ფონზე;
- ▶ ფინინის წაკითხვისა და აუდიოჩანაწერის მოსმენის შემდეგ, ფინინის კარნახის დაწერა აუდიოჩანაწერის მოსმენის პარალელურად;
- ▶ კარნახის შედეგების გადამოწმება აუდიოჩანაწერის ტექსტის მიხედვით;
- ▶ თითოეული სიტყვის გამეორება ჩანერის შემდეგ;
- ▶ დამოუკიდებელი კითხვა აუდიოჩანაწერის გარეშე;
- ▶ აუდიოს ხშირი და განმეორებითი მოსმენა კითხვის გარეშე.

ამ გზით თქვენ შეძლებთ, დაიმახსოვროთ ჩინურ ტონებში სხვადასხვა სიტყვა, შეამოწმოთ თქვენი თავი და იპოვოთ თქვენი შეცდომები ხმამაღლა კითხვისას.

ტონებზე ვარჯიში საჭიროა ყოველდღიურად, თუმცა ყველაზე მთავარია წარმოების გზების გააზრება, მშობლიურ ენაში რომელიმე მოვლენასთან ასოცირება, რომელიმე ბგერასთან მიმსგავსება და მერე ვარჯიში. აუდიოჩანაწერები სასარ-

გებლო იქნება პრაქტიკული სავარჯიშოებისთვის. მოგვიანებით უკვე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ ტონების ყველაზე რთულ კომბინაციებს.

ცალკეული სიტყვების გამოთქმის ათვისების შემდეგ, თქვენ უნდა გადახვიდეთ წინადადებებზე. აქაც შეგიძლიათ ჩართოთ აუდიომასალა და გაიმეოროთ დიქტორთან ერთად წინადადებები. ამ შემთხვევაში უკვე ზუსტ ინტონაციასაც უნდა მიაქციოთ ყურადღება. რეგულარული ვარჯიში საბოლოო ჯამში კარგ შედეგს მოიტანს.


ჩინური ტონები და ქართველი სტუდენტები

მართალია ტონები ქართულ ენას არ გააჩნია და ჩინურთან შესადარებელიც არაფერია, თუმცა საყურადღებოა ქართველი სტუდენტებისთვის, ზოგადად, ტონებისთვის დამახასიათებელი კონკრეტული დეტალების გათვალისწინება. ბოლო რამდენიმე წელია, ქართველი სტუდენტისთვის სირთულეს წარმოადგენს მეოთხე ტონი, ხოლო ადრე დიდ სირთულეს, ძირითადად, მესამე წარმოადგენდა. ალბათ აქ უნდა დავაკონკრეტოთ, რომ მესამე ტონის პრობლემა ბუნებრივად საყოველთაოდ არ მოგვარებულა, არამედ მესამე ტონის სწავლების პრობლემა გადაჭრილია კონკრეტულ უმაღლეს სასწავლებელში ჩვენ მიერ შემუშავებული სწავლების მეთოდის გამოყენებით, რომელსაც ქვემოთ წარმოვადგენთ.


ჩვენ, პირველ რიგში, ვიყენებთ შემდეგ მეთოდებს სტუდენტებისთვის მესამე ტონების დემონსტრირებისთვის:

ხუთსაფეხურიანი დიაგრამა. ტონების პირველად სწავლებისას, უპირველესად, შეგვიძლია გამოვიყენოთ ხუთსაფეხურიანი ტონალური შაბლონების დიაგრამები, რათა მოსწავლეებს შევუქმნათ ტონებზე ვიზუალური წარმოდგენა და დავეხმაროთ მათ გაიგონ ტონებისა და სიმაღლის ცვალებადი პროცესის ურთიერთკავშირი.


1) ტრადიციულ ხუთსაფეხურიან დიაგრამას ვაჩვენებთ შემსწავლელებს (იხილეთ სურ. 107), თუმცა იქვე ვუხსნით, რომ მესამე ტონი, სასურველია, არ იყოს ზუსტად დიაგრამის იმ მონაცემების მიხედვით, არამედ, იყოს უფრო დაბალი, შესაბამისად, მაჩვენებელიც შეიცვლება (იხილეთ სურ. 108):




სურ. 107 ტრადიციული დიაგრამა, სადაც მესამე ტონია 2.1.4



a.



b.



c.

სურ. 108 მესამე ტონის ახალი მაჩვენებლების დიაგრამა:

a. 2.1.1 b. 2.1,5.2 c. 2.1.2

მესამე ტონი [211] – [212]-ს შორის მერყევი, ძირითადად, დაბალი და სწორი ტონია. ტრადიციული გამოთქმის სწავლების დროს მესამე ტონი არის დამავალ-ალმავალი ტონი [214], მაგრამ ის იშვიათად წარმოითქმის დამავალ-ალმავალი ტონით რეალური საუბრისას. მაშინაც კი, თუ ის გამოიყენება წინადადების ბოლოს ან ცალკე, მისი რეალური ტონი თითქმის ვერ აღწევს ტრადიციულად დადგენილ სიმაღლეს [214], ხოლო დაბალი და სწორი ტონი [211] მაინც ყველაზე გავრცელებული და ბუნებრივია. [214] გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა ხდება ხაზგასმა ან ნელა საუბრობენ. თუ, ჩვენი რჩევის მიხედვით, სწავლების პროცესში მესამე დაბალ ტონს [211] – [212] მასწავლებლები გაითვალისწინებენ, შემსწავლელები სწრაფად დაეუფლებიან სიტყვების მესამე ტონში ზუსტ წარმოთქმას, რაც მისცემს მასწავლებლებს საშუალებას თავიდანვე აიცილონ ბევრი დაბრკოლება და უზრუნველყონ ხარისხიანი სწავლება.

მეოთხე ტონი [51] არის მკვეთრად და სწრაფად დაღმავალი ტონი, უმაღლესი ნერტილიდან ყველაზე დაბალ ნერტილამდე ეშვება, ემოციურია.

მეორე ტონი [35] არის მზარდი, აღმავალი და შედარებით მოკლე ტონი.

პირველი ტონი [55] არის მაღალი საფეხურის სწორი ტონი, შუაში რაიმე სახის ცვლილების (ანევის ან დაცემის) გარეშეა, მონოტონურია.

შემდეგი ორი მეთოდი, ფფიქრობთ, უფრო აპრობირებულია მასწავლებლების მიერ, მაგრამ მაინც დავამატეთ, რადგან ესენიც ითვლება სწავლების კარგ ხერხებად.

ჟესტების მეთოდი. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაიგებენ ჩინურში ოთხი ბგერის სიმაღლის შესახებ ხუთსაფეხურიანი ტონალური დიაგრამის მეშვეობით, ჩვენ შეგვიძლია გავაერთიანოთ ჟესტების მეთოდთან, რათა ვაჩვენოთ ტონალობის ცვლილებები და უკეთესად გავაგებინოთ შემსწავლელებს პრინციპი. სპეციფიკური მეთოდია: მასწავლებელი თითო ამოძრავებს ოთხი ტონის ნიშნების მიხედვით და, ამავდროულად, წარმოთქვამს სიტყვებს ტონში ცვლილებების მიხედვით. მაგალითად, პირველი ბგერის სწავლებისას ასწიეთ თითები და პირიდან საპირისპირო მხარეს გადაანაცვლეთ, რათა გამოხატოთ მაღალი სწორი ტონი 55; მეოთხე ტონის სწავლებისას გააქნიეთ თითები მაღლიდან ქვევით, რათა გამოხატოთ მკვეთრად და სწრაფად დაცემის ტონი 51.

თავის მოძრაობის მეთოდი. გარდა ჟესტებისა, ჩვენ ასევე შეგვიძლია გამოვიყენოთ თავის მოძრაობა, რათა ვაჩვენოთ მოსწავლეებს ხმის სიმაღლის ცვლილებები. მაგალითად, პირველი ტონი: მაღლა ასწიეთ თავი და სწორად ერთ ხაზზე იმოძრავეთ მარცხნიდან მარჯვნივ და თავის მოძრაობასთან ერთად, პარალელურად, პირველ ტონში წარმოთქვით მარცვალი; მეორე ტონი: ასწიეთ თავი ქვემოდან ზევით და თავის მოძრაობასთან ერთად წარმოთქვით მარცვალი მეორე ტონში; მესამე ტონი: დაბლა დახარეთ თავი და გადაიტანეთ თავი მარცხნიდან მარჯვნივ მარცვლის მესამე ტონში წარმოთქმასთან ერთად.

მეოთხე ტონი: თავი ზემოდან ქვემოთ დახარეთ სწრაფად და, თავის მოძრაობის პარალელურად, წარმოთქვით მარცვალ მეთხე ტონში.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ზემოაღნიშნული ინტუიციური მეთოდებით ტონებს წინასწარ გაიაზრებენ, ჩვენ ტონების გასწორებისთვის გამოვიყენებთ შემდეგ მეთოდებს.

სახმო სიმების მართვის მეთოდი. ჩვენ მეორე თავში უკვე ვისაუბრეთ სახმო სიმების როლზე ტონების წარმოთქმისას. ტონების ცვლილება ხდება სახმო სიმების დაძაბვის სხვადასხვა დონის ხარჯზე, მაგალითად, თუ სიმები დასუსტებულია და მოდუნებული, მაშინ ბგერა გამოდის დაბალი, ხოლო თუ იძაბება, ბგერა გამოდის მაღალი. თუ ხმა დუნე მდგომარეობიდან იწყებს დაძაბულზე გადასვლას, მაშინ ბგერა ადის დაბლიდან მაღალზე.

ჩინური ტონების აღმასვლა და დაღმასვლა გამოწვეულია გამოთქმისას სახმო სიმების დაძაბვის დონით. ამის საფუძველზე მოსწავლეებს უნდა ჩავუტაროთ სახმო სიმების კონტროლის ტრენინგი, რათა მოსწავლეებმა ოთხი ტონის წარმოებისას შეიგრძნონ სახმო სიმების აქტივობა. ჩვენ შეგვიძლია აღვწეროთ სახმო სიმების მდგომარეობა ჩინური ტონების წარმოთქმისას და ამგვარად ვავარჯიშოთ შემსწავლელები:

პირველი ტონი [55] – სახმო სიმები ინარჩუნებს დაძაბულობას;

მესამე ტონი [211] – სახმო სიმები დუნდება და ინარჩუნებს მოდუნებულობას;

მეოთხე ტონი [51] – სახმო სიმები უეცრად იძაბება და შემდეგ თანდათან დუნდება;

მეორე ტონი [35] – თავიდან სიმები არც მოდუნებულია და არც დაძაბული, მერე კი სწრაფად იძაბება.

თუ ჩინური ტონები არასწორად არის ნასწავლი, ხშირად ადვილი არაა დადებითი შედეგების მიღწევა ან ბოლომდე გამოსწორება, ყოველი შემთხვევისთვის, უფრო მეტ შრომას მოითხოვს.

იმიტაციის მეთოდი. ეს დამოკიდებულია მასწავლებლისა და მოსწავლის ფანტაზიის უნარზე, რა ხმას, რა ემოციას შეიძლება დაუკავშირო და მიახლოებოდეს თუ ის ტონი. შეიძლება მუსიკალური ნოტების მეშვეობითაც ახსნა, თუ ყველას ნასწავლი აქვს დაკვრა რომელიმე მუსიკალურ ინსტრუმენტზე, ესწრებოდა სოლფეჯიოს გაკვეთილებს და მდეროდა გუნდში. შეგვიძლია მათ მივცეთ მეტი თავისუფლება და ჩვენი ამა თუ იმ ტონის წარმოთქმის დროს შემსწავლელმა მოიფიქროს, თუ რას შეიძლება მიახლოებოდეს. სასურველია, ვარიანტები ჩავინიშნოთ, რადგან შეიძლება ამ პროცესში რამე ახალი და გამოსადეგი ხერხები აღმოვაჩინოთ. ჩვენ, მაგალითად, მესამე ტონს ვამსგავსებთ რესპონდენტის მიერ საუბრის პროცესში პაუზისას, დაფიქრების მიზნით ამოშვებულ ძალიან დაბალ, ხორხის ღრუდან ამომავალ ანუ ხორხისმიერ/ლარინგალურ ბგერას.

ფსიქოლოგიური განწყობისა და თავდაჯერებულობის შექმნა. ტონების სწავლების პროცესში შეგვიძლია გამოვიყენოთ უამრავი მეთოდი, რაც დაძაბულობას და კომპლექსს მოუხსნის სტუდენტს ვარჯიშის პროცესში. გთავაზობთ გარკვეულ ნაწილს, ხოლო სხვა გზებზე შეუძლია მკითხველს დამატებითი ფიქრი და განსხვავებული ხერხის აღმოჩენა. ესენია:

- *კომპლექსის მალევე მოხსნა.* ვიცით, რომ ზოგიერთი სტუდენტისთვის უცნაურია ტონების ჟღერადობა და ფიქრობს, რომ გაეცინება ვინმეს ჯგუფში უცნაური ტონების წარმოთქმისას. ჩვენ ვარწმუნებთ მათ და ეს ასეც არის, რომ ტონები მნიშვნელოვანია ჩინელებისთვის და ჩვენი მიზანია, ჩინელს მოვანონოთ ჩვენი ტონები და, რაც მთავარია, გაიგოს ჩვენი საუბარი, სხვა რას ფიქრობს, არ გვაინტერესებს. გარდა ამისა, ჩინური ენა არის ძალიან ლამაზი და მუსიკალური ენა.
- *იეროგლიფის, ფონეტიკისა და მნიშვნელობის ერთიანად სწავლა.* თავიდანვე ვურჩიოთ შემსავლელებს, რომ, როცა სახლში სწავლობენ ახალ სიტყვას, აუცილებლად ისწავლონ ფინინით წერაც და, შესაბამისად, ტონებთან ერთად. თუნდაც იეროგლიფის გამონერის დროს იმეორონ სიტყვის ტონიც, შეუძლიათ იქვე გამონერონ ფინინითაც. ვუხსნით, რომ, თუ ამას თავიდანვე არ გააკეთებენ, ტყუილად დროს და ენერგიას ნუ დახარჯავენ, რადგან ამის გარეშე, ჩინურ ენას ვერ დაეუფლებიან. რაც მთავარია, ამ ხარვეზის ცოტა დაგვიანებითაც გამოსწორება რთული ან თითქმის შეუძლებელი გახდება.
- *„უყურადღებობად ჩათვლის“ ხერხი.* სწავლის პროცესში, შეცდომებზე მუშაობის, გამოსწორების შემდეგ ტონის სწორი წარმოთქმა მიიღწევა, მაგრამ ამ სისწორის და სიზუსტის შენარჩუნება არ აღმოჩნდა მარტივი საქმე. რეალურად სტუდენტმა წარმოების ადგილისა და რაგვარობის დაფიქსირებისა და მიზნის მიღწევის შემდეგ, უნდა დაიმახსივროს სწორი წარმოთქმა. ამისთვის, რასაკვირველია, ვარჯიშია საჭირო, მაგრამ სისწორის შენარჩუნება ყველას მაინც არ გამოსდის. ამიტომ სტუდენტს ვეუბნებით, ჩავთვალოთ უყურადღებობად და ზედაპირულობად ის ფაქტი, რომ მან ვერ შეძლო ამა თუ იმ ტონის სწორად წარმოთქმა. ძალიან ხშირად, ამ სიტყვების შემდეგ, სტუდენტი ახდენს ყურადღების კონცენტრირებას, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ზუსტი ტონების წარმოთქმას და მთელი ძალისხმევით ცდილობს შეცდომა აღარ გაიმეოროს. შეიძლება ამგვარი და სხვა ეფექტური მეთოდების შესახებ კვლევითი სამუშაოების გაგრძელება და მეტის აღმოჩენა.
- *ბუნებრიობაზე ყურადღების გამახვილება ტონებზე ვარჯიშისას.* თავიდანვე ვცდილობთ ვავარჯიშოთ სტუდენტები მკაცრად წესების დაცვის მოთხოვნით ისე, როგორც, მაგალითად, ბალერინა/ბალერონი მუშაობს ზუსტი

მოძრაობის შესრულებაზე, რაც საკმაოდ მშრალი, მძიმე და უინტერესო პროცესია. მაგრამ ოდნავ მოგვიანებით, ნელ-ნელა შემსწავლელს უნდა შეეახსენოთ, რომ დაძაბულობა უნდა მოიხსნას, ბგერებისა და ტონების ხელოვნურად წარმოთქმაზე თანდათან უარი თქვას და დაემსგავსოს სცენაზე პროფესიონალი ბალერინის/ბალერონის რბილ, მოქნილ, მსუბუქ, პლასტიკურ მოძრაობებს, რაც ძალიან ხიბლავს არა მხოლოდ მაყურებელს, ჩვენს შემთხვევაში – მსმენელს, არამედ თავად შემსრულებელსაც, ჩვენს შემთხვევაში კი – შემსწავლელსაც.

- ბუნებრიობა ორი ერთნაირი ტონის მქონე მარცვლების შემთხვევაში. სხვადასხვა ტონში ორი და მეტი მარცვლის კითხვისას უნდა მოხდეს გლუვი და კონტრასტული გადასვლა, ზედმეტი „დამუხრუჭების“, პაუზების, ნახტომების და თრთოლის გარეშე. მაგალითად, როდესაც გვხვდება ორივე მარცვალი პირველ ტონში, წარმოვთქვამთ არა ერთნაირად მაღალ, თითქოს კონტექსტიდან ამოვარდნილ ტონებს, არამედ დავარეგულირებთ და გადასვლას გავხდით მოქნილსა და ბუნებრივს, მაგალითად, პირველი მარცვალი იქნება უფრო მაღალ საფეხურზე, მეორე კი – უფრო დაბალ საფეხურზე, თუმცა ორივე წარმოითქმება სწორად.

მსუბუქი ტონის ფენომენი ჩინურ ენაში

ჩინელებისთვის, გარკვეული სიტუაციის ხაზგასმის მიზნით, მახვილი არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც ეს დასავლურ ენებშია. პირიქით, მსუბუქ ტონში წაკითხვა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია. მაგალითად: “mǎi dōngxī” (买东西 რაღაცის ყიდვა) არ შეიძლება წარმოვთქვათ, როგორც “mǎi dōngxī”. ამიტომ, როდესაც არ ითვალისწინებს მშობლიურ ენაზე მოსაუბრე ჩინელი მსუბუქ ტონს და მას ორიგინალურ ტონში კითხულობს, ეს ნიშნავს იმას, რომ ის თავისი დიალექტის გავლენის ქვეშ მოექცა და ფუთუნგხუა არ იცის ზედმიწევნით. უმჯობესია, ასეთ მასწავლებელთან მოსწავლე დიდ ხანს არ დარჩეს, რადგან შეცდომით დაიწყებს თავადაც საუბარს და გამოსწორება იქნება ძალიან რთული.

მსუბუქი ტონი არის ძალიან გავრცელებული ფონეტიკური ცვლილების ფაქტი სალიტერატურო ჩინურ ენაში. ეს არ არის მეხუთე ტონი, არამედ არსებული ოთხი ტონის განსაკუთრებული ფონეტიკური ცვლილებაა, ანუ მოკლე და მსუბუქი ტონი, რომელიც შეიძლება იკითხებოდეს განსაზღვრულ პირობებში. ის დამოუკიდებლად არ წარმოითქმის, მხოლოდ სიტყვებსა და წინადადებებში აისახება. მსუბუქი ტონის სწავლების დროს შეგვიძლია გამოვიყენოთ ერთ-ერთი ასეთი მეთოდი:

შეადგინეთ მსუბუქი ტონში სიტყვების ორი ჯგუფი, შეადარეთ და გააანალიზეთ ისინი, რათა მოსწავლეებმა უკეთ გაიგონ განსხვავება შედარებითი მეთოდის დახმარებით, მაგ.:

მსუბუქი ტონი	არამსუბუქი ტონი
a) 石头 shítou ქვა	头疼 tóutēng თავის ტკივილი
儿子 érzi ვაჟიშვილი	子女 zǐnǚ შვილები
街上 jiēshang ქუჩაში	上街 shàngjiē საქმეზე (საყიდლებზე) გასვლა
b) 东西 dōngxi საგანი, ნივთი	东西 dōngxi აღმოსავლეთი და დასავლეთი
孙子 sūnzi შვილიშვილი	孙子 sūnzi სუნ ნი ¹²
地道 didào ნამდვილი	地道 didào გვირაბი

ასეთი მაგალითების შედარება მისცემს შემსწავლელებს საშუალებას: ა) მსუბუქი ტონის იეროგლიფი და ორიგინალური ტონის იგივე იეროგლიფი განასხვავონ ერთმანეთისგან ფლერადობით. გარდა ამისა, სტუდენტი გააცნობიერებს, რომ სიტყვის მხოლოდ ბოლო მარცვალში შეიძლება იყოს მსუბუქი ტონის. ბ) ეს ჯგუფი იძლევა საშუალებას გაიგონ ერთი და იმავე სიტყვის მსუბუქი და ორიგინალური ტონით წაკითხვის წესი; ასევე განასხვავონ ორი ერთნაირი იეროგლიფისგან შემდგარი ორი სიტყვის წაკითხვის წესი; ასევე ისიც, რომ შეიძლება ეს სიტყვები ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს აზრობრივად. უფრო მეტს მსუბუქი ტონის შესახებ მკითხველი გაიგებს მეორე თავიდან.

ინტონაცია ჩინურ ენაში

ჩინურად ინტონაციას, ჩვეულებრივ, მოიხსენიებენ, როგორც 语调 yǔdiào. ინტონაციური აქცენტის (ლოგიკური მახვილის) არსი ზუსტად ისაა, რომ მთქმელი ინტონაციით ხაზს უსვამს განცხადების ამა თუ იმ ელემენტს, რითაც მას უფრო მეტ სემანტიკურ მნიშვნელობას და ემოციურ ინტენსივობას ანიჭებს. ლოგიკური მახვილი, უპირველეს ყოვლისა, არის „ხაზგასმის“ მახვილი.

ინტონაციის საშუალებით შეგიძლიათ შეცვალოთ წინადადების რეალური დაყოფა და მისი კომუნიკაციური ორიენტაცია. ინტონაცია არის მკითხველზე ემოციური ზემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება, ცალკეული სიტყვებისა და ფრაზებისთვის განსაკუთრებული აქცენტის მინიჭების საშუალება. ამ თემაზე მწვავე კამათი არ წყდება ლინგვისტებს შორის.

ინტონაცია არის ფართოდ გავრცელებული საშუალება ლოგიკური და ემოციური ექსპრესიულობის შესაქმნელად სხვადასხვა კომუნიკაციური ტიპის წინადადებაში.

12 სუნ ნი – ჩინელი სტრატეგი და მოაზროვნე, ცხოვრობდა ძვ. წ. VI საუკუნეში, ცნობილი ტრაქტატის „ომის ხელოვნების“ ავტორი.

კოარტიკულაცია, ანუ ბგერების წარმოება სხვა ბგერებთან ერთად

განვიხილავთ, თუ რა ცვლილებას განიცდის ბგერა მარცვალში, თუ ეს მარცვალის სხვა მარცვალთან ერთად წარმოითქმის. ზოგადად, როცა რამდენიმე ბგერა ერთად წარმოითქმება, თითოეული მათგანის წარმოება გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. ცალკე ან ცალკე მარცვალში აღებული ბგერის წარმოება (არტიკულაცია) განსხვავდება ერთმანეთთან შეხამებულ ბგერათა წარმოებისგან ანუ ბგერათა თანაარტიკულაციისგან (იგივე – კოარტიკულაცია). მაგალითად, ჩინურ ენაში ინიციალი ㄅ არის ყრუ, მაგრამ ეს ბგერა ერთნაირი როდია ორ ან მეტ მარცვლიან სიტყვაში, მაგალითად, სიტყვაში “歌” გწ და სიტყვაში “哥”: 歌 სიმღერა და 哥 哥 უფროსი ძმა, სადაც ორი ერთნაირი 哥 哥 გწმე მარცვალს/იეროგლიფს. პირველი ცალკე აღებული მარცვლის ინიციალი 哥 არის ყრუ, ხოლო მეორე – მჟღერში გადადის, ანუ ფიზიოლოგიური და აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვით გაირჩევა.

როგორ დავძლიოთ ჩინური ენის წარმოთქმის ზოგადი პრობლემები?

ძირითადი წესების დაუფლების შემდეგ, წინამდებარე მონოგრაფიაში მოცემული აუდიომასალა დაგეხმარება წარმატებით გაუმკლავდეთ ამ ამოცანას.

რჩევები აუდიო მასალის გამოყენებისთვის:

- 1) ხშირად მოუსმინეთ სავარჯიშოებს ეტაპობრივად იმ ნიუანსებზე ყურადღების გამახვილებით, რომელიც განსაკუთრებით გაინტერესებთ ან ნიუანსზე, რომელზეც ფიქრობთ, რომ ჯერ კიდევ გჭირდებათ მუშაობა, რათა კარგად დაიმახსოვროთ სწორი ფორმები;
- 2) ყოველდღიურად 10-15 წუთი დაუთმეთ ერთ და ორმარცვლიან სიტყვებში ტონების ამოცნობას. მოცემულია განსხვავებული კომბინაციები, რომლებსაც უნდა დაეუფლოთ. რეგულარული ვარჯიში ამაში დაგეხმარება;
- 3) ხშირად ივარჯიშეთ წყვილად ბგერებისა და ტონალური მარცვლების გამოთქმაზე. ასევე გამოგადგებათ თქვენი პრაქტიკული ვარჯიშის ჩანერა ხმის ჩამწერზე, რათა შემდეგ შეადაროთ თქვენი და დიქტორის წარმოთქმა;
- 4) ყოველდღიურად მოისმინეთ და წარმოთქვით რთული სიტყვები და ფრაზები, ჩანერეთ ისინი ხმის ჩამწერზე, მოუსმინეთ და გააანალიზეთ შედეგები;
- 5) რეგულარულად გაიმეორეთ მოცემული ფრაზები ჩინური ტონების მრავალი განსხვავებული კომბინაციით. ასეთი პრაქტიკული სავარჯიშოები აუცილებელია მეტყველების უნარის განვითარებისთვის.

ენის გასატეხი სავარჯიშოები ხელს შეუწყობს ჩინური ენის შესწავლის პროცესის დაჩქარებას. საჭიროა მათი მოსმენა, დამახსოვრება და მრავალჯერ გამეორება. მეტყველების მოსმენის პარალელურად აუცილებელია, დაიმახსოვროთ, თუ როგორ იწერება ესა თუ ის სიტყვა ფინიჩით. აუდიო მასალა საშუალებას მოგცემთ სწორად აითვისოთ ჩინური ენის ფონეტიკური სისტემის ყველა აუცილებელი დეტალი.

ქანკარითი 1

ქუდიოქესელინ ტექსტი

声母发音练习

b

播bō 布bù 北běi 宾bīn 班bān 标biāo 贝bèi 别bié 崩bēng 笨bèn
播报bōbào 奔波bēnbō 标兵biāobīng 辨别biànbíe 百倍bǎibèi 斑驳bānbó
板报bǎnbào 包办bāobàn 北部běibù 蚌埠bèngbù 兵变bīngbiàn 帮办bāngbàn
包罗万象bāoluó-wànxàng 八面玲珑bāmiàn-línglóng 悲欢离合bēihuān-líhé
跋山涉水báshān-shèshuǐ 百发百中bǎifā-bǎizhòng 半路出家bànlù-chūjiā

p

